

წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

26 იანვარი 2024წ. №2 (4080) გამოცემის 93-ე წელი ფასი 2 ლარი

ერეკლე საღვთისძე

როსტოქოს

„ესე ამბავი სპარსული,
ქართულად ნათარგმანები“...

ვარდის ფურცლობის ფერი ადევს,
ოსტატო, აისს,
არავის ჰგავხარ, ქვეყანაზე არავინ
არ გგავს,
გამაგებინე, ამისთანა რა თარგმნე
მანც,
რომ ველარ შეძლო შემდეგ იმის
ვერავინ თარგმნა!



დასასრული 80-7 გვ.

ხაშური - ქვიშხეთი

დიდი გზის მონაკვეთი

გეოგრაფია მეცნიერებასაც სჭირდება, სივრცის გაფართოება, თავისუფალი, პერსპექტიული არეების ათვისება, ძალების ცენტრიდან პერიფერიებში გადაინაწილება-გადანაცვლება, გადატანა, გასვლა, გადასვლა, ახალი სააზროვნო ცენტრების დაარსება, კერების აღდგენა-ჩამოყალიბება, გაფართოება, ახალ-ახალ სივრცეებში ფიქრისა და აზროვნების კულტის შექმნა, მხარეებსა და რეგიონებს გამოფხიზლება და სულიერებით შევსება სჭირდება.

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო დინამიკაში შეინიშნება ცენტრიდანული აქტივობები და ეს მხოლოდ სასიკეთოდ და საიმედოდ აისახება საერთო კულტურულ ატმოსფეროსა და განწყობილებებზე. სულ სხვანაირად აღიქმება ფაქტი, როდესაც სამეცნიერო-ლიტერატურული კონფერენცია იმართება არა მინცდამინც დედაქალაქში, არამედ თელავში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა თუ ახალციხეში...

საკმაო ხანია, ასეთი ინტელექტუალური ღონისძიებები ხაშურშიც ხშირად ტარდება და, მართალია გითხრათ, ეს შემთხვევითი სულაც არ გახლავთ, ვინაიდან ამ ქალაქს ჰყავს სერიოზული ძალები იმისათვის, რათა ღირსეულად გაუძღვეს სამეცნიერო თავყრილობებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებიც ეძღვნება ამა თუ იმ სახელოვან მამულიშვილს, მწერალს, მოღვაწეს, მეცნიერს. წლებანდელი კონფერენცია, რომელიც შარშან, წლის ბოლოს გაიმართა, მიეძღვნა დიდ ქართველ მწერალსა და სახელმწიფო მოღვაწეს, სულხან-საბა ორბელიანს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მკვლევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, როგორც მუზეუმების, ისე უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები. წლებანდელი კონფერენცია, რომელსაც ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმმა უმასპინძლა, იმითაც იყო გამორჩეული, რომ რომიდან ჩართეს ვატიკანის „პროპაგანდა ფიდეს“ არქივის თანამშრომელი ვალენტინა კარახანიანი და იმავე არქივში მივლინებით მყოფი მკვლევარი თათია მთვარელიძე, რომლებმაც ისაუბრეს სულხან-საბას გზის გამგრძელებელ იმ ქართველებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს იტალიას და რომს დაუკავშირდნენ. ამასთანავე, სიმბოლური იყო ისიც, რომ რუსეთში გამგზავრებამდე სულხან-საბა სწორედ ქვიშხეთში ცხოვრობდა და თავის ძმასთან, ზოსიმესთან ერთად აქ დაიწყო „სიტყვის კონის“

ახალი ნუსხის მომზადება, რომელიც შემდეგ ზოსიმემ მოსკოვში დაასრულა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 36 მოხსენება, რომლებიც სამ სექციად გადანაწილდა.

პლენარული სხდომა გახსნა სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ, კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნუნუ მიცკევიჩი. კონფერენციის მუშაობის წესსა და განრიგზე ისაუბრა ორგანიზატორმა მურად მთვარელიძემ. სექციებს ადგილობრივ მკვლევართან ერთად ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ლევან ბრეგვაძე, სულხან კუპრაშვილი.

კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ გასულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული.

ასე რომ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მიერ ჩატარებულმა სამეცნიერო კონფერენციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს ინტელექტუალურ-სამეცნიერო ღონისძიებათა რუკა ფართოვდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ მომავალში ამ მხრივ უფრო მეტი წარმატება და სერიოზული წინსვლა გვექნება.

ბელა ცინცაქა
ჩვენი სპეც.კორ.

<p>როგორ ვკითხულობთ პაოლოს</p>  <p>პაოლოსი</p> <p>83.2</p>	<p>ჩანაწერები</p>  <p>მისო მოსულიშვილი</p> <p>83.3</p>	<p>ნობელიატები</p>  <p>ლუიზ გლიკი</p> <p>83.10</p>	<p>მინიატურები</p>  <p>ქარლა ქარლუსი</p> <p>83.14</p>	<p>ავტორის შუალეა</p>  <p>ზრანის საკობ ჯიჯვარადი</p> <p>83.15</p>
--	--	---	---	---

კონკურსი: როგორ პატივს მიაგოთ პაოლოს



ფეისბუქჯგუფი – „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ ცხრა წელიწადია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში, რაც ჯგუფი შეიქმნა, ჩვენი მიზანი იყო, საზოგადოებისათვის შეგვეხსენებინა, რომ XX საუკუნის დასაწყისში (1916 წელს) შექმნილმა ქართულმა სიმბოლისტურმა სკოლამ – ცისფერყანწელთა გაერთიანებამ ქართულ ლიტერატურაში ძირითადი გარდატეხა შეიტანა;

როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, ქართული პოეზია გამართეს ევროპული რადიუსით და სწორედ ამიტომაც შეენირა ბოლშევიკურ დიქტატურას ცისფერყანწელთა ორდენი; ზოგიერთი ფიზიკურად გაანადგურეს, ზოგიერთი – აკრძალულ მწერლად გამოაცხადეს (ნიკოლო მინშვილი, პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, კოლაუ ნადირაძე კი სიცოცხლის ბოლო წლებში – ლექსის „25 თებერვლის“ გამო).

ამდენად, დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა, ევროპული არჩევანის წინაშე დგას, უდავოდ უნდა მოხდეს ამ ორდენის წარმომადგენელთა ხელახალი პოპულარიზაცია და თანამედროვე ლიტერატურული პროცესებში ჩართვით, მათი შემოქმედების გაცოცხლება;

ფეისბუქჯგუფი – „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ შექმნის მიზანი იყო ასევე, აღნიშვნა პოეტთა საიუბილეო თარიღებისა, მათი შემოქმედებისადმი მიძღვნილ შეკრება-სემინარებისა და საღამოების გამართვა, რაც შეძლებისდაგვარად მოვახერხებთ კიდევც.

2015 წლის თებერვალში ჯერ თბილისში „მწერალთა სახლში“ გაიმართა კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილი საღამო და, თბილისში, **წინამძღვრის 17-ში**, სადაც ცხოვრობდა კოლაუ ნადირაძე **1940-1959** წლებში, გაიხსნა მემორიალური დაფა. ამავე წლის აპრილში კი ქუთაისში გაიმართა უკანასკნელი ყანწელის ხსოვნის საღამო ნინო ჩხიკვიშვილის წიგნის ინსცენირებით.

ასევე: **2016** წელს მიქელ პატარძისადმი მიძღვნილი საღამო – მწერალთა სახლში.

2017 წელს ტიცვიან ტაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

ფონდის ინიციატივით საგანგებოდ აღნიშნა ყანწელთა **100** წლისთავი ქუთაისში, ლადო მესხიშვილის დრამატული თეატრის სცენაზე ნინო ჩხიკვიშვილის პიესა „ცისფერყანწელები“ დადგა რეჟისორმა გიორგი სისხარულიძემ. ამავე თარიღთან დაკავშირებით ქუთაისში კოლაუ ნადირაძის სახლზე გაიკრა მემორიალური დაფა. აღდგა, ასევე, მემორიალური დაფა პაოლოს სახლზე.

გამოიცა ალბომი **„ცისფერყანწელთა საძმო“**.

2022 წელს კი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, უშუალოდ მინისტრის – **თეა წულუკიანის** ხელშეწყობით, პაოლო იაშვილის „დარიანული ციკლის“ ავტორობის თაობაზე ატეხილი აუიოტაჟის კვალდაკვალ, დაფინანსდა კრებული **„უღუნე დარიანის დღიურები, ტექსტი და ავტორი“** – რომელმაც გააერთიანა 13 ავტორის სამეცნიერო ნაშრომი.

ეს არის მოკლე ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ამ ჯგუფის (ფონდის) შექმნასთან ერთად მოხერხდა. ჯგუფი **2,900** წევრს ითვლის. გაერთიანებული არიან პროფესიონალი ლიტერატორები, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, ასევე, მოსწავლეები. სხვადასხვა პროფესიის, ასაკის ადამიანები, ცისფერყანწელთა შემოქმედებით დაინტერესებულნი. და რაც, ვფიქრობ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ცისფერყანწელთა შთამომავლები.

რაც შეეხება კონკურსს, რომელიც ჩვენმა ფეისბუქჯგუფმა – **„ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“** და გაზეთმა

„ლიტერატურულმა საქართველომ“ – **„ამხდარი ლექსი“** – გასული წლის დეკემბერში გამოაცხადა.

კონკურსის პირობა ასეთი იყო: „კონკურსანტს წერილობით უნდა გამოეთქვა საკუთარი აზრი პაოლო იაშვილის ლექსზე – ნიგინიდან „ლირიკული დღიური“/„ლირიკული მისამართები“ უნდა მოეწოდებინა ნებისმიერი ჟანრისა და ზომის კრიტიკული, მხატვრულ-კრიტიკული თუ მხატვრული ტექსტი. გამარჯვებული ტექსტები გამოქვეყნდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ პირველი ადგილის მფლობელს კი გადაეცემოდა კრებული **„უღუნე დარიანის დღიურები, ტექსტი და ავტორი“**.

გაგახსენებთ პოეტის ამ ლექსს:

ნიგინიდან „ლირიკული მისამართები“

ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე მთელი/ მე არ მიგრძენია — და ეს სიბრძნე დამბუდებია/ მოშვერილი ვარ შენზე გულით და როგორც გელი/ ჩემი თვალები უკეთესი საბუთებია/ ჩემი დაბნევა, ელდა, ყოველ წუთის ცეტობა/ როცა არ მესმის, რას ამბობენ, რად მეძახიან/ უხერხულობა, ყველა დარდი, ყველა შეცდომა/ ეს ყველაფერი სანატრელო შენი დალია/ მოუსვენრობა ვერაფერმა ველარ გახარა/ გამოჩნდი იმ დროს — იჭვები რომ მეზადებთან/ ნუ გეშინია ჩემო კარგო თმაში ჭალარა/ ეს სინათლეა სიყვარულს რომ შემატებია/ ოცდა ჩვიდმეტი წელიწადი ისე გაცურდა/ როგორც მხატვარის მეგობრობა საყვარელ ფერთან/ იყავი ჩემთან გამტანელთან და ვაჟკაცურთან/ ამ დიდ დღეებში ყოველ წამში ვიაროთ ერთად/ ნუ ჩაგაფიქრა ჭირვეული ჭორის ხროებმა/ ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება/ საშინელია როგორც ომის მოახლოება/ საშინელი, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება.

წლის დასაწყისში შეჯამდა კონკურსი:

პირველი ადგილი მიეკუთვნა **თინათინ ანასაშვილს** (სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი);

მეორე ადგილი – **ანასტასია კლიაშვილს** (მწვანე სკოლა, მეთორმეტე კლასის მოსწავლე);

მესამე – **იონანე ნუცუბიძეს** (39-ე საჯარო სკოლის, მეთორმეტე კლასის მოსწავლე).

გთავაზობთ ამ ნამუშევრებს.

თინათინ ანასაშვილის საუკუნედ“ (გალაკტიონი) სახელდებულ ეპოქაში „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დაღურსმულ“ პოეტს სიყვარული ექცევა თავშესაფრად და ნაცსაყუდრად. სიყვარული სამყაროსეული, უფლისა და სამშობლოსი. ჯერ კიდევ საუკუნის წინ წუთისოფლის უდაბნოში მსხემი ყრმა პოეტი მიაშურებდა სიყვარულის ტაძარს და სწორედ იქ ეძიებდა სულიერ სიმშვიდეს: „ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი; მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი“ (ბარათაშვილი)... უფრო ადრე კი, ყველა ქართველისთვის საოცნებო „ოქროს ხანაში“, პოეზიას სიბრძნის დარგად მოიხსენიებდა ის ერთადერთი, ვინც ყოველთვის „დგას შურზე მაღლა“:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი“ (რუსთველი)...

გენეტიკური სიბრძნე და ცოდნა გადასცემია პოეტს, რომელსაც შეეძლო ამოეთქვა:

ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე მთელი/ მე არ მიგრძენია — და ეს სიბრძნე დამბუდებია/ მოშვერილი ვარ შენზე გულით და როგორც გელი — თვალები ამის უტყუარი საბუთებია.

„ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ რომ ღმერთი სიყვარულია“ (იოანე.1.4.8), – გვასწავლის სახარება. უფალი არავის უხილავს, მისი შეცნობა სიყვარულითაა შესაძლებელი. სიყვარული კი გულით შეიცნობა:

„გული, გრძობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, რა გული წავა იგიცა წავლენ და მისკენ ვიდიან“ (რუსთველი)...

ვფიქრობთ, პაოლო იაშვილის სიტყვებს, როგორც სახარებისეული, ისე რუსთველური სიბრძნე ესაძირკვლება. უდიდესი და უმდიდრესი ტრადიციის ქართული პოეზიიდან სატრფო-სამშობლოს მეტაფორა ერგო მემკვიდრეობად პოეტს, რომელმაც ეს სახე ახლებური მშვენიერებით წარმოაჩინა თავის ლექსში:

„მოუსვენრობა ვერაფერმა ველარ გახარა/ გამოჩნდი იმ დროს, იჭვები რომ მეზადებთან/ ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ჭალარა — ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია!“

პოეტის სულში დაბუდებული ეჭვი მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს ნასაზრდოები...

„ეჭვით აღვსილი“ და „უსასოდ ქმნილი“ რომანტიკოსის ტკივილიც (გრ. ორბელიანი) ემეკვიდრა თითქოს, მაგარამ პირველს თუ გენერლის მუნდირი შეცვლოდა უიმედობის ბორკილებით, მეორეს სატრფო მამინ მოვლენოდა, ეჭვს რომ უნდა ჩაველო კლანჭები. მოსულიყო და მისი სინათლე სიყვარულს შერთვოდა.

ნათლისქმნით იხყო შემოქმედმა შესაქმე: „დასაბამითგან ქმნა ღმერთმან ცანი და ქვეყანა, ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუზადებელ, ბნელი იყო ზედა უფსკრულთა; და სული ღვთისა იქცეოდა წყალთა ზედა. და თქვა ღმერთმან: იქმნენ ნათელი და იქმნა ნათელი (შეს. 1.2).

ნათელი ამავდროულად ქრისტეს სახელიცაა: „ნათელი მოვიდა სოფლად“ (იოანე.3.19).

ნათელი სიყვარულს ანატიფებს და აძლიერებს. ყურადღებას იპყრობს ასევე ჭალარა. თუკი აკაკისთვის „ძნელი ყოფილა ჭალარა“, პაოლოსთვის ის ნათელია, სიყვარულს რომ გაასპეტაკებს და მთელი ძალით გამოაბრწყინებს.

ყოველი დიდი მწერალი წინასწარმეტყველიცაა, წინასწარმეტყველი საკუთარი თუ ქვეყნის ბედისა. მომდევნო სტრიქონები, ვფიქრობთ, მთლიანად წინასწარმეტყველურია:

„ოცდაჩვიდმეტი წელიწადი ისე გაცურდა, როგორც მხატვარის მეგობრობა საყვარელ ფერთან...“ ანდა:

„ნუ ჩაგაფიქრა ჭირვეული ჭორის ხროებმა, ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება, საშინელია, როგორც ომის მოახლოება, საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება...“

საბჭოთა პოლიტიკა არამარტო უფალსა და სამშობლოს თავისუფლებაზე წერას, თავისუფალ აზრსაც კრძალავდა. „ცისფერყანწელთა სულიერ მკვლევლობას მათი ფიზიკური განადგურება მოჰყვა“ (მ.ჯალიაშვილი). პაოლო იაშვილმა თავი მწერალთა კავშირის შენობაში მოიკლა. თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ მისთვისაც შემართულიყო ფეხზე ჩახმახი. მაგრამ უფალი და სამშობლო ხომ ის სინამდვილეა, რომლისთვისაც სიცოცხლეც ღირს და სიკვდილიც...

ანასტასია კლიაშვილი, „ამხდარი ლექსი“

სულიერი თავგადასავლის აპოგეა სიყვარულის პოვნა, პოეტისთვის ეს სიყვარული მთელია, თითქოს, მისთვის სრულქმნილთან, პირველსაწყისთან დაბრუნების ქვეცნობიერი ნადილი ასოცირდება სიბრძნის გათავისებებასთან.

„ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე მთელი მე არ მიგრძენია—და ეს სიბრძნე დამბუდებია,“ რამეთუ ბრძენთა ყური ექებს ცოდნას, ამ ცოდნის მიღება კი მხოლოდ მოუკერძოებელი აღქმითაა შესაძლებელი, ეს პოეტმა იცის: „მოშვერილი ვარ შენზე გულით და როგორც გელი ჩემი თვალები უკეთესი საბუთებია“.

დაუცველი, დაუფარავი, სათუთი გულით, რომელსაც არ ფარავს არადაჭირვებული ცოდნის გროვა და ბავშვური შეურყენელობით იკაფავს გზას თვითმემცნებებისა, რომლის დასტურიც კი მისი თვალები, სულის სარკეა.

ამ ყოველივეს თავისთავად მოსდევს დაბნევა, ელდა, ცეტობა, სხვების აღქმადობის დაკარგვა, რამდენადაც ბავშვური სულის ხელახლა მოპოვების, სისუფთავის, სინაწილისა და უმანკობის მეორე პოლუსი ხომ ბრბოში ქოტურად ამღვრეული აზრებისგან გამოწვეული დაბნევაა: „როცა არ მესმის, რას ამბობენ, რად მეძახიან“. შემეცნებით თამაშს თმაში ჭალარაც კი არ უქადას საფრთხეს. რწმენის, ჭეშმარიტი გზისა და აღმადრენის პოვნა ეჭვების დაბადების ხანაში იმიტომაც შესაძლებელია, რომ ეჭვის ქონა რწმენის ანტიპოდი, მაგრამ პოეტმა მიაგნო სამყაროს ერთიანობის საიდუმლოს, მან იქ იპოვა რწმენა, სადაც მისი არსებობის ალბათობა ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებია, მაგრამ ცას მხოლოდ მიწიდან შეგვიძლია ვუმხროთ. თითქოს, ხელდასმული პოეტი ოცდაჩვიდმეტი წელს, **1937-ს**, რეპრესიების ეპოქასა და თვითმკვლელობის იარაღს წინასწარმეტყველებს. გემატრიული თვალსაზრისით, იგრძობი, რიცხვი **37-ის** ნუმეროლოგიური ღირებულებაა „მე ვარ“, რაც თვითმემცნების მისიის კულმინაციაა.

ასევე **37** ასოცირდება ბიბლიურ აბელთან, რომელიც უდანაშაულო მსხვერპლის განზოგადებული სახეა და ასე ძლიერ ერგება რეპრესიების მიერ განწირულ პაოლო იაშვილის ხატ-სახეს.

„ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება საშინელია როგორც ომის მოახლოება საშინელი, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება“. სიჩუმე, სიბნელე, ღამე, შეუმეცნებლობა და სიბრძნე ომისა და სიკვდილის საპირწონეა და ჭორის ხროებიც კი ვერ უპირისპირდება მათ.

იოანე ნუცუბიძის ნაშრომი:

უყვარს პოეტს, უყვარს უანგაროდ. ამას გამოხატავს სრულად და არ იშურებს მხატვრულ ხერხებს, როგორც ყოველთვის, მონოდების სიმალეზეა. მარტო ეს მეტაფორა რად ღირს: „მოშვერილი ვარ შენზე გულით“. სიყვარულს საბუთი დამტკიცება როდის ჭირდება, თვალებია მთავარი, ის სხივი, რომელიც შეყვარებულის გამოხედვაში იგრძნობა, როცა იმას უყურებს, ვინც უყვარს: „ჩემი თვალები უკეთესი საბუთებია“.

რაინდი თუ იზნევა, ეს სიყვარულის ბრალია, რადგან გრძნობა ერევა და სალი აზრი უკან იწევს, გული სძლევს გონებას. დალდასმულია პოეტი, ბევრჯერ უყვარდა, მაგრამ ამჯერად სულ სხვაა, უფრო მძლავრია გრძნობა, იქნებ იმიტომ, რომ ახლა შეხვდა იმას, ვისაც ეძებდა, ან სულაც არ ეძებდა, შემთხვევით იპოვა. რა დრო გასულა!

37 წლის პოეტს თმაში ჭალარა გასჩენია, ნაადრევი, მაგრამ დასტური დიდი დარდის თუ ბევრი ქართველის... **37... 1937...** ეს თარიღი ჩვენში გარინდებს, გახვევას იწვევს... ჭორი დაუნდობელია და რალაცისთვის მზადების ენევეს; ეს რალაცა იდუმალა, როგორც ბნელი ღამე და შავი ფიქრები, პოეტს რომ შემოსჯარავია: „ნუ ჩაგაფიქრა ჭირვეული ჭორის ხროებმა, ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება, საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება“ გაფრინდა, რადგან ასე ეგონა, ეს იყო გამოსავალი, რომელიც შემდეგ შესავლად იქცა იმ მოთხრობისა, რომელიც მერე დადგინდა დიდ პაოლოზე, კაცზე, რომელიც იყო რაინდი, პოეტი, მხატვარი, რომლისთვისაც სამშობლოს ვერი იყო მთავარი. „ამხდარი ლექსი“ წინასწარმეტყველურია, ახდა ის, რაც უკვე იცოდა, რაც უმძიმდა, მაგრამ მაინც ამზადებდა ტყვიას თავისთვის, თან სხვების გადასარჩენად.



ჩანაწერები სიკლიდან „ქაჯე დაღებული პაღლისა“

მიხომ მოსულიშვილი

COVID-19, ანუ, ორიოდე სიტყვა დაკაშხების თაობაზე

შენ რომ ეს სამყარო შეგექმნა და შენ შექმნილ თვითდეგენერირებად და თვით-განადგურებისკენ მიმსწრაფველ არსებებს, მოკლედ, აი, ამ ბიოლოგიურ რობოტ-ან-დროიდებს, ანუ ამ ვითომც და მოუკიდებელ ადამიანებს რომ ისეთი გლობალური დათბობა გამოეწვიათ, ანტარქტიდაში ყინული დნებოდეს და ამინდი თავდაყირა დადგეს, არ დააპაუზებდი დედამინას?

დააპაუზებდი.

მეც დავაპაუზებდი.

და იმანაც, – ესეც კორონა-ვირუსი თქვენო! – და დააპაუზა.

მე არც ვამტყუნებ... შენ?

P.S. გვერთხილებს ვითომ, არადა ჩვენი გონებრივი ჩამორჩენა მატულობს აშკარად, სიდუხჭირემდე მიდის უკვე და ეს იმისი შექმნილები უკან დამხეობები აღარ ვართ, ბოლომდე ისე გავტყუნებ დედამინას, რომ მკვდარი პლანეტა მარსი მონაგონი იქნება...

ახალ და ამაზე უარეს ვირუსებს უნდა ველოდოთ მოკლედ და, თავი ძალიან ჭკვიანი და სამყაროს გვირგვინი რომ გვეგონია, ძალიან სასაცილოები და იმადროულად საცოდავები ვართ იმის თვალთახედვით...

იმისი, ვინც ეს ყველაფერი შექმნა და ოქროს კვეთის სპირალზე დასვა...

პირველთოვლობისას...

მირზა, გელოვანია, პოეტადაა დაბადებული და კომკავშირის პრემია კი არა, გინდაც ვერმასტის პირველი ხარისხის რკინის ჯვარი მიეცა, არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, გრძელ დროში მაინც მოგიგებს, შენს ვინოპარტიულ ჩარჩოებში ვერ დაეტევა, – დაბრუნდება თავისი ლექსებით და იმ ლექსებს ისევე დაიხეპრებენ, გინდაც ომის ლირიკა იყოს ანდა სულაც სასიყვარულო... თან რაკი თოვლის პოეტი და რაკი თოვლიც მოგვივიდა, მოდით, მირზას სულ პირველი, 1935 წელს დაწერილი ლექსი გავისხენოთ:

თეთრი მინა

დედამინა შეიმოსა თეთრი სამოსელით, თეთრ კარავებს დაემგვანენ ატეხილი მთები. მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით, ახლაც მინდა შენი ნახვა, ახლაც მენატრები.

ჩემი გრძნობა ძლიერია, როგორც ქარიშხალი, სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა. მომავლენა შენს სახეზე პანანინა ხალი და თუ შენი ლიმილი მსურს, შენი გულიც მინდა.

კაფე, რომელთანაც ვერ მიხვალ...

გავიარე მრუმედ ჩამობურული, ალაგ-ალაგ დაბინდული სინათლებიანი ქალაქი და მივედი კაფეში საქმლის შესაკვეთად.

თეთრხალათიანი და ულაგაშა გამყიდველს მივეცი შეკვეთა.

კაფეში უცებ გაჩნდა მასიური საწერი მაგიდა, განიერი უჯრები.

გამოვინე ერთი უჯრა და ამოვიღე მოხარული ხორცის ნარჩენები, ცოტა ყველიც იყო, პურის ნატეხები და ცელოფანის პარკში ჩავაწყე, – ამას მაინც შევჭამთ მეთქი.

გამოვინე მეორე უჯრა და იქ იყო ხაშის მოუხარავი და ცოტა სისხლიანი პირსახო-

ცისმაგვარი ნაჭრები, სიბრტყეზე დაწყობილი. ზემოდან ედო სხვა ხორცები, უკვე სუნდა-ცემული და ისევე დაფხურე უჯრა.

მერე მივედი გამყიდველთან, სადაა აქამდე ჩემი შეკვეთა მეთქი.

ახლავე იქნებაო.

კაფეში შემოვიდა შორეული ნაცნობი, გამოსწია უჯრები და ატეხა ყვირილი, – ვინ მომპარა ჩემი საქმელი! – დანა გააძრო ჯიბიდან, – ამით დავბრუნდავო! მუცელში რომ გავუყური და დავარტიალებ ამ დანას, სულ ტკივილისაგან დაიკლაკნება გველივით, ის ბოხისშვილი... – ესეთებს უყვირის ყველას.

მერიდება, მე მიჭირავს ხელში იმისი საქმელებით სავსე პარკი.

კიდევ დავეკითხე გამყიდველს, – სადაა ჩემი შეკვეთა მეთქი?

იცოც, რა, მზარეული სახლში წავიდა, მაგრამ ჩართული აერლუმელი დატოვა და როგორც კი თავისით გამოირთვება, შენი ხორცის ლეზელები მზად იქნებაო.

ჯანდაბა შენ მეთქი, ეგ როდის იქნება... – და გამოვედი გარეთ, რადგან ისევე ჩხუბობდა ის შორეული ნაცნობი.

ცოტს გავივლი მეთქი და ისევე წავიდა ჩაბნელებული ქუჩებით.

მივდივარ, მივდივარ რაღაც ვინო რუკებში, მივუხვიე-მოვუხვიე, გამოვედი ფართო ქუჩაზე და სად ვარ, არ ვიცი.

თან სამი ქუჩის ბიჭი ამედეგა და იმათაც გაუვრბივარ, რაც შემიძლია.

ეს ჩემი კაფე კიდევ აღარსადაა. დავედივარ, დავეძებ, დავეძებ, ველარ ვპოულობ.

ატეხეს იმ მდეგნელებმა ჩხუბი ყასიდად, ისე ჩხუბობენ, რომ ჩავერიო და მერე მე გამძარცვონ.

არ ვაქცევ ყურადღებას, მივდივარ ჩქარი ნაბიჯით.

რა კაფე, რის კაფე, როგორმე ამით უნდა გავასწრო.

მივუხვიე-მოვუხვიე, რაღაცა ქუჩა გადავიარე, სადრაბაზოში შევაჭყერი, მეორე მხრიდან გამოვედი, კიდევ გავიარე ახლა იქითა ქუჩა, გავიდი პროსპექტზე. მივდივარ, მივდივარ, სად მივდივარ, სულ აღარ ვიცი.

ის ქუჩის ბიჭები უკან მოვიტოვე, აღარც იმ კაფეს ვეძებ, სადაც ლეზელები შევუკვეთე. სახლში ძალიან გამინანყენდებიან ჩემები. ელოდებიან საქმელს და მე კიდევ დავყალიბებ ალაღბებზე.

უცებ გავიხედე და ის კაფეა, სადაც შეკვეთა მაქვს მიცემული.

აი, რომ აღარ ვეძებდი, თავისით გამოჩნდა.

მივდივარ იქითკენ. მივდივარ, მივდივარ და ვერ ვუახლოვდები...

რაღაც უფრო მივდივარ იქით, მით უფრო მშორდება...

ოცდაათექვსმეტი წლით ნაგვიანევი სამადლობელი აფრო-აზიის ქვეყნების პროზის განყოფილების უფროს რედაქტორს, გ. ჩხარტიშვილს

„ინოსტრანაია ლიტერატურა“ ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

109017 მოსკოვი, პიატნიცკაიას ქუჩა, ბ. 41

წერილი № 1921. 17 ოქტომბერი, 1986 წ.

380008 თბილისი, ამა და ამ ქუჩის ესა და ეს ნომერი, ვარაზანაშვილი ა. ქ.-ს (მიხომ მოსულიშვილისთვის)

პატივცემული ამხანაგო მოსულიშვილო, რ. აკუტაგავას მთავარი სპეციალისტი ჩვენს ქვეყანაში არის – ვლადიმირ სერგევიჩ გრიგორინი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული, აზიის და აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტის პროფესორი.

გიგზავნი მის მიერ დაწერილ მონოგრაფიას იაპონელი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. სცადეთ, დახმარებისთვის უშუალოდ მიმართოთ პროფესორ გრიგორინს.

პატივისცემით, (ხელმოწერა) გ. ჩხარტიშვილი, აფრო-აზიის ქვეყნების პროზის განყოფილების უფროსი რედაქტორი.

ამ ჩანაწერის ეპიგრაფად წარმოდგენილი წერილი მსხვილი ბანრით შეკრულ ბანდეროლთან ერთად მომივიდა, 1986 წლის 17 ოქტომბერს.

მწერლების სტილს რომ ვსწავლობდი, მაშინ აკუტაგავას ნოველების თარგმნაც ვიფიქრე და ამ ჟურნალს მივწერე თხოვნის წერილი, რომ დამხმარებოდნენ ნოველების მოძიებაში თუ ამ მწერლის შემოქმედების უკეთ გაცნობაში. ჰოდა, აი, ვინმე გ. ჩხარტიშვილის პასუხიც მაშინ მივიღე...

მოკლედ, მერე დავადგინე, რომ ეს ვიღაც გრიგორი ჩხარტიშვილი იყო, ჟურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურის“ აფრო-აზიის ქვეყნების განყოფილების უფროსი რედაქტორი... და აი, როგორი მოულოდნელი გულისხმიერება გამოიჩინა ამ კაცმა მეთქი, მაშინ ვფიქრობდი. თორემ იმ ხანებში რამდენი უპასუხო წერილი გამიგზავნია, ვინ მოთვლის...

რა ვიცოდი, რომ მერე და მერე ეს უფროსი რედაქტორი გრიგორი ჩხარტიშვილი გახდებოდა მსოფლიოში ცნობილი მწერალი ბორის აკუნინი და კვლავაც მისი თავაზიანი ნებართვებით მისივე ოთხი რომანის ქართულად თარგმნა მომიხერხდა, რომელთაგან სამი: „აზაზელი“ (კონსპოროლოგიური დეტექტივი), 2004, „თურქული გამბიტი“ (ჯაშუშური დეტექტივი), 2006, „ლევიათანი“ (ჰერმეტული დეტექტივი), 2006 – ნიგუნადაა გამოცემული და მეოთხე, ჯერ ნიგუნად ვერ გამოსული „საგანგებო დავალებები“ (ორი ამბავი ერასტ ფანდორინის თავგადასავალებიდან: „პიკის ვალეტი“ (ამბავი თალითებზე) და „დეკორატორი“ (ამბავი მანიაკზე)).

არც ის ვიცოდი, რომ 2016 წლის 18 ოქტომბერს თბილისში ჩამოსულ გრიგორი შალვას ძე ჩხარტიშვილს, იგივე ბორის აკუნინს დიდ შეხვედრას მოუწყობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სააქტო დარბაზში, სადაც პირადადაც გავიცნობდი, კახურ ქუდაც ვაჩუქებდი, თეთრს და ერთადაც გადავიღებდი ფოტოებს.

ხოლო იმ ბანდეროლში რომ პროფესორ ვლადიმირ სერგევიჩ გრიგორინის ნიგნი იყო „აკუტაგავა რიუნოსკე (ცხოვრება. შემოქმედება. იდეები)“, ის დღესაც ბიბლიოთეკაში მაქვს, გადმოვიღებ და ისევე სიამოვნებით ჩახედავ ხოლმე, თანაც იმ დროს ვისხენებ, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასასრულს, როცა ამ მონოგრაფიამ ფასდაუდებელი დახმარება გამიწია ამ დიდი იაპონელი მწერლის უკეთ გასაცნობად და შესასწავლად.

ორნაირი მუსიკა: კატაბი და კალეზი

(იმამ შოლაშვილისა და იოახიმ ბრიტცეს მიერ გერმანულად თარგმნილი მიხომ მოსულიშვილის მინიატურების ნიგნის Schwäne im Schnee (გედები თოვლქვეშ) ბოლოთქმადან, პოპის გამომცემლობა, 2017)

ბავშვობიდან მომეყება კიდევ ერთი უცნაური მშვენიერება, რაც ჩემს სულს ამადლებდა – ეს იყო მუსიკა. ოღონდ მუსიკის საქმე რთულად იყო:

ერთნაირი მუსიკა იყო, ვერ ვიტანდი და გავუბრბოდი, ან რადიოს გამოვრთავდი, ან მოვშორდებოდი ხოლმე, რომ აღარ მესმინა, ისე არ მომწონდა.

და სულ სხვანაირი მუსიკაც იყო ხოლმე, რომლის მოსმენისას ჩემი სული აფრინდებოდა და ნავარდს იწყებდა, რაღაც ულამაზეს პეიზაჟებში, ასევე უცნაურად განლაგებულ და მოლაპარაკე ადამიანებში დაფრინავდა და ეს ძალიან მომწონდა...

სანამ უნივერსიტეტში სწავლა არ დავიწყე და თანაც მოთხრობების წერა, არ ვიცოდი, რატომ მქონდა მუსიკასთან ასეთი უცნაური დამოკიდებულება. როცა ჩემი პროზის სტილის პოვნას ვცდილობდი, მაშინ ბევრ მწერლებს ვკითხულობდი, მათი წერის სტილს ვსწავლობდი და მთელ გვერდებსაც ვინერდდი მათგან, რომ გამეგო, როგორ წერდნენ.

ზოგი მწერალი ახლოს იყო ჩემთან და ზოგისგან გაქცევა მინდებოდა. აქაც ისევე მემართებოდა, როგორც მუსიკაზე – პატარაობისას. მაგრამ იქ თუ ვერ ვხვდებოდი, რა მჭირდა, მწერლების სტუდიებისას მივხვდი, რომ:

ჩემთან ახლოსაა ჰერმან ჰესე და შორსაა კავაბატა.

ჩემთან ახლოსაა დოსტოევსკი და შორსაა ტოლსტოი...

ჩემთან ახლოსაა ვაჟა-ფშაველა და შორსაა ილია ჭავჭავაძე...

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ თომას მანი, კავაბატა, ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე ცუდი მწერლები არიან, უბრალოდ, ჩემგან შორს იყვნენ, ჩემს შინაგან ბუნებასთან.

მერე, როცა იმასაც მიხვდი, რომ ყოველი ნაწარმოების რიტმს განაპირობებს მუსიკა, აღმოვაჩინე, რომ ჰერმან ჰესეს ნაწარმის რიტმს და ნყოფას განაპირობებდა მოცარტისა და ბახის მუსიკა, და არა, მაგალითად, ბეთჰოვენისა ანდა შაინდისა თუ შუმანისა.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი ნოდარ გაბუნია ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა:

„რომანტიკოსთაგან ჩემთვის ყველაზე ახლობელი შუბერტი და შუმანია. ჩემი, როგორც მუსიკოსის ნატურა სწორხაზოვანია, არა ისეთი ელასტიკური... ცხოველებს თუ შევადარებთ, მე ნაკლებად კატური ბუნება მაქვს, უფრო ძალღერძი... კატის მიხერა-მოხერა არის მოცარტთანაც და შოპენთანაც, რაღაც შემპარავი მიხერა-მოხერა, კონტურებს თვალს ადევნებ და კუთხეს ვერ დაინახავ. შაინდთან, ბეთჰოვენთან, შუმანთანაც ეს კუთხეები ჩანს. ამიტომ შოპენს, რა თქმა უნდა, უკრავ, მაგრამ სცენაზე გამოტანილსაგან თავს ვიკავებდი, რადგან არა მქონდა რწმენა, რომ ეს ის იქნებოდა, რაც უნდა ყოფილიყო. მოცარტსაც არც ისე ხშირად ვუკრავდი. უფრო სიამოვნებით ვასრულებდი შაინდს, ბეთჰოვენს, შუბერტს...“

ასე რომ, ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი ამ დაყოფით, როგორც დიად კომპოზიტორებში, ისე სხვა, ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ადამიანებში გვხვდება „კატისა“ და, პირიქით, „ძალის“ ბუნების ინდივიდები.

მაგალითად: კატა ჰერმან ჰესე (ჰერმან ჰესეს ავტობიოგრაფიული გმირი ჰარი ჰალერიც რომანიდან „ტრამპლის მგელი“ თავის ერთ-ერთ ჯადოსნურ სიზმარში სწორედ მოცარტის გრძელ თმას ჩასჭიდებია და ისე ქანაობს სამყაროში...) და ძალისა თომას მანი.

კატა – ბახი, მოცარტი, შოპენი... და ძალისა – ბეთჰოვენი, შაინდი, შუმანი, შუბერტი...

კატა დონ კიხოტი და ძალისა სანჩო პანსა. როცა ეს ფსიქოლოგიური დაყოფა ვიპოვე და გავისხენე, რომ აღმოსავლური კალენდრით მე „ვეფხვი“ ვარ, რადგან 1962 წელს დაიბადე, ანუ „კატა“ ვარ, მერე ისიც აღმოვაჩინე, რომ მე ბავშვობიდან უფრო ახლოს ვიყავი „კატის“ ტიპის კომპოზიტორებთან, მათი მოსმენა მამდინიერებდა და გავუბრბოდი „ძალის“ ტიპის მუსიკოსებს. მერე ასევე მომიღოდა ლიტერატურაშიც.

მას მერე ვიცი, როგორ უნდა ვწერო ჩემი ნაწარმოებები, – როგორ და, ყველა ჩემი ნაწარმოების სტილს განაპირობებს რომელიმე „კატა“ კომპოზიტორი ან, ზოგადად, „კატის“ ტიპის მუსიკა – მოქნილი, სხარტი და ლალი.

მაგალითად „მინიატურების ციკლი“ „გედები თოვლქვეშ“ მთელი ცხოვრება ინერება და მას საფუძვლად უდევს ცალკეული მუსიკალური ფრაზები „ჩემი“ კომპოზიტორებიდან – აი, რომ უკრავ ცალკეულ ფრაზებს და იქვე სხვებზე გადადიხარ. და ჯამში მოზაიკური სურათი გამოდის.

რომანი „ფრენა უკასროდ“ ეყრდნობა ჯაზის მიმდინარეობა, „ბი-ბოპის“ სტილს და, კერძოდ, ჩარლი პარკერისა და დიჯი გილესპის იმპროვიზაციებს.

ვაჟა-ფშაველაზე ბიოგრაფია – მუსიკალურად ესაა ჯუშუბე ვერდის „ტრავიატა“.

მიკრო-რომანი „დიდი ძუ დათვი“ – მუსიკალურად მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“...

და ასე შემდეგ.

მე რასაც ვწერ, ის არ მოდის ლიტერატურიდან და რომელიმე მწერლის გავლენიდან, ჩემი ნაწარმოების საფუძველი ალბურია ხოლმე მუსიკიდან. მერე მოვძებნი ხოლმე „ჩემი“, ანუ „კატის“ ტიპის მხატვრების სურათებს ვიზუალური წარმოდგენისათვის და ასე ვცდილობ რაბის დაწვას.

და მწერლობასთან ჩემი ამგვარი მიდგომა ბავშვობაში მოსმენილმა ორნაირმა მუსიკამ განაპირობა, ერთს რომ გავუბრბოდი და მეორეს კი ვეძებდი ხოლმე.

ნიმო დარბაისალი სტრონი

მოსუცი გაგა სასხლავით ხელში

არსებობს ამ ლექსის საუკეთესო ანალიზი, რომლის ავტორიც თეიმურაზ დოიაშვილია.

ამ უპირველესი გალაკტიონოლოგის ყველა გამოკვლევას ერთი საერთო რამ ახასიათებს. არა მარტო ახლიდან, ახალი თვალთი გაკითხვებს თითქოს აქამდე კარგად ნაცნობ ტექსტს, ახალ სიღრმეებსა თუ პლასტებს აღმოგაჩინებს, არამედ მუდმივი დიალოგის რეჟიმში გტოვებს, როგორც მკითხველს. გაითვლებს, კვლავ და კვლავ მიუბრუნდეს ტექსტსა და მკვლევრის ნაზრევსაც მასზე.

მცირე დაკვირვება, რომელსაც აქ ვთავაზობთ, უთუოდ ამ გარემოებით არის ინსპირირებული.

ჩემი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გალაკტიონის შესწავლას მიეძღვნა.

მისი ლექსებისა თუ ცალკეული სახეების განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციების გაცნობის დროს არ მტოვებდა რაღაც, დაახლოებით ასეთი ფიქრი:

– რატომ ან ასე ან ისე?

ერთი პოზიცია რატომ გამორიცხავს მეორეს, მესამეს და ასე შემდეგ.

– იქნებ ერთდროულად ასეც, ისეც და კიდევ სხვანაირად?

უნდა გასულიყო დრო და მივსულიყავი დასკვნამდე, რომ ეს სწორედ გალაკტიონის ჩანაფიქრი იყო, ერთ ლექსში, ერთ სახეში, ერთ სიტყვაში მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი პლასტიკური შეთავაზებინა, მოეხდინა ერთ სახედ ინტერპრეტაცია.

ასე ვდებ იგი სიმბოლისტური ესთეტიკის კონტექსტში, და არ მგონია, მთლად ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ეს განსაზღვრავს მისი, როგორც პოეტი-სიმბოლისტის ინდივიდუალურ სახეს.

უნდა ვაღიარო, რომ მე თავის დროზე ხელიდან გაუშვი უნიკალური შანსი, ერთ ლექსის „უცნაური სასახლის“ შესახებ გამოკვლევაში გამოკვეთილად მეჩვენებინა ეს გარემოება. დღემდე მასსოვს ჩემი საყვარელი მეგობრისა და კოლეგის, კოკა ბრეგვაძის სახეებით სამართლიანი, საჯარო შენიშვნა, მოხსენების კითხვისას იქ შეწყვიტე კვლევა, საიდანაც განვითარებას მოველოდი.

მიუზრუნდეთ ლექსს „ცვრიან ბალახზე“.

ვინ იგულისხმება აქ მოხუც მამაში, ვინც „სასხლავით ხელში დადის ვენახში“?

1. აკაკი, რომელსაც გალაკტიონი აღმერთებდა;
 2. ილია, რომელსაც საქართველოში მევენახეობის განვითარებაზე ბევრი აქვს ნაზრუნი და წერილებიც – გამოქვეყნებული ამავე დროს, მისი ალუზიონით – მდიდარია გალაკტიონის ეს ლექსი, თუ
 3. გ. ტაბიძის კონკრეტული მამა (პროფესიით პედაგოგი, რომელიც პოეტის დაბადებამდე, ახალგაზრდა გარდაიცვალა);
 4. თუ ყველა ეს და კიდევ ვიღაც?
- ხომ არა გვაქვს აქ „კონკრეტულ“ პოეტურ ხატში შენივთული რაღაც, უფართოესი გაგება მამისა? ყმანვილ გალაკტიონს საულიერო აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში.

არ ვიცი, დღეს რამდენად სრულყოფილიადაა შესწავლილი ქრისტიანული ლიტერატურის პლასტები მის პოეზიაში, იქნებ რის თქმასაც ახლა ვაპირებ და სიახლედ მეჩვენება, ჩემს არყოფნაში გალაკტიონოლოგიამ მოიხსენია კიდევ, მაგრამ მე ვიტყვი და თუ ვინმე ქართულ წყარს მიმითითებს, მადლიერებითა და სიხარულით მივიღებ.

იოანეს სახარებაში (15:1-8)...

თუმცა რატომ გადმოვიცე ჩემი უბირი სიტყვებით, ბარემ სახარებდანვე დავიმომხმებ:

1. მე ვარ ვაზი ქმემარტი, და მამაჩემი მევენახეა.
2. ჩემს ყველა ღერს, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის, და ყველას, რომელსაც გამოაქვს ნაყოფი, განმენდს, რათა მეტი მოისხას.
3. ხოლო თქვენ ანვე წმიდა ხართ სიტყვითა, რომელსა გეტყვოდე თქვენ.
4. დარჩით ჩემში და მე დაერჩები თქვენში. როგორც ღერნი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩა ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში. ა
5. მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ღერნები ხართ, ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს; ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ.
6. ვინც არ დარჩება ჩემში, ღერნადავით გადაიგდება და გახმდება; შემდეგ კი აგროვებენ, ცეცხლში ყრიან და ინვის.
7. თუ დარჩებით ჩემში და ჩემი სიტყვები დარჩება თქვენში, ყველაფერი, რასაც ისურვებთ, ითხოვით და გექნებათ.

8. ამით იდიდება მამაჩემი, თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს და იქნებით ჩემი მონაფენი.

9. როგორც შემეყვარა მე მამამ, მეც ასევე შეგიყვართ თქვენ; დარჩით ჩემს სიყვარულში“.

ეს – ქრისტეს ბოლო ქადაგება მაფიქრებინებს, რომ ვენახში სასხლავით მოსიარულე მამა კიდევ ერთ მთავარ მნიშვნელობასაც შეიცავს და მასში მამა-ღმერთი იგულისხმება.

არ ვიცი, ვისთვის როგორ, ჩემთვის კი ამგვარი გააზრდა-განცდა აპოკალიპტიური სიმძაფრით ავსებს მთელს ლექსს.

გალაკტიონი „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული“.

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული?! ნინაპართაგან ნავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ურამული. გაშალა ველი ნელმა ნიავმა, და მელანდება მე მის ნიალში მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში. აქ თითო ღერნი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დაგვმავნება! ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!.. დავდივარ... ცნუხვარ და მენანება!

რიღე — ციური თუ ცბიერი

„გალაკტიონის ცეცხლი და ბურუსი“ ზურაბ კიკნაძის საუკეთესო გალაკტიონოლოგიური ნერილების რიგს მიეკუთვნება.

<https://burusi.wordpress.com/.../12/09/galaktion-ta-bidze-29/>

იგი ეძღვნება გალაკტიონის ერთი ლექსის ანალიზს. გავისხენოთ იგი:

სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდა, ნუ მოაძლი ციურ რიღეს, რომ ბურუსში ჩნდებოდა. თითქო სული სადმე ვლიდეს, და გულს ცეცხლი სდებოდა. სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდა.

ავტორი შესავალშივე, ვიდრე ვარიაციების გზით ამ ერთი ქმნილების სამყაროში გაგვიღვებოდა, დეტალურად აღწერს ხელნაწერს:

„ჩვენს წინ არის პოეტის ერთი ობოლი ლექსი, რომელსაც არც სათაური აქვს და არც თარიღი უზის. ავტორს მისი გამოქვეყნება არ უცდია. პირველად მისი სიკვდილიდან თოთხმეტი წლის შემდეგ დაიბეჭდა აკადემიური გამოცემის VII ტომში. ავტორი ამ, ერთი შეხედვით, მინიატურულ ლექსს, როგორც ჩანს, არ მიბრუნებია. დაუნყია მისი ჩანერა ფანქრით, გაუგრძელება მწვანე მელნით და მწვანე მელნითვე უსწორებია მთელი თხზულება, და ასე დაუტოვებია“.

ზურაბ კიკნაძის წერილში წინ მკითხველს მართლა ვრცელ მისტიკურ სივრცეში მოგზაურობა მოელოდა. ეს სივრცე არა მხოლოდ ევროპული აზროვნების პორიზონტებს მოიცავს, არამედ კაცობრიობის ისტორიის უღრმეს ძირებს სწვდება, ჩვენ წინ იშლება მისტიკური სანახები: ბიბლია, დაო დე ძინის, სუფისტების სამყარო... ამ წერილის ნაკითხვა მართლაც ერთი სიამოვნებაა.

საკუთრივ ბიბლიასთან დაკავშირებით ნათქვამია რიღისა და კულულის, როგორც ღვთაებრივი ემანაციის, გამოსხივების, ასევე საიდუმლოს დამფარავი საგნის მნიშვნელობასა და არსზე. აქვეა ვერლენისა და ფრანგული სიმბოლისტური გამოცდილების კონტექსტი.

ხომ მართლა შთამბეჭდავია ეს ყველაფერი, არა? შთამბეჭდავდაც დარჩებოდა, რომ არა ერთი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ კონცეპტუალურად უაღრესად მნიშვნელოვანი რამ: გალაკტიონის ანუ ავტორისულ ხელნაწერში არის არა „ციური რიღე“, არამედ „ციური რიღე“. რაც გარკვევით იკითხება და აკადემიური თორმეტტომეულის გამოცემლებს ან კორექტურა გაეპარათ, ან თვითნებურად „გამანაარანეს“ ტაბიძის ლექსი, ხოლო წერილის ავტორი ენოდ მათ გამოცემას და ააგო ვარიაციათა მთელი შენობა ისე, რომ საბოლოოდ ძალიან, ძალიან კი არა საერთოდ ასცდა და დაუპირისპირდა გალაკტიონის ჩანაფიქრს.

მართლაც, თითქოს გარეგნულად დანერვილობით, დიდად არც განსხვავდება ორი სიტყვა „ციური“ და „ციური“, ფონეტიკურადაც ახლოა, უღერადობა, მარცვლოვანება და ასე შემდეგ. კონცეფციას თუ არ გავითვალისწინებთ.

„ციური რიღე“ საგვებით ითავსებს ყველა იმ ბიბლიურ, დადებით მნიშვნელობას, რასაც წერილის ავტორი აღნიშნავს. იფარავს იდუმალს, აკავებს

გალაკტიონოლოგიური ოპუსებიდან



ემანაციის მოქმედებას და ასე შემდეგ. მაგრამ ეს როდია რიღის ერთადერთი სახეობა ბიბლიაში.

არსებობს მისი საპირისპირო, ასე ვთქვათ, „სატანური რიღე“ (პირდაპირ ასე მოისხენიებს ყურანი), სხვაგვარად – ცოდვის რიღე, რომელიც გვეფარება რა, უფლისგან ჩვენს ადამიანურ სახეს ფარავს, ანუ იგი „ციური რიღეა“. მის შესახებ საუბრობს პავლე მოციქული (მეორე კორინთელთა 3: 7-13-15, 16 -18 და ა.შ:

„7. და თუ მსახურება სიკვდილისა, ქვაზე ასობივით გამოსახული, იმდენად სასახელი იყო რომ ისრაელის ძენი თვალს ვერ უსწორებდნენ მოსეს სახეს, მისი დიდებული იერის გამო, რომელიც, თავისი დიდებულების მიუხედავად, მაინც წარმავალი გახლდათ, –

8. რამდენად უფრო სასახელი იქნება სულის მსახურება დიდებით?

9. რადგანაც, თუ განკითხვის მსახურება დიდებაა, მით უფრო მეტი იქნება დიდება სამართლიანობის მსახურება?

10. იმდენად, რომ იმ დიდებას აღარც კი ეთქმის დიდება ამ უხეიანს დიდებასთან შედარებით.

11. ვინაიდან თუ წარმავალს ჰქონდა დიდება, რამდენად უფრო მეტი დიდება წარუვალისა.

12. ამიტომ ასეთი სასოების მქონენი უფრო თამამად ვმოქმედებთ,

13. და არა როგორც მოსე, რიღე რომ ჩამოიფარა სახეზე, რათა ისრაელის ძეთ არ ეხილათ დასასრული წარმავალისა.

14. მაგრამ დაჩლუნდა მათი გონება, რადგანაც იგივე რიღე, ძველი აღთქმის კითხვისას, დღემდე ჩამოუხსნელი რჩება, ვინაიდან მხოლოდ ქრისტეში იხსნება იგი.

15. ასე რომ, დღემდე, მოსეს კითხვისას, იგივე რიღე უბურავთ გულს.

16. მაგრამ როცა უფლის მიმართ მიქცევინან, ჩამოესხნებათ საბურველი.

17. უფალი სულია, ხოლო სადაც უფლის სულია, იქვეა თავისუფლება“.

ქრისტეში შესვლა არის გათავისუფლება ამ „ციური“ რიღისგან, ანუ გალაკტიონისეულ ხელნაწერში გვაქვს, საიტ galaktion.ge-ზე <https://galaktion.ge/?page=Poetry&id=2520>

სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდა, ნუ მოაძლი ციურ რიღეს, რომ ბურუსში ჩნდებოდა. თითქო სული სადმე ვლიდეს, და გულს ცეცხლი სდებოდა. სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდა.

თუ ლექსს წავიკითხავთ ისე, როგორც ხელნაწერშია, იგი კვლავ შეინარჩუნებს მისტიკურ საბურველს, ოღონდ ქრისტიანული კონცეფცია ზურაბ კიკნაძისეულს საპირისპიროდ შეიცვლება.

გამოვა, რომ ლექსი ამბობს, ვიდრე ავდარია, ვიდრე ვნის და გზები სვლია, დაე, ფარავდეს მას (ვიღაცას) თუ რაღაცას) ციური რიღე, ღმერთს, ქრისტეს არ ეჩვენოს თავისი ნამდვილი სახით, იყოს ბურუსოვანი, ამის გამო, რომ სული სადაც ვალს, გულს ცეცხლი ედება, მაგრამ გზები გამშრალდება, ანუ გამოიდარებს, საბოლოოდ დადგება დარი და ყოველივე ცხადი მოქმედება.

გალაკტიონი ამეყოფა, რომ მოსკოვში უმაღლესი სასულიერო კურსები დაამთავრა, იგი ძალზე განიცდიდა, რომ ხელმოკლეობის გამო არ მიეცა საშუალება, მიეღო უმაღლესი განათლება ბიბლიკლტიციანივით. მას რეალურად, მიღებული ჰქონდა

სასულიერო განათლება, ჯერ ქუთაისში, შემდგომ თბილისში.

იგი არ ყოფილა ორთოდოქსი მორწმუნე, ცალკე შესწავლის თემა და ვინ იცის, უკვე შესწავლილიც დემონიზმის გამოვლინებანი მის შემოქმედებაში, მაგრამ ბიბლიურ ცოდნას კი ნამდვილად ფლობდა, რაც, ვფიქრობ, ამ რეფრენული რკალით შეკრულკომპოზიციანი, პატარა ლექსის მისეული ჩანაფიქრითაც დასტურდება.

ერთი პერიოდი, ვფიქრობდი, რომ როდესაც ავტორის ამა თუ იმ ქმნილებას ვაანალიზებთ, აუცილებელია, წარმოდგენა შევიქმნათ მის მამინდელ თეზაურუსზე. რათა ჩვენი ცოდნის პირობებში, გარედან არ შევიტანოთ მის შემოქმედებით, კონცეპტუალურ ველში რაიმე ისეთი, რაც მას არ შეიძლება, იმ დროს სცოდნოდა. (მაგ. დაო დე ძინი)

ახლა ვფიქრობ, რომ ეს არის მეტისმეტად ბუკვალური მიდგომა, რადგან გამორიცხავს სწორედ იმას, რითაც გალაკტიონი არის დიადი – გენიალურ ინტუიციას.

გენიალური ინტუიცია არის სწორედ ის, რაც განაპირობებს „უეცარ ფეთქებას“, ნახტომს დრო-სივრცულად დაშორებულ სამყაროში.

დასასრულ, მინდა გარკვევით განვაცხადო: ამ ჩემი მცირე ოპუსის მიზანს არ წარმოადგენს ზურაბ კიკნაძის ნაზრევის კრიტიკა. ეს ჩემი მხრით უდიდესი კადნიერება იქნებოდა. მკითხველს ვურჩევდი, გულდასმით წავიკითხოთ მისი ყოვლისმომცველი წერილი, რომელსაც ერთადერთი ნაკლი აქვს, – გალაკტიონის რეალურ ჩანაფიქრის ასცდა, იმის გამო, რომ შემდგენლებმა, რომელთაც თავის დროზე მართლაც დიდი შრომა გასწიეს, თავიდან არასწორად ამოიკითხეს ორიგინალი და შემდგომ ყველა გამოცემაში შეცდომით გავრცელდა ლექსი.

P.S.

ეს მინაწერი კომენტარში კითხვის პასუხად დიდად და საჭიროდ ვთვლი, რომ აქაც გადმოვიტანო.

ერთი მეგობარი კითხულობდა, თუ რას ვგულისხმობ, როცა ვწერ სიტყვას „თვითნებურად“.

წინო დარბაისელი:

– ძალიან კარგი კითხვაა. მადლობა. ალბათ ცოტა ვრცელი პასუხი დამჭირდება. დღეს გალაკტიონის მემკვიდრეობა და სახელი საუკეთესოდანაა ნაპატრონები. მეტი მართლა აღარ ვიცი, რა უნდა გაკეთდეს. მისი იუმორისტული ჩანაწერებიც კი გამოცემულია. რასაც ვიცნობ, იმაზე დაყრდნობით ვერ ვიტყვი, უზალო გემოვნებითა და იუმორის გრძნობით არის-მეთქი შედგენილი, მაგრამ არ გამოვიცხავ, რომ მთლიანად წიგნი – კარგი იყო.

ყოველ შემთხვევაში, ეს საქმეც გაკეთებულია. ეს ჩემი გალაკტიონოლოგიური ოპუსები – უფრო ჩემი გულის გასახარად იწერება, მოცალეობის ხანს, თორემ არ მაქვს ილუზია, რომ გალაკტიონოლოგიას, როგორც ქართული ლიტმცოდნეობის დარგს რამეს მატებს. პროცესსმერე და პროცესსგარეთაა.

ახლა რაც შეეხება საკუთრივ სიტყვას „თვითნებური“.

ქართული ლიტერატურის ისტორიას არ გააჩნია სხვა ასეთი დიდი არქივი, როგორც გალაკტიონისაა.

დღეს იგი საუკეთესოდ მოვლილი კია, მაგრამ ამან ადამიანთა ცხოვრება წაიღო, – იზა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ენთუზიასტების მთელი ჯგუფი მუშაობდა მასზე და დღეს საარქივო მასალების 25-ტომეულიც კია გამოცემული, მის ბაზაზე საიტიც არსებობს... მაგრამ აკადემიური თორმეტტომეულის შემდგენელთა ნაწილს პირადად ვიცნობდი, რამდენიმე მათგანი ისევ ლიტერატურის ინსტიტუტში დამხვდა და მათი ნამუშაოდან ვიცი, პოეტის გარდაცვალების მერე ბინიდან მუზეუმში მასალები ტომრებით გადაჰქონდათ, დროზე რომ გაეცალათ იქაურობა და ფურცელ-ფურცელ უხდებოდათ გარჩევა ხელნაწერებისა, წარმოუდგენელი იყო თან იმ ქალაქების იდეალურად მოწესრიგება და თან – აკად გამოცემაზე მუშაობა. ფიზიკურად რაკი ვერ აუდიოდნენ საშუაოს, ახალგაზრდა მკვლევრებსაც იხმარებდნენ და, როგორც ჩანს, შედარებით დაბალკვალიფიციურმა პირმა ხელნაწერი ტექსტი კარგად ვერ გააჩნია, თან „ციური რიღე“ კონოტაციურად უფრო ჯდება გალაკტიონის ეს-თეტიკაში, ვიდრე „ციური რიღე“.

ცხადია, ეს არაა ერთადერთი შეცდომა თორმეტტომეულისა. ამიტომ გახდა მოსამზადებელ-გამოსაცემი ახალი ხუთტომეული, რომელიც საარქივო მონაცემებთან შეაჯერება უკვე გამოქვეყნებულ ტექსტებს და შეცდომებს გაასწორებს. როცა დიდი საქმე კეთდება, აუცილებლად გაიპარება მასში რამე შეცდომა.

ნათქვამია, „ვინც მუშაობს, შეცდომებსაც ის უშვებსო“. საქმის გაუკეთესების მოტივით გამოთქმული ყოველი ასეთი შენიშვნა მე – პირადად მადლიერების გრძნობით მისაღებად მიმამჩნია.

რეკლამა მიზნობრივად

ნიგნი XXI საუკუნის თავსაზღვრე

განა ცოცხალი ფონდები“ ვიცი, ინიციატორებმა თავიანთი ფიზიკის გასასაქმლებლად რომ დაარსეს.

აგერ, ა, ჩემს მასსოვრობაში შეიქმნა ხელისუფლების დამხმარე და გვარდიის გამაძლიერებელი ფონდი, რომელმაც გამოაცხადა: მოქალაქენო, მოიტანეთ თუ ძვირფასი რამ გაგაჩნიათ, ოქრო, ვერცხლი, ისტორიული ჯვარ-ხატები... გარნმუნებთ, უკლებლივ ყველაფერი ჩვენი არმიის გაძლიერებას მოხმარდება.

ამ უებრო ფონდის სათავეში ორი სახელოვანი პირი დგა. მე, პირადად, იდეით აღფრთოვანებულია, ფონდს ჩემი დიდი ბაბუის ნაქონი ნიკოლოზის ოქროს ჯვარი და ბეზიაშვილის საქონილი ბეჭედი შევნიერე.

მალე ის ომი სამარცხვინოდ წავაგეთ, ფონდის მესვეურნი კი მორცხვად ილიმბოდნენ, ჩვენ, რაც მოგროვდა, პირნიმინდად ჩავაბარეთ და ჯარს თუ არ მოხმარდა, რა ჩვენი ბრალია.

დიახ, ასეთი ფონდებიც არსებობენ.

ეს შესავალი უბრალოდ, სიტყვის მასალად არ დამინერია.

ხელოვნების ფონდები ფონდების ფონზე ხაზგასასმელია ილია ჭავჭავაძის ფონდის ხელმძღვანელისა და სახლ-მუზეუმის დირექტორის ანდრო ბედიუაძის უანგარო კეთილშობილური საქციელი, რაც ამ ფონდში თავმოყრილი სახსრებით საგამომცემლო ცენტრის დაარსებაში გამოიხატა.

...და აი, ხელთა მაცეს ილია ჭავჭავაძის ფონდის მიერ გამოცემული სოსო სიგუას ნაწარმების ათგომეულის პირველი ტომი, ბრწყინვალედ რომ დაუსტამბავს გამომცემლობა „საარის“ დირექტორს ლევან თითმერას.

ძვირფას, თეთრი კოლენკორის ყდაში ჩასმულ პირველ ტომს „კულტუროლოგიის საფუძვლები“ აწერია. იგი სამი ნაწილისაგან შედგება: I – ნაწილი – კულტურის გენეზისი, II ნაწილი – კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიები, III ნაწილი – კულტურა და გლობალიზაცია.

პროფესორმა სოსო სიგუამ უკვე მოიპოვა საქართველოში კულტუროლოგიის, როგორც ახალი მეცნიერების ერთ-ერთი დამფუძნებლის სახელი.

ამ მეცნიერის ნაშრომები კარგა ხანია გაცდნენ ჩვენი ქვეყნის სამანებს და საერთაშორისო აღიარებით სარგებლობენ.

მარტო იმის ხაზგასმა რად ღირს, რომ სოსო სიგუა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს კულტუროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და არაერთი სამეცნიერო კრებულის გამოცემის თუ საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარების ინიციატორია.

სოსო სიგუა ნამდვილი მეცნიერია. იგი არაფერს ამბობს არ-გუმენტების და ფაქტების გარეშე.

ყოველთვის ეყრდნობა მის მიერ მოპოვებულ მასალებს და, რაც მთავარია, ხელთა აქვს რა მსოფლიო კულტუროლოგიის უახლესი მონაცემები, არასოდეს აკეთებს ნაჩქარევ დასკვნებს.

ანალიზი და მხოლოდ ანალიზი გახლავთ მისი კვლევის მეთოდი. ამასთან ერთად სოსო სიგუას უპირველესად აინტერესებს საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი მსოფლიო კულტურის ფარგლებში. ამ წვლილის ნარმოჩინისას უაღრესად ფრთხილი და ზომიერია. ზოგი ხელაქარბული მეცნიერისგან განსხვავებით არასოდეს სძლევს მის ბუნებაში მეცნიერის ცივ გონებას აღტაცებული ურამატორიტიზმი.

უპირველესი ღირებულება ამ ნიგნისა ორი რამ გახლავთ: პირველია, ავტორის სრული ენციკლოპედიურობა და ინფორმატიულობა; სოსო სიგუა ამ ნიგნის მიხედვით ერთდროულად გახლავთ: კულტურის ისტორიკოსიც, ლიტერატურათმცოდნეც, ეთნოგრაფიც, ენათმეცნიერიც, პოლიტიკოსიც და თანამედროვეობის ისტორიკოსიც.

მეორე ხაზგასასმელი თვისება ამ ნიგნისა თანამედროვეობის მძაფრი განცდაა.

კითხულობთ ნიგნს და გრძნობთ, რომ იგი ახლახან დაინერა. შენმა თანამედროვემ შექმნა.

მეცნიერები თავს იმტვრევენ, რათა პასუხი გასცენ ლამის დღემდამდე ქცეულ კითხვებს:

როგორ, როდის და რატომ შეიქმნა კულტურა.

რა განსხვავებაა კულტურასა და ცივილიზაციას შორის.

რა დაემართა XXI საუკუნის ადამიანს, რომ ერთბაშად გაუგიღვრილდა კულტურას.


რატომა რომ ჩვენს გარშემო არსებული ადამიანთა სამყარო ყრუა კულტურის მიმართ და მხოლოდ სოციალურ ქსელებში ენერგიულ (მაგრამ კეთილშობილ) ადამიანთა მეშვეობითაა სუნთქავს კულტურა ზოგჯერ ამკარად შეკრეჭილ-შემოკლებული გამოვლინებით?

ამ და სხვა უამრავ თანამედროვეობისათვის სფინქსის გამოცანად ქცეულ კითხვებზე ცდილობს სოსო სიგუა აზრის, არგუმენტირებული პასუხის გაცემას.

მოგეხსენებათ, კულტუროლოგია კულტურის კანონების და მიღწევების შემსწავლელი საერთაშორისო მეცნიერებაა. ამიტომაც პრობლემები, რომელთაც სოსო სიგუა ჩვენს ნინაშე აყენებს, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო პრობლემებია (ამიტომაც, რომ ეს ახალი მეცნიერება მსოფლიოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება), მაგრამ ნიგნის ავტორი (ცდილობს (და ამას ოსტატურად ახერხებს კიდევ) ქართული ხელოვნების თავისებურება მსოფლიო კულტურაში განსაკუთრებულად და მისი ნიშნები მკითხველს სამუდამოდ დაამახსოვროს.

სოსო სიგუამ კარგად იცის, რომ ადამიანს იმის შემდეგ რაც იგი ცხოველთა სამყაროს ნაწილობრივ გამოეყო და „მოაზროვნე ცხოველად“ იქცა, აზროვნების ორი სახე გააჩნია – შემეცნებითი აზროვნება და მხატვრული აზროვნება. ეს უკანასკნელი აზროვნების უფრო მაღალი სახეა და მხატვრული აზროვნების უნარი ადამიანთა უაღრესად მცირე პროცენტს ახასიათებს.

ნიგნს ნივთი ზოლად გასდევს ჩვენი ეპოქის თავისებურებით გაპირობებული განსხვავება ცივილიზაციასა და კულტურას შორის. რაკი არაერთი მეცნიერი ცივილიზაციასა და კულტურას ერთმანეთში ურევს, ჩვენ დავაკანონეთ ამ ორ ცნებას შორის არსებითი გამოიჯვანა. კერძოდ, ცივილიზაცია გახლავთ შემეცნებითი აზროვნების შედეგად მიღწეული თითქმის ყველაფერი (მეცნიერება, სკოლა, ეკლესია... და ა.შ.), ხოლო კულტურა მხოლოდ მხატვრული აზროვნების ნაყოფია (ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, ქორეოგრაფია, დიზაინი... და ა.შ.).



ტერობა, ხუროთმოძღვრება, ქორეოგრაფია, დიზაინი... და ა.შ.). ერთ-ერთი ყველაზე ღირებული სოსო სიგუას თხზულებათა პირველ ტომში ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქის ფსიქონალიზია.

რა მოხდა? რატომ შეიცვალა მსოფლიო უკეთესობისკენ კი არა, უარესობისკენ?

ნუთუ საყოველთაო კომფორტმა და მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გააკეთა ყოველივე ეს?

რატომ გახდა დედამიწაზე ადამიანი, ყოველგვარი ანალიზისგან სრულიად საპირისპიროდ, ასეთი უღმობელი?

რა ძალამ გადასწონა სიყვარული სიძულვილისკენ.

რატომ ხოცავენ დედამიწის ერთ მეექვსეზე ახალგაზრდები კბილთა ღრჭიალით თავიანთ თანატოლებს? მოხუცებს? ქალებს და ბავშვებს?

მაშინ, როცა თითქმის ყველა რელიგიური სწავლება და კეთილი ნების ფილოსოფია ქადაგებს, რომ ბოროტებას ბოროტებით არ უნდა შეებრძოლო და რევანშიზმი დამლუპველია, რატომ მოექცა ყველა სამშვიდობო მოლაპარაკება ჩიხში და რატომ ჩამოყარეს ხელები მსოფლიო დიპლომატიკა უსუსურობის ნიშნად?

რატომ აღარ კითხულობენ ნიგნებს?

რატომა ცარიელი საგამოფენო დარბაზები და კინოთეატრები? რატომ შეცვალა სასიმილო ტკბილი მუსიკა და ამოდსასმენი სიმფონია ვაქსანალიამ?

ნუთუ ჩვენ თვითონ გავახმეთ ჩვენს არსებაში სიყვარულისკენ, რომანტიკისკენ, პოეზიისკენ მიმსწრაფი ვერყი?

მაშ, რატომ გახდა ადამიანი უფრო სასტიკი?

ახლახან ნასული, ცხოვრებული თემურ ჩალაბაშვილი ერთ ლექსში დასტეროდა ქუჩაში მოკლულ ბებერ ძალს, ამით ძალის მკვლელებმა კაცთა ერთგულება დასაჯესო.


როცა ამის მსგავს სურათს მშვიდად ჩაუვლი, როცა ქუჩაში მდგომ მათხოვარს არ განიკითხავ, როცა განთიადისას ცათამბჯენების და მხრწოლავი მიღების მიღმა აღმოსავლეთით ამონეწერლ მენაწერლ მზეს თრთოლვის გარეშე შეხედავ, როცა ზამთრის სიცივეში ფანჯარას მომწყდარი მშვიტი ბელდუ გულს არ აგიტოვებს, ესეიგი რაღაც გაკლია, სრულყოფილი ადამიანი აღარა ხარ, ესეიგი გალაკტიონის შთამომავალი აღარ ცოცხლობს შენში.

შებრალების, შეწყალების, მიტევების უნარს თუ დაკარგავ, იცოდე, ერთი ნაბიჯილა გრჩება კანონობრივად.

მაშ, ვისთვის დანერა გალაკტიონის:

„ამ გვიან ღამით ვილაც დადის საქართველოში, ამ გვიან ღამით ვილაც კენისის, ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში, სადღეგრძელოში ვახსენოთ, ჩვენ, ის...“

კრიტიკა №18



გამოვიდა ჟურნალი „კრიტიკის“ (რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე) მე-18 ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია: „ვექტორების“ რუბრიკით – მაია ჯალაღავლის „ელა გოჩიაშვილის პოეზიის ფერადები“ და „სიყვარულის განდევნა სამყაროდან (ვანო ჩხიკვაძის რომანი „გვირაბი“)“, ლალი ავალიანის „პატივი კატალიონის“ (ჯორჯ ორუელი) და „ბაჩანა ბრეგვაძის ჩანანერები“, ნონა ჯაბაგიძის ვილის „დაეინყებულნი უანრი შინ შეკეტილი მწერლისთვის (ირაკლი სამსონაძის „წერილები მეგობარს“)“, ზოია ცხადაიას „დამთავრება...“ უკვე დაკეცა ფრთები...“ (ლალი გულბისაშვილის ხსოვნისათვის)“, გაია არგანაშვილის შემოქმედებითი პორტრეტი ლელა ცუცქერიძისა, ადა ნემსაძის „კვაზიმოდოს ქალაქი“ – ნოდარ მაჭარაშვილის რომანი, მზია ჯამაგიძის „თანამედროვე ქართული ფსიქოლოგიური მოთხრობა“; რუბრიკაში „კულტურა“ გაეცა ჯალაღავლის „ელა გოჩიაშვილის

წერილს „ფერი და „მრგვალი მაგიდის“ რუბრიკაში წარმოდგენილია დისკუსია კრებულზე „თანამედროვე კრიტიკის ტენდენციები. 1957-1980-იანი წლების ჟურნალი: „კისკის“ გამოცდილება“; „სსოვის“ რუბრიკაში დაბეჭდილია წერილები: პავლე ინგოროცვა – 130, გურამ ასათიანი – 90, აკაკი ბაქრაძე – 95, ოტია პაჭკორია – 95, ოთარ ჭილაძე – 90, ერლომ ახვლედიანი – 90, ნოდარ დუმბაძე – 95. ნომრის სტუმარია მხატვარი ლევან ლალიძე (ესაუბრა მირანდა ტყეშელაშვილი). რუბრიკაში ფროსტის ესეი „მოდრაობა, სრულქმნილი ლექსი“ თარგმნა მანანა კვაჭანტირაძემ. ჟურნალი „კრიტიკა“ გამოდის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის იგედი.

თურმე ჩვენს ეპოქაში წმინდა სიყვარულს, გულწრფელ გატაცებას და თუ გნებავთ ნორმალურ სექსსაც მეტამორფოზა განუცდია.

მადამ ბოვარის და ანა კარენინას ეპოქა დასრულდა.

თურმე ახლა ბოვარის და ანას მოპარული სიყვარულები ადამიანს აღარ აღეგებს.

ვერც ქმრის ლალატისთვის ბოვარის და ანას წერლების მიერ გაკეთებულ შეფასებას იგებს მკითხველი.

რატომ?

ასეთი რამ ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება, დღეს ასეთი ეპიზოდები ხომ უამრავ ჩვენს ნაცნობს გადახდენიაო.

აი, სანამდე მისულა კაცობრიობა.

აღარ არის თურმე ტანჯული ანა კარენინას ტრაგიკულად დასრულებული სივრცე ზნეობრივი გაკვეთილი.

რატომ ცდილობენ გლობალისტ-ხელისუფალნი რომ ადამიანს დაეინყონ თავის ქვეყნის ისტორია, საბუთებში ნაუშალონ ეროვნება და მამის სახელი?

ნუთუ ასეთი გამანქურთებული, ყველა ინდივიდუალური პარამეტრით ნიველირებული მოქალაქე სჭირდება XXI საუკუნეს? თუ დააკვირდებით, აღარავინ საუბრობს ქართული კაცის განსაკუთრებულ ეროვნულ თვისებებზე – ქართულ ფერმიწებულ, საერთაშორისო ინსტიტუტებმა რეზოლუციებიდან ამოიღეს ცნება „ისტორიული მინები“.

აღარ ტარდება ტრადიციული ეროვნული დღესასწაულები. საქართველო რუსთაველის, ლია ჭავჭავაძის და გალაკტიონის ქვეყნიდან ნელ-ნელა იქცა ხინკლის, მწვადის, ხაჭაპურის და ქინძმარაულის ქვეყნად...

ადვილი გგონიათ თანამედროვე მსოფლიოს ამ თავსატეხებს პასუხი გასცეს მეცნიერმა?

ვისღა დაფუძნა, სოსო სიგუა ბრძნულად ართმევს თავს ამ ურთულეს საქმეს.

... და მაინც, რაკილა ნიგნი, უპირველეს ყოვლისა, მისი ავტორის სულის გამონაშუქია, ავტორს ჰგავს და თითქმის მისი ავტობიოგრაფია, უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა სოსო სიგუაზე. იშვიათად შემხვედრია უფრო განონანსწორებული პიროვნება, ვიდრე სოსო სიგუა გახლავთ.

იგი საოცრად მშვიდი და თავმდაბალია, ოღონდ თავის შესაძლებლობის სრულიად მცოდნე და ქართულ მწერლობაში თავისი არც თუ მცირე ადგილის გამსიგერებანებელი.

საერთოდ უკონფლიქტო კაცია, მაგრამ როცა საჭირო გახდება, კამეჩთან მოჭიდავე ხარს“ თავისსავე უკეთურობაზე კისერს წაატყენებს.

მეცხრამეტე საუკუნის ეროვნული ინტილიგენტის ტიპია მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეში გადმოსული, ნიდაგ ჰალსტუხიანი, თეთრგახამებულსაყელიანი და ქათქათა პერანგოსანი, თავზე „ცილინდრი“ და ხელში „ტროსტი“ აკლია, სხვა არაფერი. იმედად დარწმუნებული, ორთოდოქსი პატრიოტია.

როცა საქართველოში კაცის სული მძინვარება, ზვიად გამსახურდიას მტრებმა სოფლად მცხოვრები მოხუცი დედა მოუკლეს, მაგრამ ვერ შეაშინეს, წარბი ვერ შეარხვიანეს, რწმენა ვერ შეაცვლევინეს.

ინტილექტუალის უებრო ალლოთი გრძნობს ყოველივე სიახლეს. იცის, რას რა მოჰყვება, ვინ ცრუქაქუნად ბაქიუქობს და ვინ ებრძვის ქარის ნისქვილებს.

მის სიტყვას ფასი აქვს, რაკილა ეპითეტებს წამდაუნუმ არ ისერის და შეფასების დროს შეუფალი და უანგაროა.

ადვილად არჩევს ნამდვილ მწერლობას მწერლობა-სუროგატისგან.

შეუწყნარებელია სახელის განთქმის ჯიუტ მსურველთა, – სიახლეთა არა სათანადო ადგილას მძებნელთა“ და დაულალავ მვლამბელთა მიმართ.

მახსოვს, რა დღე ანია გამოგონილი, ყალბი იზმის – პოსტმოდერნიზმის მიმდევარ ერთ „ლიტერატურათმცოდნე“ ქალბატონს, რომელმაც, მთავარის მოტაცება „გვადი ბიგვა“ „ჯაყოს ხიზნები“ და „კოლხეთის ცისკარი“ უტოპიური ლიტერატურის ნიმუშებად გამოაცხადა.

ბელეტრისტიული ხელწერიტ და მსჯელობის მხატვრულ-კრიტიკული სინთეზით გერონტი ქიქოძეს წააგავს, მაგრამ ლიტერატურული პროცესების ფლობის გეოგრაფიით და მსოფლიოს ლიტერატურულ მწვერვალთა ცოდნის მასშტაბურობით თანამედროვე მწერლობაში სოსო სიგუას ვერავინ შეედრება.

ნების პაღალი კულტურისათვის

26. ორმაგი მრავლობითი ნართანინაში. არ აურიოთ ამ ნერილში უკვე განხილულ ორმაგი მრავლობითი შემთხვევა. იქ ვეხებოდი ერთსა და იმავე სიტყვაში მრავლობითი რიცხვის ნართანინის ორი სხვადასხვა ხერხის – „ეზ“-იანისა და ნართანინის ერთდროულ გამოყენებას, რაც კურიოზული უზუსტობაა. ახლა კი უნდა შევხებო ერთსა და იმავე სიტყვაში მრავლობითი რიცხვის ნართანინის ერთი და იმავე ხერხის (ნართანინის) ორჯერ გამოყენებას. ეს კიდევ უფრო კურიოზული რამაა.

ა) სათანადო ნიმუში ერთ-ერთი ხალხური ლექსიდან: „როშკას ატირდენ დედანი, ზღოს სახლი ქვითკირისანი“. აქ საწყისი ფორმაა „ქვითკირის სახლი“ (მხოლოდობით), ინვერსიით – „სახლი ქვითკირისა“, ხოლო მრავლობითი რიცხვში: „სახლი ქვითკირისანი“ (მრავლობითი ჩაისვა მსაზღვრელიც და საზღვრულიც). ამით სრულდება. მეტი აღარაა ერთი „გამრავლება“ აღარ შეიძლება, ამიტომ მეორე „ნ“ („ქვითკირისანი“) სრულიად ზედმეტია. მას რაიმე გრამატიკული ფუნქცია არ გააჩნია (თუ ეს ნინასწარგამიზნული „სტილიური“ ნიშანია, იგი ნარუმტეტელი და გაუმართლებელია). უნდა დარჩეს „სახლი ქვითკირისანი“.

ისე, შეიძლება ზოგი მკითხველი მაინც დაემთხვეს, რომ არც „სახლი ქვითკირისანი“ არის მთლიან კორექტული. იგი გაცდენილია მრავლობითი გადაცვლის მინიმალურ საჭირო მოთხოვნებს. მთავარი ხომ აქ ისაა, რომ მკითხველს გავაგებინოთ: საუბარია არა ერთ, არამედ მრავალ სახლზე. ამას კი მშვენივრად ახერხებს ფორმა „სახლი ქვითკირისა“. მრავალი შეიძლება იყოს მხოლოდ სახლი, ხოლო ის, რომ ქვითკირისა თითოეული მათგანი, ისედაც ცხადია, „ქვითკირისა“-სთვის „ნი“-ს დაუმატებლად. „ეზ“-იან მრავლობითში ხომ დავგწერდით „სახლები ქვითკირისა“ და არა „სახლები ქვითკირისები“ (თუმცა ეგებ ეს ფორმაც გამოიყენოს ზოგმა მწერალმა ზოგ სიტუაციაში). ასე რომ, მსაზღვრელის მრავლობითი რიცხვი დაყენება უფრო ესთეტიკურ-მხატვრულ ფენომენად მივხედვით, ვიდრე მწიბა გრამატიკულად. მაგრამ ეს ფუნქცია ხომ ზედმეტი არაა ენისათვის! ამიტომაც ნართანინა იგი და ფართოდ გავრცელდა, თუნდაც ვეფხისა და მოყმის ლექსში: „შიზნ გაიარე კლდისანი“, „ბილიკი ქოხისანი“ და სხვაგანაც. მეორე ხალხურ ლექსში შენახვედრი „სახლი ქვითკირისანი“ კი არაა ისეთი ფორმა, რომლის არც გამოყენება არ არც გვერდის ავლა არაფერს აშველებს – იგი გრამატიკული გადაცდომაა.

ბ) „მეფე პეტრე, მეფე გრიგოლი და ძმანი მათნი“. მცდარია „ძმანი“, რადგან „მათი ძმა“, ანუ ინვერსიულად „ძმა მათი“ მრავლობითი რიცხვი იქნება „ძმანი მათნი“ (ორივე სიტყვას დამატება მრავლობითის ნიშანი „ნი“). ეს საბოლოო ფორმა და ამიტომ მეორე „ნ“-ს გამოჩენის არავითარი საბაზო არ არსებობს.

ოლონდ, ვფიქრობ, ვითარება უფრო ნათელი გახვადო. არ მინდა მკითხველმა დაასკვნას, რომ ორი „ნ“ მსაზღვრელში საზოგადოდ გამოცხადდა. არა! შეიძლება ეს მოხდეს, ოლონდ არა ნართანინ მრავლობითში, არამედ მარტივ განსაზღვრებაში. ვგულისხმობ „მზიანი“, „ტენიანი“, „ფერსიანი“-ს ტიპის ეპითეტებს. მაშინ მივიღებთ ფორმებს: „მზიანი სახლი“, „ტენიანი ადგილი“, „ხავსიანი კლდე“.

ოლონდ არც ერთ ამთავანში „ნ“ არაა მრავლობითის მათყინებელი. თუ ამ ფორმებში ინვერსიას მოვხდენთ, გვექნება მსაზღვრელ-საზღვრულიანი წყვილები: „სახლი მზიანი“, „ადგილი ტენიანი“, „კლდე ხავსიანი“, ხოლო, თუ მრავლობითი რიცხვში გადავალთ, შეგვჩვენებს: „სახლი მზიანნი“, „ადგილი ტენიანნი“, „კლდე ხავსიანნი“. ყველა მსაზღვრელში ორი „ნ“ გაჩნდა, მაგრამ ყველაფერი წესის ფარგლებშია, რადგან ამ ორი „ნ“-დან მხოლოდ ერთი მრავლობითის მანართანინი, მეორე კი მსაზღვრელის (მაგალითად „მზიანი“-ს) ფუნქციური თანხმანია, მაშინ, როცა „სახლი ქვითკირისანი“-ს მეორე „ნ“ საერთოდ არაფერს გამოიხატავს, ანუ უფუნქციოა.

27. ჩაფიქრებულის საპირისპირო აზრის ჩადება ნინადადებაში.

ეს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მოვლენაა ფურნალისტურ პრაქტიკაში – სრულიად ჩამოყალიბებული, პრეტენზიული ავტორი წერს ნინადადებას, რომელთაც ამბობს არა იმას, რისი თქმაც სურს, არამედ მის აბსოლუტურად საპირისპიროს. მკითხველიც კითხულობს და – ისევე საოცრება – გებულობს არა იმას, რაც წერია, არამედ მის საინააღმდეგოს, ანუ სწორედ იმას, რისი თქმაც

სინამდვილეში ავტორს უნდოდა. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ მსგავსი ტექსტების ავტორი არავის გაუკრიტიკებია პრესაში, და ჩემი პრაქტიკიდანაც: რამდენჯერაც კერძო საუბრებში უნებლიეთ ვინმესთან დამიჩვილია – ასეთი კურიოზული შეცდომა ნაბეჭდ გამოცემებში არ უნდა იყოს-მეთქი, თითქმის არავინ დამთანხმებია, რომ ტექსტში გაუგებრობა იყო: ისე ესმოდათ ტექსტი, როგორც ავტორს სურდა. ეს უბრალოდ იმით აიხსნება, რომ ავტორთა და მკითხველთა დონე, ნაწერიდან აზრის გამოტანის შესაძლებლობათა მიხედვით, დაახლოებით ერთანია. მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ შევევლით აზრის დამახინჯებას და ამერიდან თეთრის მაგიერ შავი ვწერთ იმის იმედით, რომ მკითხველი იმ „შავში“ მაინც „თეთრს“ დაინახავს? რამდენიმე ნიმუშიც ცხადვყოფ, რომ რაც ზემოთ ვთქვი, ჩემი ფანტაზია არაა.

ა) „სალომე ზურაბიშვილი მარგველაშვილთან შედარებით მონაგონი იქნება“. რას ნიშნავს ეს ნინადადება და რის თქმა უნდოდა სინამდვილეში ავტორს? რატომ მგონია, რომ მან რაიმე შეცდომა დაუშვა? იმიტომ, რომ ქვეყნად ყველაფერი ლოკის ემორჩილება. მართლაც, რას გამოხატავს ამ ტიპის ნინადადებები? იმას, რომ ერთმანეთს უღარებენ ორ სუბიექტს ან ორ მოვლენას, რომელთაგან ერთ-ერთი რაღაც აზრით მეორეზე ადრინდელია, და ამბობენ, რომ ეს მეორე (მოვლენა თუ ადამიანი) იმდენად გამორჩეული, მასშტაბური, მძაფრი იქნება, რომ სრულიად „დააბნელებს“ და „ნაშლის“ პირველს: მისი ქმედებანი, აქამდე საოცრებად რომ მიგვაჩნდა, ამ მეორესთან შედარებით არაფრად მოგვჩვენება, ანუ ჩვეულებრივს, არაფრით გამორჩეულს რიგში გადავა. ლაპარაკი რაიმე თვისების გამოხატულების სიმძაფრეზე და არა მის დადებითობაზე. ვთქვათ, ერთი ემუქრება მეორეს – ისეთ ამბავს დაგანე, მასთან შედარებით შენი ძველი გაჭირვებები ბედნიერებად მოგვჩვენება. ანუ ის, რაც ადრე გინახავს, უმნიშვნელო იქნება ახალ კატასტროფასთან შედარებით.

ახლა შევხედოთ ნათქვამის შუქზე ზემო ნინადადებაში ჩადებულ აზრს. მარგველაშვილის პრეზიდენტობა განვლილია, დამთავრებული, მისი ყველა ქმედება თუ გადაწყვეტილება (პრეზიდენტის რანგში) უკვე მომხდარია. აქ, ცხადია, მისი მმართველობის ხარვეზები თუ ექსცენტრულობა იგულისხმება. ავტორს სურს თქვას, რომ ზურაბიშვილის ქმედებანი (რომლებიც ჯერ არ მოხდარა და რომელთაც მხოლოდ მომავალში ვიხილავთ) გაცილებით უფრო შეუხაბამო, მეტი მასშტაბისა და მეტად მოუღებელი იქნება, ვიდრე მისი ნინამორბედისა. მაშ რომელი გამოვა მონაგონი – ნინამორბედი თუ მომდევნო? რა თქმა უნდა, ნინამორბედი, რომლის ქმედებანი აქამდე კი მკვითრად უჩვეულონი გვეგონა, მაგრამ მომდევნო პრეზიდენტის „გამომდობთან“ შედარებით უბრალო ცეკობად მოგვჩვენებათ. მე აქ სრულიად არ ვიხილავ საკითხს – რამდენად სწორად აფასებს ავტორი ამ ორი პრეზიდენტიდან თითოეულს, უბრალოდ ვამბობ: ავტორმა თქვა იმის საინააღმდეგო, რაც უნდოდა ეთქვა. ეს კი მისი ტექსტის მიუტყვევებელი გრამატიკული ხარვეზია.

ბ) „ამგვარად, ყოვლად უაზროდ, ყოვლად უსაფუძვლოდ, „მასათას მთად“ ნოდებულ ბორცვი საქართველოს მტრის ბინძური ფეხდაუდგმელი ადგილია“. აქ მე არ მესმის ნინადადების პირველი ნაწილი: ალბათ ავტორი ბორცვის სახელწოდების არამართებულობაზე გვესაუბრება. შეცდომა კი მერე: ტექსტის მიხედვით ეს ბორცვი არა ჩვენი, არმედ საქართველოს მტრის უუთვლიდანაა, მისია, თანაც ბინძური ალაგია, მაშინ, როდესაც ავტორს ამ ადგილის სინამდვილე უსურდა მკითხველის ყურადღების მიპყრობა. მას უნდოდა ეთქვა, რომ ბინძური არის საქართველოს მტრის ფეხი, და ამას კიდევაც მიაღწევდა, თუ სიტყვა „ბინძური“-ს ბოლო „ი“ ხმოვანს ამოგდებდა და რამდენიმე სიტყვის შერწყმით დაწერდა, რომ ეს ბორცვი „საქართველოს მტრის ბინძურფეხდაუდგმელი ალაგია“. ასეთი აუცილებელ შერწყმებს მრავალი სიტუაცია ითხოვს, ხოლო, მაგრამ ამის აუცილებლობას მხოლოდ იშვიათი ავტორები ხედეიან.

გ) „ტელეკომპანია „რუსთავი - 2“-ის შენობაში გაჩენილ ხანძარს ხელი არ შეუშლია იქ მომუშავე ადამიანებისათვის, სატელევიზიო თეთრი შეწყვიტა“. ავტორს უნდა ტელევიზიო თეთრი გაბეღულედა გეგანობოს, მაგრამ ყველაფერი აერია. ისე გამოუვიდა, თითქოსდა ტელეკომპანია თავიდანვე აპირებდა სატელევიზიო ეთერის შეწყვეტას, ხანძარმა კი ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში ხელი ვერ შეუშალა. ანუ, თითქოსდა, სხვა შემთხვევებში ხანძარი, ჩვეულებრივ, ხელს უშლის ეთერის შეწყვეტას, ე.ი. ხელს უწყობს ეთერის ნარმართვას. სხვა სიტუაციებში, რაც უფრო დიდი ხანძარი იქნება, მით უფრო ნორმალურად და მშვიდად გაგრძელდება გადაცემები. დაუჯერებელი კია, მაგრამ სწორედ ეს გამოდინარეობს მოტანილი ნინადადებიდან.

მაშ რა უნდა ექნა ავტორს? ბევრი არაფერი – უბრალოდ ნაცვლად სიტყვისა „შენწყვიტა“ უნდა გამოეყენებინა სიტყვა „გაგრძელდებინა“, იმიტომ, რომ, საზოგადოდ, ხანძარი ტელეგადაცემათა გაგრძელებას უშლის ხელს, მათ შეწყვეტას კი, პირიქით, ხელს უწყობს. თუმცა მამაც ტელეწამყვანებს ზოგჯერ ვერც ძლიერი ხანძარი აიძულებს მიატოვონ სამუშაო ასპარეზი. თუ ამ უკანასკნელი გარემოების ხაზგასმა სურდა, ავტორს შეეძლო მეორენაირადც აეგო ნინადადება: „შენობაში გაჩენილმა ხანძარმა იქ მომუშავე ადამიანებს სატელევიზიო ეთერი ვერ შეაწყვეტინა“. მთავარია აზრი სწორად გადმოეცეთ. და ერთი: მგონი „სატელევიზიო ეთერი“ და „ტელეგადაცემა“ მთლად სინონიმები არაა: პირველი უბრალოდ ერთგვარი სივრცეა, ანუ ასპარეზი, სადაც ტელეგადაცემები მიმდინარეობს. ტელეგადაცემა კი პროცესია მაცურებელთან კონტაქტისა. „ეთერი ხარ“ ნიშნავს, რომ მაცურებელი გზედვას და გისმენს. ეთერი შეიძლება ჩართო ან გამოართო, მაგრამ მას ვერ შეწყვეტ. შეიძლება ეთერი არ გამოართოს, მაგრამ ფილმი შეწყდეს, ვთქვათ, ფირის ხარვეზის გამო. ამიტომ ალბათ ჯობდა საწყის ნინადადებაში საუბარი ყოფილიყო „სატელევიზიო ეთერის გამორთვაზე“ ან „ტელეგადაცემის შეწყვეტაზე“. მაშინ ნინადადებაც სხვანაირად გასწორდებოდა.

დ) „ეს არ მოშლის ხელს, უმწვავეს პრობლემებს გვერდი აუარო“. გამოდის, რომ ავტორს ჩვევად და მიზნად ისა აქვს, რომ „უმწვავეს პრობლემებს გვერდი აუაროს“, ხოლო რაღაც მოვლენა მას ხელს არ უშლის ამ თავისი ჩვეული განსაზღვრებით. არადა ჩემთვის აშკარაა, რომ ეს უნდა თქვას სრულიად საინააღმდეგო რამ – რომ ნაგულისხმევი მოვლენა მას თავის პრინციპებზე ხელს ვერ ააღებინებს. ამიტომ უნდა ეთქვა: „ეს ვერ მიაძღუებს უმწვავეს პრობლემებს გვერდი აუარო“. ამბობს კი, რომ იგი უპრინციპოა, როცა, პირიქით, თავადაკლულ პრინციპულობაზე სურდა პრეტენზია გაეცხადებინა.

ე) „ჩვენი ქვეყნის განვითარება მუდამ დამუხრუჭებული იქნება, სანამ ზუსტად არ განვსაზღვრავთ მართლაც საჭირობრიტო პრიორიტეტებს და არ ვიქნებით დამოკიდებულნი დასავლეთში რაღაც უმნიშვნელო თანამდებობებზე მყოფი ყარტაყურტა „დიპლომატების“ რეკომენდაციებზე“. აზრი შეტრუნებულია – ავტორი ამბობს იმის საინააღმდეგო, რაც სურს გვითხრას. მართლაც, „სანამ ზუსტად არ განვსაზღვრავთ“, „არ“ ნაწილად მოუხედავად, ნიშნავს, რომ სწორედაც ზუსტად უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები. ასევე, „სანამ არ ვიქნებით დამოკიდებულნი“ ნიშნავს, რომ უნდა ვესწრაფოდეთ ვიყოთ დამოკიდებულნი ყარტაყურტა „დიპლომატების“ რეკომენდაციებზე (ოლონდ წარმოუდგენელია ავტორი ამისკენ გვიბიძგებდეს). ტექსტის გასწორება კი მრავალნაირად შეიძლება. 1. ამოვადოთ მეორე „არ“. 2. „დამოკიდებულნი“-ს ნაცვლად დაწეროთ „დამოუკიდებულნი“, „რეკომენდაციებზე“-ს ნაცვლად კი „რეკომენდაციებისაგან“. სხვა გზაც მოიძებნება. არსებული ფორმით კი ტექსტი ნინადადებობრივია.

ვ) არაერთგზის შემხვედრია წერილები, რომლებშიც „მტრის ჯავრის შექმმა“ არასწორი, შეტრუნებული აზრითაა ნახმარი. მათ ავტორებს ჰგონიათ, რომ ეს გამოთქმა ნიშნავს „მტრზე გამარჯვება“-ს, სინამდვილეში კი იგი აღნიშნავს ამის საპირისპიროს, ანუ რომ „ვერ ეღირსება მტრის ძლევას“. ცნობილი ხალხური ლექსი კი ბევრჯერ დაუარმებიათ მცდარი ფორმით:


„კიდევაც დაიზრდებიან/ალგეთს ლეკვეები მგლისანი/ისე არ ამოწყდებიან/ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“. ბოლო სტრიქონში უნდა გვექნდეს „ჯავრი შესჭამონ მტრისანი“. „მტრის ჯავრი“ მაშინ არ გაქვს, როცა იგი დამარცხებულია, ხოლო თუ „მტრის ჯავრი“ უხვად გაქვს და კიდევაც ჭამ მას, ეს ნიშნავს, რომ მან დაგდო და საქმე სადარდებლად გაგინადა. უფრო ნათლად მე მიჭიკის მტკიცება (ალბათ პირველწყაროთა მოხმობაა საჭირო), მაგრამ თუნდაც მოყვანილი ლექსის სხვადასხვა (ურთიერთსაინააღმდეგო) ვარიანტების არსებობა იმას მაინც აშკარად მეტყველებს, რომ ერთ-ერთი ვარიანტთაგანი მცდარია. ჩემი აზრით, მცდარია ის, რომელიც მტრის ჯავრის შექმმაში მის დამარცხებას გულისხმობს.

ზ) ქვემოთ ორმაგი უარყოფით გამოწვეულ კიდევ ერთ მცდარ ფორმასაც განვიხილავ, ახლა კი ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრებულ, ტექსტის არასწორად გაგების ყველაზე კურიოზულ მაგალითს მოვანოვებთ. ვგულისხმობ საყოველთაოდ ცნობილ ფორმულას დიდი ქართველი პოეტის, იოსებ გრიშაშვილის ერთი ლექსიდან: „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევას“. ცნობილია, რომ გრიშაშვილი ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარიც იყო და ბევრს მუშაობდა არქივებში. ერთ მშვენიერ დღეს, არქივიდან ამო-

სულმა, სიცოცხლითა და ლამაზი ქალიშვილებით სასვე ქუჩის ხილვისას, დაწერა ლექსი, რომელიც ალიარა, რომ ყოველგვარ სიგელ-გუჯართა კვლევას ცოცხალი პოეზია ერჩია. უფრო სწორად, ეს უნდოდა ეთქვა (და დღემდე ყველას სჯერა, რომ ეს თქვა), მაგრამ გამოუვიდა საპირისპირო. ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი წერილი გამოვეყვეყენე 2013 წელს ჟურნალ „ჩვენი მწერლობაში“, სადაც დანვრილებით განვმარტე უზუსტობის არსიც და მისი წარმოშობის ფსიქოლოგიური მიზეზიც, ამიტომ აქ გრძელ მსჯელობას მოვერიდები. უბრალოდ ვიტყვი, რომ როცა „რაიმეს“ არ ცვლიან რაღაც „სხვაზე“, ეს „რაიმე“ უფრო ძვირფასად მიაჩნიათ იმ „სხვასთან“ შედარებით. მაგალითად, რ. ერისთავის ლექსში სტრიქონები „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“ და „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ მოწონებს, რომ პოეტს „სალი კლდეები“ ურჩევნია „უკვდავების ხეს“, ისე როგორც თავისი სამშობლო, რაგინდ დანაგრული და ღარიბი, – „სხვა ქვეყნის სამოთხეს“. გრიშაშვილის მოყვანილ სტრიქონებში კი წერია, რომ პოეტი „ამდენ გამოკვლევებს“ ვერ შეეღვია და მათ „ერთ კარგ რითმაში“ არ გავცვლის, ანუ გამოკვლევები ურჩევნია საკუთარსავე რითმებს. სინამდვილეში საქმე პირიქით იყო, ყოველ შემთხვევაში ამ ლექსში იმის თქმა სურდა, რომ მისთვის პოეზია უპირველესია, სალიტერატურო კვლევები კი მეორედი. ძალიან კარვად მოეხსენება მკითხველს, რაოდენ პოპულარულია გრიშაშვილის ეს სტრიქონები, თვით აღნიშნული ლექსიც არაერთ მკვლევარს განუხილავს და მათ შორის უგამორჩილეს ენათმეცნიერებსაც, აღნიშნული უზუსტობა კი მთელი 80 წლის განმავლობაში თვალში არავის მოხვედრია. ამ სიტყვებს საყვედურად წურავინ ჩათვლის – რაღაც ღრმა ფსიქოლოგიური ფენომენის მოქმედებასთან გვაქვს საქმე. მეც ხომ ამ ლექსს ნინა საუკუნის სამოციანი წლებიდან ვიცნობდი, მაგრამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეგონა, რომ ტექსტი გამართული იყო. უფრო ზუსტად, ჩემი მესხიერება და ყოველი ახალი გადაკითხვაც მიქმნიდა მცდარ ალქმას, რომ ნინადადებაში „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებს“ სინამდვილეში იგულისხმებოდა სხვა ნინადადება: „ერთ კარგ რითმასაც არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებში“. კურიოზული შეცდომა ცხადად ვიგრძენი პირველივე სერიოზული ჩაკვირებისას, თუმცა თვით ამ ჩაკვირებისკენ რამ მიბიძგა, ეს ღარ მასსოვს. ავტორს კი შეცდომისკენ უბიძგეს განსახილველი „ფორმული“ ნინადადება სტრიქონებმა („რად ვეჭიდები ამ გუჯრებს, /ამ ცხრათავიან მდევებსა“), და ამ აზრის პოეტობრივი გარითმის საჭიროებამ. ოლონდ ამ მოსაზრების დასაბუთება ზემოხსენებულ წერილში მაქვს და აქ მისი განმეორება არ ღირს (ამის შესაძლებლობას არც ამ წერილის ფორმატი იძლევა). ყველა შემთხვევაში თითოეულმა ადამიანმა საკუთარი აზროვნების წყალობით უნდა გადაწყვიტოს – სწორია თუ არა ჩემი მოსაზრება. შესაძლოა ეს არც ისე ადვილი იყოს, რაზეც გრიშაშვილის სადავო სტრიქონთა ლამის აბსოლუტურად სანდო „გარეგნობაც“ მეტყველებს. ბევრს ისიც კი შეიძლება მოეჩვენოს, რომ „არ გავცვლი“ ორი ფენომენის მხოლოდ ერთმანეთთან შეუდარებლობაზე აკეთებს აქცენტს და საერთოდ არ სვამს საკითხს რომელიმე მათგანის უპირატესობაზე მეორის მიმართ. ამ ეჭვმა მეც რამდენჯერმე გამკრა გულში, მაგრამ იგი უსაფუძვლოა. ლექსი ხომ არც მათემატიკა არაა და არც სერიოზული, მაგრამ ცივი, უემოციო მსჯელობა. იგი სულის მძაფრი ამოხეთქვაა, რომელიც ღალატებს: „სწორედ ასე და არავითარ შემთხვევაში სხვაგვარად!“. მართლაც, სადავო სტრიქონებში ხომ ის აზრია ნაგულისხმევი, რომ მათი ავტორისთვის არათუ მთელი საკუთარი პოეტური ნაღვანი, არამედ ერთი კარგი რითმაც კი უფრო ძვირფასია, ვიდრე მისივე „ამდენი გამოკვლევა“! ასე რომ, განსახილველ სტრიქონებში ორი ფენომენის ერთმანეთთან შეუდარებლობის გარდა, ისიც ცალსახად მითითებული, თუ რომელი მათგანის მხარეს არის უპირატესობა. სხვა საქმეა, რომ ეს მითითება მცდარია. პოეტის მოტანილ ტექსტში ქართული ენის გრამატიკა იმ აზრს რომ დებდეს, რომ პოეტური შთაგონება ჩრდილავს მეცნიერულ კვლევას, მაშინ რ. ერისთავის „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“-ც იმის გამოცხადება იქნებოდა, რომ ამ პოეტისათვის სხვა ქვეყნის სამოთხე უფრო ძვირფასია, ვიდრე მისი სამშობლო. ვგონებ, ყველაფერი ნათელია. ოლონდ ეს ესა განხილული მაგალითი დამატებით მიუთითებს ენის ფენომენის სირთულესა და სასაუბრო თუ სამწერლო პრაქტიკაში ზოგიერთი ხარვეზის ნარმოქმნის ღრმა ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე.

შალვა საბაშვილი





ერეკლე საღვთისძე

ლოთაძეობრივი უსწავრობა

კვლავ აღგვამაღლე სულთ, ხორცით, ცოდვილნი სანწო, მზად ვარ გემთხვიო, ვით ნანამებს, ტანჯულს მკერდზედა, გონებას ჩვენსას თუ მოაკლდა ხემსი და სარწო, კაცობრიობა უცაბედად დაგვიბერდება. სადიდებელი შენი დროა, მწყურვალმა შეესვა, ვისმინო მწუხრის ჭუნირის და თარის გალობა, არ ღირსება ჯერ აქამდე პლანეტას ჩვენსას შენი საფერი, შენი მსგავსი უანგარობა. არ განყრე, სანწო, არ უსუსხო შენ ჯორს მათრახი, ნუ მიაყენებ ტკივილს პირუტყვეს ღვთისგან გაჩენილს, შენ ფიქრს გვასწავლი, ფიქრს გვასწავლი, ყველგან გაგზავნილს, იმ ფიქრს მოჰყვება, იცი, რადგან სხვა დანარჩენი. გაჰყევ დონ-კიხოტს, არ წაგინდეს კაცის იერი, იყავ სიმღერით გულშეძრული გზაზე მუდამო, ეს დედამინა რომ არ გახდეს უკაცრიელი, მლაღადებელის სიტყვით შესძარ მკვდარი უდაბნო! ორთქლი, ო, ორთქლი ადნობს შენი ფოლადის ავშარს, აელვარებდე მთვარის შუქზე კიხანას მახვილს, ბედი არასდროს არ უმართლებს მხდალსა და ლაჩარს, გაჰყევ ხიფათის მადიებელ რაინდის ძახილს. გაუტანლობამ თვალნი დროშა აგვიფრიალა, უნდა, რომ თავის ბნელი ძალა ყველას აჩვენოს, აავე სანწო, ფსკერუკუნი შენი ფიალა, შეატრიალე დასალოცად ცხელ მზის გარშემო. გაჰყევ დონ-კიხოტს, არ წაგინდეს კაცის იერი, იყავ სიმღერით გულშეძრული გზაზე მუდამო, ეს დედამინა რომ არ გახდეს უკაცრიელი, მლაღადებელის სიტყვით შესძარ მკვდარი უდაბნო!

* * *

ხარ თეთრ ქარაფზე შემდგარი შუნი, ნისლებს დაიდგამ თავზე, ვით მიტრას, ასდის ვარდის და ზამბახის სუნი, შენი ყელიდან ამოსულ სიტყვას. შეჰყურებ მთვარეს – მჭრელ სხივთა საცერს და თვალს შენსას ნამით მილულავ, ხილულს უხილავ სიდიდედ აქცევ, ხოლო უხილავს აქცევ ხილულად. ისმენ ჩემს ლექსის სტრიქონის ჭახანს, იცი, სიტყვები მოვლენ და წავლენ, ხარ ოფელია, რომელიც ახლა პოულობს ჩემში მარტოსულ ჰამლეტს. ჰგავხარ უღრუბლო ცის თაღზე ელვას, აჩინხარ ლექსად ქალაქის ფურცელს, ვხედავ, ამ შენმა პატარა ხელმა, მთელი სამყარო შეცვალა უცებ. შენა ხარ კენესა დაჭრილი ჩანგის, დაგწყდება ცრემლი, ვით გრემში ატამს, შენი ბაგიდან დაღვრილი ჰანგი, ჩემს ხმაში ო, რა სიამით ატანს! ხარ თეთრ ქარაფზე შემდგარი შუნი, ნისლებს დაიდგამ თავზე, ვით მიტრას, ასდის ვარდის და ზამბახის სუნი, შენი ყელიდან ამოსულ სიტყვას.

ლოთიყული ბაქოვას დონ-კიხოტს

გიძლენი ლექსს, როგორც გაბედულ და უშიშარ რაინდს, ბრძოლის წყურვილი ვისაც გულში აღარ უქრება, საით ვეძებოთ დულსინეა, დონ-კიხოტ, საით? როგორ შევიგრძნოთ ჭეშმარიტი თავისუფლება? ფეხქვეშ დაიგე გზა-ბილიკი, ცხოვრების შარა, მიუდგომელი ზღუდე გახდა ჩვენი საუფლო, დამდოვრდა სისხლი, დატბორდა და დუმილი კმარა, ცხოვრების ყველა გამოწვევას უნდა გავუძლო! არა ხარ, არა, ქონმორეულ სიამის მდომი, ჩრდილი იჩრდილე, ხილი კიდევ ხილად იხილე, უკეთურებას გაუმართე შენ საღვთო ომი, ვით გოლიათებს, მიეტყვე ქარის ნისქელებს.

გზაზე ნისლები დაფერილან გლოვისფერანი, ღვარცოფმა წარღვნისდროინდელი სილა მოსილა, შევნი სადავემომკვებელი ტატოს მერანი ჰგავს და არცა ჰგავს ლაგამნაყრილ დაღლილ როსინანტს. შენ თეთრი მთვარის რაინდს მაინც ველარ დაუსხლტი, გახსოვს, უკეთეს მომავლისკენ როგორ გარბოდი? შენს მხრებზე დგანან ონეგინიცი, მორიცი, ფაუსტიცი, შენს მხრებზე დგანან კომპსონიცი და ჩაილდ-ჰაროლდიცი. როგორც გზათამკვლევს ველარავინ შემოგედავოს, შენს მიზანს ველარ დაგამორებს ავთა ბორგვანი, წინამორბედად მოევილინე სტივენ დედალოსს, ჯვგლეთა-გრილში გაახვიე ჰარი მორგანი! ღირს პოვნად რასაც ეძებ, რასაც მალე იპოვნი, შენ უკვდავი ხარ, არასოდეს აღარ მოკვდები, განკითხვის წუთებს ელოდება რასკოლნიკოვი, შენს სისხლის აცრას კვლავ ცდილობენ ბუდენბროკები. შენ იდეა ხარ, იდეა ხარ, რომ ფილტრავ ჰაერს, შენი ილბალი კაცთა მოდგმის ილბალს მოება, წმინდა გიორგის შუბი ურჩხულს ხახაში ჩაეც, ჩაეც მახვილი ამქვეყნიურ ამაოებას. გულს გიფლითავს და გულს გიძიძგნის ზევსის ორბიო, ხარ შენ დანის პრინცი ჰამლეტის ტოლი და კბილა, შენ მოხველ მიტომ, რომ ბურანში მყოფი მსოფლიო არ დაძაბუნდეს, არ მიიქცეს საღათას ძილად!

მოვრჯლი სჯანი

ისე ბარბაცებს დამთვრალი გუჯა, რომ დედამინას აცილებს ფეხებს, სიცოცხლის პირი აღარც კი უჩანს, ლაღობს რარეგად თავისთვის, შეხე! ცა აყრის ღრუბელს ბლუჯა და ბლუჯა, წინ მიუძღვება წყდიადის მეხრე, ისე ბარბაცებს დამთვრალი გუჯა, რომ დედამინას აცილებს ფეხებს.

შამილის ბოლო ცოცხალი

„რუსების მიერ ალყაში მოქცეულმა დალისტინის იმამმა მოითხოვა ქართველი მეზობელი შესულიყო მასთან და მისთვის ჩაებარებინა იარაღი. ეს მისია ნილად ხვდა თუმ იაკობ ლეკაისძეს.“

თვალს მჭრის ცა და ციალი ღამის, ვხედავ ირწევა კენწერო ვერხვის, მერქვა კაცი და დღეს მქვია გვამი, მქონდა სოფელი, ან უკვე ფერფლი. ძველი დიდების თუ შემრჩა რამე, ვდგავარ საზარელ უფსკრულის პირას, ისინი, დღეს რომ ჩვენს სახლებს წვავენ იმ სახლის ქვების ფასად არც ღირან. გაცვდა ხმალი და დამეტყო დაღლა, ვარ, ბედს ებრძოდა ყოველთვის, ვინაც, მე მთის მდინარეს მოვტაცე ტალტალა და ჩემს ფიქრებში დაფუძნე ბინა. ო, სევდავ მკვლელო, ნუ მტანჯავ ძლიერ, დადგება დრო და ჩემი მზეც ჩავა, მტერთა სიმრავლეს რადგან ვერ ვძლიე, მტერთა სიმრავლემ დამძალა თავად. დავეტირი ომში დაღუპულ ბიჭებს სულში მდის ცრემლი, დრო ველარ გამყავს, მტარვალის თავის საცეცხეს მიჭერს და ვინროვდება თანდათან ალყა. ვიბრძვი და თანაც ვასრულებ ნამაზს, ვარ მთესველიც და ვარ მინის მხენელიც, ჩემს ხელს დღეს ნულარ გამურდლავს, ჰამზათ, გადამთიელის მურდალი ხელი. მათთვის არც ღმერთი, არც მაღლი საყდრის, ჰგვანან მგლის ხროვას შეყრილებს ერთად, მე იარაღს მხოლოდ მაშინ თუ დავყრი, ჩემს სადარ მეზობლს დავლანდავ მტერთან. წყრომა დუშმანს და რისხვა მაცილსა, მოდიან ერთზე დღეს ყინჩად ასნი, მოვიდეს, ვინაც იცის კაცის და იცის ჭეშმარიტ ღირსების ფასი. ვიტოვებ ჩემთვის თქვა: ერთ ხმადსო, იმღერა კაცმა სიმღერა გედის და ლეკაისძე იაკობს მიანდო იმამმა თავის დამწვარი ბედი.

არ ჩაქრეს ცეცხლი...

ვარ ნაქცეული გუთნულში დაღლილი ხარი, ამ ერთსაც გეტყვი, მომავალში გეტყვი დანარჩენს, დამანებო თავი, მაინც რისთვის მითხარი, ელდანაცემი კიდევ უფრო რისთვის დამზაფრე? არ ჩაქრეს ცეცხლი, მარად ენთოს შენი ბუხარი, შენი ღიმილი დაენთება მზედ სასვანეთის, უთხარი მაშინ, მაისის თვის წვიმას უთხარი, უთხარი ის, რომ დედამინას თავი ანებოს. ნულარ იქნება შენი გული დარდით მწუხარი, აღარ დაფაროს ზეცა ღრუბლის შავმა ფარდებმა, უთხარი მაშინ, ხმელთაშუა ზღვის წყალს უთხარი,

ნაპირისაკენ გრეხვით ნულარ მოემართება! დახუნძლულია ქალით, კაცით, შეხე, ბულვარი, ჰაერიც თითქოს მჩატეა და თითქოს მარმამობს, უთხარი თუნდაც, ჩრდილოეთის ქარსაც უთხარი, კავკასიონის მწვერვალებს არ გაეთამამოს. შენი ღიმილი წუხილს ჩემსას ფარად უფარე, ვის რაღად უნდა ყოფა თუა, სისხლდარეტილი, უთხარი თავად სიყვარულს, რომ დარჩეს გულს გარეთ, რომ სიცოცხლესაც მით დაესვას მრავალწერტილი.

არქიმსწრივს გრიგოლ თეოდძემ თავი გაწირა ჰაერსა ხაჭაბუკის გასასწრაფად

შენ აქ ხარ ისევე, სათქმელ კვლავ გეთქმის, წმინდა წერილის სიტყვით ნამობო, ღირსება არის მარტოდენ შენთვის, ქრისტეს ჯვარიც და შენი სამშობლოც. შეიცან თავი და გახსენ ფართოდ სამყაროს კარი, მაღლ შენს გაჩენას, სიცოცხლე უნდა გაილო, დათმო ჩელი ბავშვების გადასარჩენად. ხელს ცეცხლის დამგზავნე ნაკვერჩხლებს ავლებ, ღირს ხარ მოწამის კვართი ტანთ გეცვას, შედგები წამით, მონისლულ თვალს მიაპყრობ დამწვარ ვარშავის ზეცას. მტანჯველი მინას გოდებით ავსებს, გაქვავდა ცრემლი, ტკივილი ბლავის, მზემ სახრჩობელა აღმართა ცაზე და ჩამოიხრჩო ზედ თავის თავი. ლოცულობ, სულში გტეხავს და გამტვრევს, ენამე, ენე, დღეს თქმა სჯობს არ თქმას, ცეცხლი, რომელიც შენ გეკვრის ტანზე დღეს დედამინას უქადის ჩანთქმას. მამაო! უტეს არს შენი განცდა, აქაც უდგახარ ჩვენს ნამუსს მცველად, უფალს ავედრებ სამყაროს ხსნას და კაცობრიობის ავედრებ შევლას. შენ აქ ხარ ისევე, სათქმელ კვლავ გეთქმის, წმინდა წერილის სიტყვით ნამობო, ღირსება არის მარტოდენ შენთვის, ქრისტეს ჯვარიც და შენი სამშობლოც.

სტრიქონიკოვი ცაძრევი

„2008 წლის აგვისტოს ომში 17 შინდისელ გმირთაგან ერთ-ერთმა ალექო ონიანმა ნათლულთან ერთად თავი აიფეთქა და მტერს ცოცხალი არ ჩაბარდა.“

მთამ გზარდა და მთის სადარ კაცს ეძებდი, ჭითხაროს მთას ჰგავდი შენი სახითაც, ბავშვობისას რომ გესიზმრა ლენტეხში, ის სიზმარი ცხადში როგორ აგინდა. შენ არ დგახარ დაინყების ნაპირთან, შენი ქვეყნის წყლული შენი წყლულია, შენს თვალებში შენი ზღვა და ცა გიდგას და შენს ხელებში შენი მინის სუნი აქეთ. ალექსანდრე, ნასროლი არ დაგიცდა, ეს ბრძოლა შენი დიდი საცდელი, მოასწარი, თორემ ერთი წამიც და წამიცა და ტყვეობას ვერ აცდები. ჟამი უდგას ზეობისა შაითანს, ცრემლი სცვივით მიტოვებულ საყდრებსაც, შენ ამ სირცხვილს საფლაგში ვერ ჩაიტან, მტრის ჯავრი შენ საფლაგში ვერ ჩაგყვება. იცავ მინას მომხდურისგან ნამშორებს, ლექსი გიძღვენ, ლექსი სისხლით ნანერი, მტრისგან მხოლოდ ერთი ბიჯი გამოიღებს, მტრისგან მხოლოდ ერთ ბიჯზე ხარ, გაძლი... ცეცხლი ცეცხლავს რკინიგზას და გზის კიდეს, დაჭრილ ნათლულს არა ტოვებ მარტოკას, ერთმანეთის ტვირთი ერთად იტვირთეთ, სიკვდილის წინ გული ასე რად ტოკავს? მინა იძვრის, ჯოჯოხეთი გუგუნებს, სიბნელესაც ეცრიცება ფარდები, განათებს ხელყუმბარა უკუნეთს და არცერთი მტერს ცოცხლად არ ბარდებით!

ღს არის...

ეს არის, კაცთა მოდგმას მართლაც ეშველა მგონი, ბებერ ევროპას როგორც იქნა, გაეხსნა გონი. ძილ-ბურანში მყოფს უკვე ცხადლივ, უკვე ენიშნა, რომ დრო არ არის, აღარ არის, უკვე თმენისა. ის , ვინც მსოფლიოს მზერაში ჩრის არნივის ორთავს, ეკლესიაც კი იმპერიულ კანტორას რომ ჰგავს, ავდება კვლავაც ყოველი დღე უფრო და უფრო, მთელ დედამინას მყუდროებას, სიმშვიდეს უფრთხობს. თუ თვით სიცოცხლე მისით გახდა უკვე საზარი, თმენასაც კი აქვს, კი აქვს მასაც თურმე საზღვარი. ეს არის, კაცთა მოდგმას მართლაც ეშველა მგონი, ბებერ ევროპას როგორც იქნა, გაეხსნა გონი.

ხანგრძლივი კომპილი

მედიის გარეშე

მზე, ოტარიდი, მუშათარი და ზუალ ჩემთვის ბნდება, მთვარე, ასპიროზ, მარხი, მოვლენ და მონად მყვებიან...

მხოლოდ რამდენიმე თვე იყო გასული რევოლუციიდან, ემოციები და გამარჯვების ალტკინება ჯერ კიდევ გულისცემასავით იგრძნობდა სახელმწიფო დაწესებულებებში. მაღალი თუ საშუალო რანგის ჩინოვნიკები ისევ ცდილობდნენ რევოლუციის დღეების ფოტოსურათების საუკეთესო ნიმუშების მოპოვებას, რომლებშიც ბატონი პრეზიდენტის და ბატონი პრემიერ-მინისტრის შეუდრეკელი გამომეტყველებები წარმატების შთაგონებით ასაზრდოებდნენ ქუჩებში გამოფენილ ადამიანებს. ასეთ ფოტოებს მოზრდილ ფორმატებზე, მაღალი ხარისხით აბეჭდიდნენ, რათა გალაქული ჩარჩოებით საკუთარი კაბინეტების კედლებზე დაეკიდათ. სურათები დაწესებულებებში, საბოლოოდ, იმდენად დიდი რაოდენობით გროვდებოდა, დერეფნებში მოწყობილ სტენდებზეც ათავსებდნენ რევოლუციური ქრონიკის თუ შთაბეჭდილების უკვდავ საყოფად.

პრეზიდენტი ხალხისთვის ქარიზმატული მოვლენა იყო, ანტიკური პერიოდის ორატორების მსგავსი მომხიბვლელი, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური გულისწაღების ხატებად აღიქმებოდა – სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარით და მხრებზე ტვირთად მოკიდებული დიდი მისით.

განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრიც – ფრანგი განმანათლებლებივით განონასწორებული, გამჭრიახობით და გონიერებით აღსავსე. მათ ერთობლივად მოახერხეს რევოლუციით შეცვალათ წინა რეჟიმების მიერ დაგუბებული ხანგრძლივი უიმედობა.

ხალხის აზრით, ამ ორი პოლიტიკოსის უნარების და გონიერების შერწყმას უკავშირდებოდა იმდენი მომავალი. ეს ემოცია და გამარჯვების ალტკინება იგრძნობდა ადამიანთა უმრავლესობის გაცხადებულ თუ გამოუთქმელ შთაბეჭდილებებში.

რა თქმა უნდა, მთავრობის ადმინისტრაციამ ყველა იცოდა, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის გადაულახავი შეუთავსებლობა სუფევდა. ისინი მხოლოდ რევოლუციის აუცილებლობამ გააერთიანა და ძალაუფლება მათ შორის რევოლუციური ტალღის ნაკადებმა ნაუცბათევად გადაანაწილა მას შემდეგ, რაც დრომოქმულმა მთავრობამ კეთილი ინება და ქვეყნის მართვის სადავეებს დაემშვიდობა. მაგრამ ყველას კეთილი მოლოდინი ჰქონდა. ყველას სურდა, რომ ამ ორი ადამიანის უნარები ერთმანეთს შერწყმოდა, გაერთიანებულიყო, რათა შვევით ამოესუნთქათ ერთხელ და საშუალოდ.

სინამდვილეში, როგორც პრეზიდენტი – ბატონი „მ“, ასევე, პრემიერ-მინისტრი – ბატონი „ზ“ ყოველდღიური ყურადღების და დაუსრულებელი ეიფორიის მიღმა მძაფრად გრძნობდნენ, რომ ორივე მათგანისთვის ერთობა მხოლოდ რევოლუციის წარმატებით დასასრულებლად იყო სასარგებლო, თორემ ხელისუფლების გადაწველების საკითხი დღეს თუ ხვალ აუცილებლად დადგებოდა დღის წესრიგში.

ღია მოლაპარაკებები და ფორმალური ბული მოქმედებით ამ საკითხის გადაჭრა ორივე მხარეს დაზარალებდა. მაგალითად, პარლამენტში, ან მთავრობაში ხელისუფლების გაყოფის თემამდე მსჯელობა მხოლოდ იმ შედეგს მოიტანდა, რომ რევოლუციური შთაბეჭდილებებით გულსავსე ადამიანები ისევ პოლიტიკურ გემოვნებათა შესაბამისად დაიყოფოდნენ და ერთმანეთის სანინაღმდეგო ბრალდებებით აღიჭურვებოდნენ, რაც ხელისუფლებიდან ჩამოშორებული ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს რეაბილიტაციის შთაგონებას გაუძვივებდა.

აქედან გამომდინარე, არაფორმალური მოქმედებების გარდაუვალობას ორივე მათგანი გრძნობდა, რომელიმეს პირველი ნაბიჯი უნდა გადაედგა, მაგრამ ბატონი „მ“

ამ ნაბიჯის გადადგმას არ ჩქარობდა, რადგან ის პრეზიდენტი იყო და ეს თანამდებობა მას ისეთ უპირატესობას ანიჭებდა, რომ აბსოლუტური ხელისუფლებისთვის ბრძოლა სიჩქარედ არ ღირდა. ბატონი პრემიერ-მინისტრი კი ფიქრობდა, რომ ურთიერთობების გარკვევის პროცესის დაწყება მისთვის, როგორც ხელისუფლების იერარქიაში მყოფი მეორე პირისთვის მხოლოდ ძალაუფლების დათმობას დააჩქარებდა.

მინისტრ „ვ-ს“ ძალაუფლების გადაწველების საკითხზე პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის უშუალო შეხვედრის და შეთანხმების იდეა, საერთოდ, მიუღებლად მიაჩნდა.

ბატონი „მ“, რევოლუცია პირადად თქვენი და ჩვენი პარტიის დამსახურებაა. ხალხის მხარდაჭერა რომ არ მოგეპოვებინათ, მეტიწარა ინტელიგენციის სიმპათიები ან გაპრანჭული საერთაშორისო მხარდაჭერა პრემიერ-მინისტრისადმი რევოლუციის წარმატებას ხომ ვერანაირად უზრუნველყოფდა. ამიტომ, საერთოდ, რა საჭირო იყო მისთვის ისეთი პოლიტიკური ძალაუფლების დათმობა, რაც მას არ ეკუთვნოდა, ეუბნებოდა მინისტრი „ვ“ პრეზიდენტს.

მინისტრი „ვ“, რევოლუციამ ძალაუფლება მოგვანიჭა, მაგრამ ძალაუფლება მყიფეა, სანამ მას სრულად არ დაუფლები. ჩვენი დიდი, საერთაშორისო მეგობრების და ასევე, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ინტელიგენციის გულების საბოლოოდ დაპყრობამდე ძალაუფლება არ არის სრულყოფილი. ჯერჯერობით პრემიერ-მინისტრი განკარგავს მათ გონებას. ჩვენ კი მათ გულბამდე უნდა მივალნიოთ, – პასუხობდა პრეზიდენტი. – ჩვენ აქამდე, მხოლოდ ჩვენი ხალხის კეთილგანწყობა მოვიპოვეთ, ხალხის ფასი არაფერია. ჩვენი დიდი მეგობრების და ინტელიგენციის გრძნობის ორგანოები უნდა დავიპყროთ, რომლებიც ახლა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის პულსაციას შეიგრძნობენო.

დიდ მეგობრებში, რა თქმა უნდა, ის ორი დიდი ქვეყანა იგულისხმებოდა, რომელთაგანაც ერთს ამ ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში სურდა უფროსი ძმის სახელით დამკვიდრება, მეორეს კი – ახლა ცივილიზაციის კარიბჭიდან დახმარების ხელი ჰქონდა გამოწველი.

პრეზიდენტს უნდოდა მის ერთგულ მინისტრ „ვ-საც“ გაეთვითცნობიერებინა, რომ, როგორც უნდა აბოპოქრებულყო პატარა, ლარიბი ტერიტორიის ხალხი და, როგორი სახელგანთქმული რევოლუციაც უნდა მოეწყო, საბოლოოდ, ქვეყნის პოლიტიკური წარმატება გავლენიანი საერთაშორისო მფარველების კეთილგანწყობით იზომებოდა და ხელისუფლების გადაწველების საკითხი პრემიერ-მინისტრთან დაპირისპირებამდე არ უნდა მისულიყო.

ახლა სწორედ პოლიტიკური ბანქოს პერიოდი იდგა, როცა ბევრი რამ იყო დამოკიდებული გამართლებაზე, განაფულ ხელსა თუ წესების მეტნაკლებად უგულვებლყოფაზე. პრემიერ-მინისტრის აჩრდილიც კი ზედმეტ უანგზადს ისუნთქავდა ხელისუფლების ლაბირინთში. ამიტომ აუცილებელი იყო თვალყურის დევნება ყოველ მის მოქმედებაზე, მისი ნაზრების ამოკითხვაზე.

რამდენიმე სერიოზული ანალიტიკოსი, გასული საუკუნეების ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სთავაზობდა ბატონ პრეზიდენტს, რომ ძალაუფლება არა, მაგრამ ქვეყნის მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურული ინსტრუმენტები პრემიერ-მინისტრისთვის დაეთმო, რომელსაც ამ სერიოზი თოულადსაბჭოთავი პასუხისმგებლობაც დაეკისრებოდა და მისი გამჭრიახობით მიღწეული შედეგები ისევ პრეზიდენტის რეპუტაციის გაძლიერებას ნაადგებოდა.

თუმცა, ანალიტიკური ნიჭის და მომლაპარაკებლის უნარების გამოვლენას ცდილობდა მინისტრი „ვ-ც“. იგი პრემიერ-მინისტრს არწმუნებდა, სწორედ თქვენმა პოლიტიკურმა ავტორიტეტმა განაპირობა ჩვენი დიდი მეგობრების მხრიდან რევოლუციის მხარდაჭერა მაგრამ, პარალელურად,

პრეზიდენტს ხალხის განუზომელი მხარდაჭერა აქვს მოპოვებული, ყველა მოხიბლულია მისი ქარიზმით და მხოლოდ ძალაუფლების რეალობასთან სრული შესატყვისობით უნდა გადაწველებს ხელისუფლებამო.

პრემიერ-მინისტრმა იცოდა, რომ მინისტრი „ვ“ არც ანალიტიკური ნიჭით და, მით უმეტეს, არც საიმედოობით იყო გამორჩეული. სამთავრობო კაბინეტის ჩამოყალიბების პროცესი პოლიტიკური თვალთმაქცობის უსიტყვოდ შეთანხმებული აქტი იყო, სადაც გავლენიანი მინისტრების პორთფელეები უკვე პრეზიდენტის გუნდს ეკუთვნოდა. მათ შორის იყო მინისტრი „ვ-ც“, რომელსაც თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა ნაბიჯები, კეთილგანწყობილი, მომრიგებელი ბუნების მქონე თავმდაბალ მოხელედ წარმოეჩინა თავი და ყველასთან მშვიდობისმყოფელი, საერთო სიკეთის მაძიებლის გამომეტყველებით ელაპარაკა.

სწორედ ამ თვისებების ნატიფი გამოვლენით ცდილობდა მინისტრი „ვ“ პრემიერ-მინისტრისთვის აეხსნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელისუფლების გადაწველების საქმეში პრეზიდენტისადმი ჩამოყალიბებულ უდიდეს სახალხო მხარდაჭერას და, რომ ძალაუფლების გადაწველების საკითხი ხალხის არჩევანის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო. ის გულბნებდა, რომელიც რევოლუციური პროცესის პერიფერიულ მოთამაშებს ეკუთვნოდათ, გამარჯვებული ხალხის მიერ ანგარიშგასაწევ ფაქტორად არასოდეს იქნებოდა აღქმული.

ასეთი ნათელი და თან მომრიგებელი რიტორიკის შემდეგ მინისტრი „ვ“, რა თქმა უნდა, ისევ კეთილგანწყობილი გამოემეტყველებით, მაგრამ შინაგანი გავლენის ზღვარზე ისმენდა პრემიერ-მინისტრის გამონათქვამებს, რომ სახალხო მხარდაჭერა სახელისუფლებო ხიბლში არ უნდა აგვერიოსო. ხალხის მხარდაჭერით ტკობა პრეზიდენტს არაფერში გამოადგება, ყოველთვის დგება ისეთი დღე, როცა ხალხს მოეზრდები და აღარ ენდომები. პოლიტიკოსის ცხოვრება ამ დღის დადგომამდე ნაყოფიერი და იქნებ ვიფიქროთ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ნაყოფიერებაზეო. ხელისუფლების შენარჩუნებას ვერაფერ შეძლებს ენერჯის განიავებით. ხელისუფლებას მხოლოდ იმდენად გაიხანგრძლივებ, რამდენადაც მოახერხებ ენერჯის შენარჩუნებას ქვეყნის სამართავადო. ამ ყველაფერს ისეთი გამომეტყველებით ისმენდა მინისტრი „ვ“, როგორც უნდა ჰქონოდა კაბინეტის საიმედოობით გამორჩეულ წევრს.

– ბატონო „მ“, სრულიად იმედგაცრუებული ვარ, – ეუბნებოდა მინისტრი „ვ“ პრეზიდენტს. – პრემიერ-მინისტრი არათუ აღიარებს თქვენს ძალაუფლებას, არამედ, ისე მსჯელობს, რომ გეგონება, ძალაუფლება მას ეკუთვნის, თავი ისე უჭირავს, თითქოს თქვენ არც არსებობთ. თითქოს ხელისუფლება სამყაროს კანონებით მის გარშემო ბრუნავს.

– პრემიერ-მინისტრი, ოფიციალურად, ჩვენი მეგობარია, რადგან მისი პოლიტიკური რეპუტაცია ჩვენთვის სასარგებლოა, მაგრამ ის ჩვენი მტერია, რადგან ჩვენს ენაზე ლაპარაკი არასოდეს გამოუვა. აი, ჩვენი გონიერების რომ ესმოდეს, მტრად თვითონვე მოგვეკიდებოდა! – პასუხობდა პრეზიდენტი, – ის, რაც მას სურს, ჩვენი მტრობა არაა, რადგან ამის ძალაც არ გააჩნია, მაგრამ რაც ჩვენ გვსურს, იმის მტერია, რადგან სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენს პოლიტიკურ ჩანაფიქრებს. ჩვენ გვჭირდება ისეთი ძალაუფლება, რომ საკუთარი პოლიტიკური წესრიგის დამყარებაზე ვიფიქროთ. რევოლუცია დამთავრდა, მაგრამ მისი სულისკვეთება არ უნდა დავასრულოთ. თუ ის დასრულებდა, ჩვენ ფუნქციას დავკარგავთ. უდიდესი პოლიტიკოსები მოუწოდებია ისტორიას მხოლოდ იმით, რომ მათ ეგონათ, ხალხი დაასაბუთებდა მათ საჭიროებას, – ამბობდა პრეზიდენტი, – ჩვენი არსებობის აუცილებლობა ჩვენ თვითონვე უნდა დავასაბუთოთ! ახლა სიმართლე იქნება მხოლოდ ის, რასაც ჩვენ ვიტყვით ტელევიზორში! მინისტრო „ვ“, შეარჩიეთ ადამიანები, რომლებიც დაიჯერებენ, რომ ქვეყნის აშენებისთვის სწორედ ისინი გვჭირდებიან. შემოიკრიბეთ ისინიც,

არაფერს რომ დაგვიჯერებენ, მაგრამ ჩვენს შთავაზუბებს მიიღებენ. შესთავაზეთ მაღალი ხელფასი მათ, ასევე, მოსამართლეებს, პროკურორებს, ყველას, ვინც მართვის სტრუქტურებში მაღალი ხელფასის გამო იმუშავებს. აგრძნობინეთ ძალაუფლების სიამოვნება და მერე ისიც აგრძნობინეთ, რომ ჩვენს გარეშე არარაობები იქნებიან; ჩვენი მოკავშირე ხალხი კი არა, ხელისუფლებაში ცხვირის შეყვანაზე მეოცნებე ნებისმიერი რჯულის არსება შეიძლება იყოს, რომლის ფასი არაფერს წარმოადგენს, მაგრამ თუ მათ შეაქუჩებ და აყაყანებ, ხალხად გაასალებ! ამიტომ ადამიანების გულები კი არა, მათი ფიტულები გვჭირდება. გულს ისეთს ჩაუვდამთ, როგორიც ჩვენ გამოგვადგება! დაპირება ჰქმნის პოლიტიკას! პოლიტიკა მოლოდინზე დამოკიდებული ხალხის ფიტულების ბრძოლის ველია, – ამბობდა პრეზიდენტი და მზად იყო, ათასგზის გაემეორებინა ეს ყველაფერი მისი ერთგული მინისტრი „ვ-სთვის“, რადან ახლა მას უნდა ესაზრდობინა ხელისუფლების სასიცოცხლო ფუნქციები. – პოლიტიკა რელიგიისგან იმით განსხვავდება, რომ რელიგიურად ადამიანებს დაფარული ცოდვების გამო გაასამართლებენ, პოლიტიკაში კი გამყვანებული და გაუმყვანებელი ცოდვების გამოც სჯიან. პოლიტიკას ის უპირატესობაც აქვს, რომ ცოდვებს როგორც გინდა, ისე შეუფასებ მომხრეებსაც და მონინააღმდეგეებსაც, რელიგია კი ცოდვების შეფასებაში დადგენილ ცნებებს ვერ გასცდება. არავინ იცის, მართლა დაისჯებიან თუ არა ადამიანები საღვთო სამსჯავროზე, პოლიტიკურად ცოდვილი კი დამაჯერებლად შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ მათი განადგურება შესაძლებელია. ჩვენ უნდა შევქმნათ პოლიტიკური ფიტულების ემულიონები, რომლებიც უბრალოდ, უკან უნდა აგვედგინონ, რომლებიც უნდა იცოდნენ, რომ ეს ერთადერთი გზაა თუ უნდა, რამეს მიიღონ და, თუ არ აგვედგინებინა, უფრო მეტიც, თუ ჩამოგვრჩებიან, უნდა იცოდნენ, რომ ადვილია მათი მოშორება. ეს იქნება ჩვენი წარმატების ფორმულა!

მინისტრი „ვ“ ყოველდღიურად, საათობით მუშაობდა პოლიტიკური წარმატების თეორიაზე. შემდეგ ამ საკითხებზე მთავრობის წევრებს, პოლიტიკური ისტებლომენტის წარმომადგენლებს, ტელევიზიების პროდიუსერებს ელაპარაკებოდა და პრეზიდენტის რიტორიკა კიდევ უფრო ხორცხმესხმულად, მეტაფორებით გამდიდრებულად ჟღერდა მთავრობის წევრთა, პოლიტიკოსთა და ჟურნალისტების გამონათქვამებში, რომლებიც ყოველდღიური პროგრამებით გადაიცემოდა. მერე პრეზიდენტი და მინისტრი „ვ“ შედეგებზე მსჯელობდნენ:

– ზოგჯერ ადამიანებს დადებითი თვისებებიც აქვთ, – ეუბნებოდა მინისტრი „ვ“ პრეზიდენტს, – ისინი ხვდებიან, რომ მათ წარმატებული პოლიტიკოსების წყალობით უმართლებთ ცხოვრებაში და ამ გამართლებისთვის ერთგული თანამოაზრეობა ევალდებულებათ. ამან უნდა დაარწმუნოს პრემიერ-მინისტრი ჩვენს უპირატესობაში. ამ გზით უნდა დათმოს მან და ჩვენ უნდა მოვიპოვოთ კუთვნილი ძალაუფლება.

– არა ბატონო პრეზიდენტო, არაფერი გამოდის! დღეების განმავლობაში, საათობით ველაპარაკები პრემიერ-მინისტრს, რათა ვაგრძნობინო, რომ პოლიტიკა ადამიანების დამორჩილების ხელოვნებაა. ვუსხნი, რომ ჩვენ ვიმორჩილებთ ადამიანებს, გავლენებს მოვიპოვებთ მოსამართლეებზე და პროკურორებზე. ტელევიზიებსაც კი ვიმორჩილებთ, მაგრამ ის გაიძახის, რომ ყველაფერი შეიძლება დაიმორჩილო, ყველაფერს შეიძლება დაეუფლო, მაგრამ ადამიანები კეთილდღეობისკენ მიისწრაფვიან, და ყველა წინააღმდეგობას გადალახვენ, თავისუფლების მოსაპოვებლად. მთავარი წარმატებული მომავლის რწმენაა და მე ადამიანებს მივცემ შესაძლებლობას, იშრომონ, შემოსავალი მიიღონ და გათავისუფლდნენო. ბატონო პრეზიდენტო, არ ესმის მას ჩვენი შეტყობინებები, – შფოთავდა მინისტრი „ვ“, როცა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შთაბეჭდილებებს უზიარებდა ბატონ პრეზიდენტს.

– უნდა გავაგებინოთ პრემიერ-მინისტრს, რომ ფულს ვერაფერ იშოვის ამ ქვეყანაში თუ ჩვენთან არაა. არ შეიძლება, ვინმეს ჰქონდეს ფული და თან იყოს დამოუკიდებელი, რადგან ჩვენ შეგვიძლია, ნებისმიერი ადამიანი დავერწმუნოთ, რომ ყველაფერს დაკარგავს, თუ ჩვენს წინააღმდეგ იქნება და ნებისმიერ შეგვიძლია ვაგრძობინოთ, რომ ფულის შოვნა მხოლოდ ჩვენი მხარდაჭერითაა მოსახერხებელი, – ეუბნებოდა პრეზიდენტი მინისტრ „ვ“-ს. – ნუთუ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთ შეთავაზებაზე უარს იტყვიან! მით უმეტეს, როცა არსებობს სასამართლო, არსებობს პროკურატურა, რომელიც უჩვენოდ პაერს ვერ ჩაისუნთქავს და, ბოლოს და ბოლოს, რისთვის არსებობს ამქვეყნად ტელევიზორი! – ამბობდა პრეზიდენტი. – ჩვენ გავცემთ იაფ კრედიტებს, რომ ყველა ოჯახს ჰქონდეს ტელევიზორი და ისწავლონ როგორია ცხოვრება!

ყველანაირი ძალისხმევით ცდილობდა მინისტრი „ვ“ შეესისხლებოდა პრეზიდენტის გონიერების ნაკადის მთავარი აზრი და თითოეული აზრთაგანი მარცვალ-მარცვალ მტკიცებულებად წარედგინა პრემიერ-მინისტრისთვის, რათა იგი გამარჯვებული პარტიის უპირატესობაში დაერწმუნებინა. ზუსტად გრძობდა, რომ თავის როლს ზედმინებით სრულყოფილად ასრულებდა და ვერაფრით იჯერებდა, რომ პრემიერ-მინისტრის თავში დაგუბებული შეხედულებები პოლიტიკურ გონიერებას ექვემდებარებოდა.

რა იყო გაუგებარი?! პრეზიდენტი, რომელსაც განუზომელი სახალხო მხარდაჭერა ჰქონდა, რომელსაც დამსახურებულად ეკუთვნოდა ძალაუფლება და ქვეყნის მართვისთვის საკმარისი მეტი ნდობა ჰქონდა მოპოვებული, როგორ შეიძლება შენიწავლებულიყო გონიერი არსება?! პრემიერ-მინისტრი კი ამბობდა, რომ ჩვენ გზები უნდა გავაკეთოთ, გზების მშენებლები უნდა გამოვზარდოთ; გადასახადები უნდა აკრიფოთ და პენსია დავარიგოთ, რისთვისაც ეკონომიკა და ფინანსები უნდა ვასწავლოთ ადამიანებს. აი, რას ექნება ტელევიზიაზე დიდი ძალაო.

გაოგნებული გამომეტყველებით მოუთხრობდა მინისტრი „ვ“ პრეზიდენტს იმის შესახებ, თუ როგორი თავდაჯერებული და დაიმედებული იყო პრემიერ-მინისტრი.

– საერთოდ, არაფრად მიაჩნია ჩვენი ძალაუფლება, ბატონო პრეზიდენტო, – ამბობდა მინისტრი „ვ“. – სრულ არარაობებად მიგვიჩნევს, ჩვენს ტელევიზიებს არაფრად აგდებს. მშენებლობებზე, განათლებაზე ლაპარაკობს და ვერ აცნობიერებს, რომ ჩვენ დაუმარცხებელთა რეპუტაცია გვაქვს.

– კარგი ნათქვამია, მინისტრო „ვ“, ჩვენ დაუმარცხებლობის რეპუტაცია გვაქვს! ყველამ უნდა იგრძნოს, რომ ეს რეპუტაცია მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის! – უპასუხა პრეზიდენტმა. – პრემიერ-მინისტრის იდეაც მომწონს! ჩვენ უნდა გავაკეთოთ გზები, უნდა აკრიფოთ გადასახადები და პენსია დავარიგოთ. ეს ყველა ტელევიზორში უნდა ჩანდეს! ეკონომიკა და ფინანსები კი მხოლოდ ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, რათა შეუცვლელი ხელისუფლების რეპუტაცია დავიმკვიდროთ!

რამდენიმე დღეში მთავრობის ადმინისტრაციამ გაერცვლა მითითება, რომ პრემიერ-მინისტრის ახალი სურათების მოძიება და კედლებზე განთავსება აკრძალულიყო. მომდევნო კვირაში ეს მითითებაც დააკორექტირეს და სურათები, რომლებიც პრემიერი ლიდერად გამოიყურებოდა, სტენდებიდან და კაბინეტების კედლებიდან საერთოდ ჩამოხსნეს.

მთავრობის ადმინისტრაციის კაბინეტში დასაკიდებლად პრეზიდენტის გადაიდებული ფოტოები ჩამოართვეს და ჩინოვნიკები ისწავლობდნენ, რომ სახელმწიფოს გასაძლიერებლად პირველი პირისადმი პატივისცემის კულტურა უნდა დაემკვიდრებინათ. ამბობდნენ, რომ პრეზიდენტი რე-

ვოლუციის ერთპიროვნული შემოქმედი იყო და მისდამი პატივისცემის ნიშნად ბატონი „ზ“-ს ფოტოები სახელმწიფოს გაძლიერებას ხელს შეუშლიდა.

– ბატონო პრეზიდენტო, თითქმის მთელი ადმინისტრაცია გასუფთავებულია პრემიერ-მინისტრის გამოსახულებისგან და ადმინისტრაციის უმრავლესობა ამ პროცესს ემხრობა, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ამას ვერ ათვითცნობიერებს, რადგამ მისი მომხრეები ფოტოცვლილებების მითითებებს არ ემორჩილებიან. ამიტომ, მას ჯერ კიდევ აქვს ილუზია, რომ ხელისუფლებაში თავისი ხალხი ჰყავს. ჩასაფრებულები არიან, ბატონო პრეზიდენტო. ყველაფერს უნდა მოველოდეთ მათგან. მზად არიან, ხალხი ჩვენს წინააღმდეგ განაწყონ. ეს სამიში პროცესი იქნება, რადგან მათ შეუძლიათ რევოლუციამი გამარჯვებულების სახელით ილაპარაკონ, – ამბობდა მინისტრი „ვ“.

– ყველაფერს ორი მხარე აქვს, მინისტრო „ვ“, როგორ ფიქრობ, მათ რომ რევოლუციაში გამარჯვებულის სახელით შეუძლიათ ილაპარაკონ, ეს მხოლოდ პრემიერ-მინისტრისთვის შეიძლება იყოს სასარგებლო? რა შეუძლია შეთავაზოს მათ პრემიერმა და რა შეგვიძლია შევთავაზოთ მათ ჩვენ, ამაზე ვფიქრობ? – უპასუხა პრეზიდენტმა. – თუ ადმინისტრაციაში ვინმე პრემიერის მომხრე გეგულებათ, დავინშნოთ მინისტრებად, გუბერნატორებად, თუ ვინდა, პრეზიდენტის სამხარეოებში დავინშნოთ ჭურჭლის მრეცხავები უფროსებად. ისინი მაშინვე ჩვენთან გადამოქცევიან, რადგან პრემიერის დანიშნულ არცერთ თანამდებობაზე ისინი არაფერს წარმოადგენენ! აი, ეს უნდა უზრუნველყო მინისტრო „ვ“ და ყველაფერი მონესრიგდება. ყველა ფოტო თავის ადგილზე აღმოჩნდება. არც ერთი თეთრი შემოსავალი არ უნდა მიიღოს პრემიერის მხარდამჭერმა ბიზნესმა და საუკეთესო პირობები უნდა შევუქმნათ ყველას, ვინც ჩვენს მხარეს გადმოვიდა! მას არავინ შემორჩება და სად წავა ამის შემდეგ პრემიერი? რაღა იქნება მისი ძალაუფლება?!

– ჩვენი განზრახვა რომ შეიტყოს პრემიერ-მინისტრმა და თავისი ხალხი დაიბაროს პროცესის შესაჩერებლად? – ჰკითხა მინისტრმა „ვ“-მ.

– მას შემდეგ რაც ჩვენს შეთავაზებას მიიღებენ, მათ შეზღუდვებით პრემიერ-მინისტრი, რადგან გულში უკვე ნაღალატევი ექნებათ მისთვის. ყოველგვარი კეთილდღეობა, რომელსაც ჩვენგან მიიღებენ, მათ პრემიერ-მინისტრისგან დააშორებს. შეიძლება, ითვალთმაცქონ მის წინაშე და თავი ერთგულად მოაჩვენონ, მაგრამ სინამდვილეში მისი დანახვის სურვილიც აღარ ექნებათ, – ხომ ხვდები, მინისტრო „ვ“, – უთხრა პრეზიდენტმა. – პრემიერ-მინისტრმა უნდა იგრძნოს, რომ ძალაუფლება აღარ გააჩნია.

– პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ბატონო პრეზიდენტო, თითქმის ყველა სიამოვნებით თანხმდება შეთავაზებულ თანამდებობას, – ამბობდა მინისტრი „ვ“, – რა თქმა უნდა, ჩვენი შეთავაზების სანაცვლოდ, მათ პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას არ ვთხოვთ, მაგრამ მათივე მადლიერებდან იგრძნობა, რომ ახლა ისინი გვერდიდან აღარ მოგვშორდებიან და პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ შეთქმულებაშიც მიიღებენ მონაწილეობას, ასე თუ დაგვჭირდა. თუმცა, ბატონო პრეზიდენტო, გაუთვალისწინებელი და არასასურველი მოვლენებიც ახლავს ამ ყველაფერს. პრემიერ-მინისტრმა დიდი ქვეყნების დიპლომატებთან შეხვედრები წამოიწყო. ჩვენი ანალიტიკური სამსახურები ეჭვებს გამოთქვამენ, რომ იგი დასაყრდენს იმზადებს ჩვენს წინააღმდეგ. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს პრემიერი. ანალიტიკოსები ვერ პროგნოზირებენ, რა შედეგებს შეუძლია მიაღწიოს მან დიდი ქვეყნების ელჩებთან შეხვედრებით. არც ვიცით, რასთან მოგვიწევს ვამკლავება...

– ხავს ეჭვიდება, ხავს ეკ ლიპია, მას ვერ დაიკავებს. ხელი მოუცდება, – თითქმის კბილების ღრჭიალით წარმოთქვა პრეზიდენტმა. – ძალიან კარგი, მინისტრო „ვ“! ეს

ცუდი ფაქტია! შეიძლება, არასასურველი ამბავია, მაგრამ კარგი მიზეზია ჩვენთვის, რომ შესაბამისად ვიმოქმედოთ! ჩვენ ვუთხარით დიდ ქვეყნებს, რომ მზად ვართ მათთან თანამშრომლობისთვის; ვუთხარით, რომ ჩვენ უფრო ფართო ურთიერთობების შესაძლებლობები გვაქვს, ვიდრე პრემიერ-მინისტრს. ჩვენ ხალხის არჩეულ ხელისუფლებას წარმოვადგენთ, პრემიერ-მინისტრი კი ჩვენ იმიტომ მოგვერგო, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. მას ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია. ამის შემდეგ თუ დიდი ქვეყნები პრემიერ-მინისტრს ჩვენს წინააღმდეგ მაინც უთანაგობობენ, უფლებამოსილები ვართ, ამას ვუპასუხოთ. დიას, შეიძლება ეს ცუდი ფაქტია, მაგრამ ის ჩვენ მოქმედებისთვის გზას გვიხსნის. მინისტრო „ვ“, ახლა, მგონია, რომ სპეცოპერაციის დროა! ახლა სახელმწიფოს ხერხემალი სჭირდება, – თქვა პრეზიდენტმა და მინისტრმა „ვ“-მ ხერხემალი გაისწორა, წელში გაიმართა, რომელსაც ჩვეულებრივ, პრეზიდენტთან თავდახრილ მდგომარეობაში ყოფნა ერჩია ხოლმე. შეიძლება, არც იყო დარწმუნებული, ვის გულისხმობდა პრეზიდენტი სახელმწიფოს ხერხემალი, მაგრამ იგრძნო, რომ წელში უნდა გამართულიყო, ეს შინაგანმა ალლომ უკარნახა...

– დიდი ქვეყნების წარმომადგენლებთან სპეცოპერაციები ჩავატარეთ, ბატონო პრეზიდენტო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ელჩები ჩვენი ტრადიციებისადმი ყოველთვის პატივისცემას გამოხატავენ. ჩვენი მხრივ, მასპინძლობას ხელგაშლილად ვცდილობდით ხოლმე. ამჯერად ტრადიციებს ოდნავ გადავუხვიეთ. გასამასპინძლებლად მყუდრო და გემოვნებით მოწყობილი სასტუმროები შევარჩიეთ. ამქვეყნიური ამაოებისგან თავის დასაღწევად ყველა პირობა შევეუქმნეთ. აღმოჩნდა, რომ ამაოება არცთუ მთლად ამაოა ელჩებისთვის, როცა მათ წინაშე მომსახურავი მანდილოსნები გრძობებენ იმიშვლებენ, – მოკრძალებული ირონიით წარმოთქვა მინისტრმა „ვ“-მ. – სასტუმრო ნომრებში ჩვენმა ბიჭებმა კედლებზე ჩამოკიდებულ რეპროდუქციებზე უკნიდან ფარული კამერები ისე მოხერხებულად დაამონტაჟეს, რომ ვნებაში ჩაფლული ელჩების ღამის ისტორიები სატრფიალო ჟანრის ფილმებით გადავიღეთ. მართალია, ერთი უსიამოვნო შემთხვევაც გამოგვერია. თუმცა, აღელვებდა არ ღირს ეს ამბავი... უბრალოდ, მანდილოსნის გაცილების შემდეგ, ოთახში დაბრუნებულმა ელჩმა ჩვენი სამსახური უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენი ბიჭები სათანადოდ არიან მომზადებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასტუმროს კედლებზე აბსტრაქციონისტი მხატვრის რეპროდუქციები ეკიდა. ბიჭებმა თავიანთი სამუშაო უზალოდ შეასრულეს, მაგრამ სურათი კამერის დამაგრების შემდეგ უკულმა ჩამოკიდდა. გადავამოწმეთ ბატონო პრეზიდენტო და სამართლიანად უნდა ითქვას, რომ სურათის ზედა და ქვედა მხარეები ერთმანეთისგან რთული გასარჩევი იყო. ოთახში დაბრუნებული პატივცემული ელჩი კი ისეთი დამფრთხალი თვალებით გვიყურებდა სურათის მეორე მხრიდან კამერაში, რომ ადვილი მისახვედრი იყო, იგი კარგად იცნობდა ამ ნაწარმოებს. – ამბობდა მინისტრი „ვ“. – შეცდომა დაუშვეს ბიჭებმა, მაგრამ შეცდომა ზოგჯერ სულაც არ არის უსარგებლო, თუ მას კარგად გამოიყენებ. მას შემდეგ, რაც ელჩმა დაინახა, რომ სურათი უკულმა ეკიდა და ფარული კამერაც აღმოაჩინა, თავადვე მიხვდა, რომ მთელი მისი რომანტიკული საღამო ჩვენი ფარული კამერის წინაშე მიმდინარეობდა. ამან საგრძობლად გაგვიმარტივა კიდევ საქმე. ახლა განსაკუთრებული ძალისხმევა აღარაა საჭირო იმის ასახსნელად, რა მოხდება, თუ იგი ჩვენი პოლიტიკური ნება-სურვილის წინააღმდეგ და პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ რამეს განიზრახავს.

– ეს ჩვენი შეცდომა იქნებოდა, დიპლომატს ამობრუნებული რეპროდუქცია სატრფიალო საღამოს დაწყებამდე რომ შეეჩინა. ახლა ეს ჩვენი სპეცოპერაციის კლასიკაა, – თქვა პრეზიდენტმა. იქნებ ჩვენ ჩვენი უცნობი აბსტრაქციონისტი კანდისკები, პოლკლები და დელონები გვჭირდება, რათა ვერცერთ ნახატს თავი და ბოლო ვერავინ გაუგოს! თუმცა, არანაკლებ შთაბეჭდავია, როცა მსხვერპლი ამოტრიალებული რემ-

ბრანტის რეპოდუქციის უკან ჩვენს ფარულ კამერას და შესაბამისად, თავის ადგილს პოულობს ჩვენს სამსახურში! აი, ეს უკვე მიღწევა იქნება მინისტრო „ვ“!

– პრემიერ-მინისტრი ისევ არ ემორჩილება ბედს, ის ისევ ეწინააღმდეგება პოლიტიკური პროცესების ლოგიკას, – ამბობდა მინისტრი „ვ“. – მასთან აღარ დადიან შეხვედრებზე დიდი ქვეყნების ელჩები, მისი პოლიტიკური მიმდევრები ახლა ჩვენი ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად, ჩვენთან ერთად განაგრძობენ სამსახურს უმაღლეს თანამდებობებზე. მას კი თავი ისე უჭირავს, თითქოს ისევ ხელისუფლების სათავეშია. ალბათ, უნდა მოგვაცვენოს, რომ არ გვინებდა. შეიძლება რაიმე გეგმაზე მუშაობს კიდევ ჩვენი წინააღმდეგ. შეიძლება ჩასაფრებულია და შესაბამის დროს ელოდება, რათა ჩვენი ნებისმიერი შეცდომა გამოიყენოს ხალხის გულების მოსანადირებლად.

– ხმა მიანვდინეთ და უთხარით, რომ ხალხს გული არ გააჩნია. ხალხს აქვს თვალები, მაგრამ მისი დახუჭვა შეუძლია. ხალხს ყურები აქვს, მაგრამ მათ მხოლოდ ის ესმით, რაც სიამოვნებთ. ხალხს აქვს კუჭი და მხოლოდ იმის ამოცხებაა მათი მთავარი საზრუნავი. ხალხს ტვინის ნაცვლად აღგზნებული ასო უდევს თავში სიამოვნების განსაცდელად – პასუხობდა პრეზიდენტი, – ბოლოს და ბოლოს გააგებინეთ, რომ მოვეკლავთ, ცინგლივით მოვიხოცავთ, რადგან ის უკვე ზედმეტია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების გზაზე.

– და რომ შეგვეწინააღმდეგოს, მკვლელობის მუქარაზე რომ ალაპარაკდეს? – ჰკითხა მინისტრმა „ვ“-მ.

– ის მე უკვე მეწინააღმდეგება თავისი არსებობით, ახლა მისი შემფოთება უნდა შევძლოთ, რათა დაეცეს, მკვლელობაზე ლაპარაკს კი, მინისტრო „ვ“, ის არ დაიწყებს! არა იმიტომ, რომ თვითონ არ დაიჯერებს, სხვები არ დაიჯერებენ! არც იმის აღიარება მოუწდება, რომ ძალაუფლება მას არ ეკუთვნის, სისუსტის აღიარება არ მოუწდება! აი, ამიტომ არ ალაპარაკდება მკვლელობაზე...

– პრემიერ-მინისტრს არც მკვლელობის სჯერა. ამბობს, რომ ჩემი მოკვლით უდიდეს კომპრომატს ჩაიდებენ ჯიბეში ჩვენი დიდი მეგობარი ქვეყნები. მეურ ამ შავბნელი საბუთებით ყველაფერს ჩაადენინებენ პრეზიდენტს. დარწმუნებული ვარ, ამას თვითონვე ხვდება და ჩემს მკვლელობას არ დაუშვებს, – ჰყვებოდა მინისტრი „ვ“, – და, თუ მაინც ძალაუფლების ცდუნება დააბრმავებს, ჩემს მხარდამჭერებს გადაიბირებს და ჩემს მკვლელობაზე ტელევიზიებს ხმას არ ამოაღებინებს, საბოლოოდ, პრეზიდენტი კომპრომატებს თავს მაინც ვერ დააღწევსო.

– მინისტრო „ვ“, ორი მხარე აქვს კომპრომატს, – უპასუხა პრეზიდენტმა, – თუ შეეცდებიან, რომ ისინი ჩემს წინააღმდეგ გამოიყენონ, ამას სიამოვნებით შევეგუები, რადგან მე თვითონ გადავიქცევი მათ სანინააღმდეგო კომპრომატად. დიას, შევეგუები ჩემს გამოყენებას, რადგან ასე ჩვენ ურთიერთდამოკიდებულები გახვებით. და ვიყოთ ურთიერთდამოკიდებულები! მზად ვარ, მათ ხელი შევუწყო ჩემს წინააღმდეგ კომპრომატების შექმნაში, რადგან ისინი მათვე აიძულებს, რომ ჩემს სასურველ პარტნიორებად იქცნენ. მოგვიფრთხილდებიან მინისტრო „ვ“, სამუდამოდ მოგვიფრთხილდებიან, რათა ოდესმე აღიარებონ ჩვენებების მიცემა არ მოვისურვოთ. რა თქმა უნდა, არსებობს იმის რისკიც, რომ ჩვენც მოგვიშორონ, მაგრამ ამისთვის ჩემზე თავზეხელაღებული პრეზიდენტი უნდა მოძებნონ და მინისტრ „ვ“-ზე უფრო ძლიერი ხერხემალი. ასეთები რომ არსებობდნენ, ახლა პრემიერ-მინისტრის ბედს ისინი გადაწყვეტდნენ. ამიტომ პრემიერ-მინისტრს ერთი ტელევიზორი აჩუქეთ, იქნებ დაინახოს, როგორ ბრუნავს პოლიტიკური სამყარო და მე გეგმა მომიტანეთ – მისი მოშორების გეგმა, ახლა ყველაფრის დასასრულებლად ძალაუფლების მოცილე გვამი მჭირდება! – თქვა პრეზიდენტმა.



ლუიზ გლიკი

ლუიზ გლიკი – ამერიკელი პოეტი და ესეისტი, ნობელის პრემიის 2020 წლის ლაურეატი, დაიბადა 1943 წელს ნიუ-იორკში რუსულ-უნგრული წარმოშობის ებრაელების ოჯახში; იყო ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების წევრი, აშშ-ის ეროვნული ჰუმანიტარული მედიის მფლობელი. სტენფორდის, ბოსტონისა და აიოვას უნივერსიტეტებში ასწავლიდა ინგლისურ ენას. გამოსცა თექვსმეტი პოეტური კრებული. კრიტიკოსების შეფასებით, მისი პოეზია – ეს არის სევდისა და მარტოსულობის დაუფარავი გამოხატვა, რაც ეხმარება იმაში, რომ პიროვნული განცდები უნივერსალურ ფენომენად აქციოს. ლუიზ გლიკი შარშან, 13 ოქტომბერს გარდაიცვალა. „თუ ლექსებ წერ, ეს არ ნიშნავს, რომ პოეტი ხარ. პოეტობა სხვა რამეა...“ – უთქვამს მას ერთ-ერთ ინტერვიუში.

ორი ქალია ბრძენი მეფის ფერხითი გართხმული ერთი საჩივრით. ქალი ორია, ყრმა არის ერთი. მეფე მიხვდა, რომ ვიღაც ცრუობდა. აი, რა უთხრა, დაე, შუაზე გაჭრან ბავშვი. ასე ხომ ყველა იხეირებს. იშვშვლა ხმალი. მერე კი ერთმა ამ ორიდან უარყო წილი: ესეც ნიშანი, გაკვეთილი. ახლა კი ვითომ, ხედავ დედაშენს ქალიშვილების სიყვარულით ორად გახლეჩილს: შენ რას იზამდი მის საშველად, ისურვებდი, თავი მოგეკლა – რათა შეეცნო, რომელია მართალი შვილი, დედის გაპოვის ჯვარს რომ ვერ ზიდავს.

იგავი

რამდენჯერღაც ხაზგაშვები

გონიერება ლალატობთ, იცი. გასაკვირი არ არის, რომ სულ იხრჩობიან, ჯერ ხომ ყინული შეიტყუებს, მერე გადის ასე მთელი ზამთარი, ლივლივებენ ყელსახვევები, სანამ ისინი ეშვებიან, ბოლოს კი ფსკერზე ესვენებიან. და ტბა მოიქცევეს შეუცნობელ მრუემ მკლავებში. მაგრამ სიკვდილი სხვანაირად უნდა სტუმრობდეთ, დასაბამთან მიახლოებულთ. თითქოს, ყოველთვის ასე იყვნენ, უსინათლო და უწონადო. მაშასადამე, ყველაფერი სხვა სიზმარია, ერთი სანათი, მშვენიერი თეთრი სუფრა ფარავს მაგიდას და მათ გვამებს. და მაინც ესმით სახელები, მაცდურად რომ იხმობს მათ ტბისკენ: რაღას უდგახართ შინისაკენ, შინისკენ სწრაფად, ცისფერ და უცვლელ წყლებში გამქრალ სახლს მიაშურეთ.

ჯანს რაწყო

ეს იყო ველად. ხარობდა ხეები, გარინდებული, იპარებოდა ფოთლებში ნათელი, ქრისტეს დიად ძალაზე მოსაუბრე: მე გავიგონე. გამოინთო ჩემი სხეული და იქცა აბჯრად. რაც გუშაგებმა ჩემი თავი წყვიდას არგუნეს, ღმერთს ვევედრები და ახლა ხმები მპასუხობენ, რომ ცეცხლად უნდა გარდავიქმნა, ასეთია ნება უფლისა, მუხლმოდრეკილი ვევედრები, დალოცოს მეფე, მადლს ვწირავ ჩემს მტრებს, სიცოცხლეს რომ უნდა ვმადლობდე.

პიეტა

დედის დაჭიმულ კანის ქსოვილქვეშ შეფრთხილდა იმისი გული. ყური მიუგდო, რადგან იმას მამა არ ჰყავდა. ასე მიუხვდა, რომ სხეულში სურდა დარჩენა, შორს სამყაროსგან მისი ყიჟინით,

აყალმაყალით, მაგრამ ის კაცნი გროვდებიან, რათა იხილონ დაბადება: შეჯარდებიან ან მუხლს იყრიან მოკრძალებული მანძილიდან, ფიგურებს ჰგვანან ნახატიდან, ვარსკვლავი რომ დაჰნათით თავზე, ბრწყინავს ჯიუტად იმ ბნელ კონტექსტში.

წარყი

გაკვირდები სარკეში და ვფიქრობ, როგორია, იყო ასე ლამაზი, რატომ არ გიყვარს, რატომ იჩხ თავს, ბრმა კაცივით რატომ იპარსავ. ასე მგონია, ნებას მაძლევ, რომ მოგაშტერდე, რათა უღმობლად კიდე უფრო შეიზიზლო შენივე თავი, უნდა მაჩვენო, როგორ იცლი ტყავს სიძულვილით და უყოყმანოდ, სანამ არ შეგიცნობ კაცს, სისხლისაგან რომ იცლება, და არა ანარეკლს, რომელსაც ველტვი.

პროტროიცი

ბავშვი სხეულის კონტურს ხაზავს. ნვალობს და ხაზავს, თუმცა თეთრია სულ მთლიანად, ვერ ამოავსო ის, რაც იცის, იქ, შიგნითაა. საყრდენგამოცლილ კონტურს შორის, სიცოცხლე გაქრა, იცის, თვითონ ამოჭრა ერთი ფონი მეორისაგან. ბავშვის წესია, დედას მიმართა. და შენც უხატავ გულს მის შექმნილ სიცარიელეს.

რამდენჯერღაც

როცა ნახვედი, ჯერ შემეშინდა; ბიჭი შემეხო მერე ქუჩაში, მისი თვალები ჩემს თვალებს გასწვრივ, იყო ნათელი და მგლოვიარე: მე დავპატიჟე; ჩვენს ენაზე ველაპარაკე, მისი ხელები კი შენი იყო, დიდი სინაზით აცხადებდნენ სასტიკ უფლებას – მნიშვნელობაც არ ჰქონდა მერე, შინ რომელი შეგაპატიჟეთ, ჭრილობა იყო ისეთი ღრმა.

ვიყოფორი ზამთარი

ჩემს ტკივილს ბოლოს კარი ვუპოვე. კარგად მისმინეთ: მახსოვს, თქვენ სიკვდილს რას უწოდებთ. თავზემთი ხმაური, ფიჭვის რტო ირხევა. მერე არაფერი. მინავლული მზე ძლივსლა ბუჩუტავს მშრალ ზედაპირზე. სასჯელია, გადარჩე მაშინ, როცა გონება დამარხულა შავბნელ მინაში. მერე დასრულდა ყველაფერი: რასაც თქვენ უფრთხით, იყო სული, დამუწვებული, უეცრად მოკვდე, ქვასავით მინა ოდნავ ჩადრიკო. მე კი მეგონა, ჩიტს უშენდნენ ბუჩქნარში ისრებს.

ზამთრის რიოსი

შენ დაგვიწყნია, სხვა ქვეყნიდან როგორ მოხვედი, გეუბნები, ისევ ვსაუბრობ: რაც ბრუნდება მივიწყებიდან, ბრუნდება, რომ ხმა აიმაღლოს: ჩემი სიცოცხლის შუაგულში შადრევანი ჩქეფს, მუქლურჯი ჩრდილი ზღვის ლაქვარდ წყალზე.

1.

გაღვიძებულმა, დღეს ჩემს თავს ვკითხე, რატომ მოკვდა ქრისტე? ვინ ჩასწვდება ამ კითხვების არსს?

ზამთრის დილა იყო, სასტიკად ცივი. ფიქრს ფიქრი მოჰყვა და კითხვას კითხვა, როგორც რტო – ერთ ტოტს, ტოტი კი – ღეროს.

2.

სწორედ ასეთ დროს ნორჩი ქალი კვეთდა ხრიოკ ახალშენს, არც წინ მხედველი და არც – უკან, სრულიად მშვიდად დამჯდარიყო დალილ პირუტყვზე, ბავშვი შფოთავდა, დიდ სიყვარულში ჩაძირული – ქმარი უსწრებდა სულ ცოტათი, მასზე უფროსი, უადგილო;

ჯორი ხშირ-ხშირად ბორძიკობდა, გზა ძნელდებოდა უკუნითში, მაგრამ ჯიუტად მიინევდნენ ჩვენი სამყაროს მსგავს სამყაროში, რომელსაც კაცი კი არ მართავს, არამედ ზეცად მყოფი ქანდაკი.

იმ ბრბოს თავზე, კაცობრიობას, შორეული ხანის გზაბნეულ მცხოვრებლებს, რომ ასახიერებს, დამცირებული სხეული ავიდა ჯვარზე, როგორც შემცოდე, რომ მომკვდარიყო ყველას თვალწინ მოციმციმე ქალაქის, იერუსალიმის, თავზე

ფრინველები დასტრიალებენ დიდ გუნდებად ამასობაში სხეულს, ვერ ასხვავებდნენ იმის სახეს დანარჩენისგან,

ერთმანეთს ჰგავდა ყველა კაცი, თუკი ციდან ანადგურებდნენ,

აი, ფრინველის სხეული კი ბაირალად იქცევა ცაში:

მაგრამ საჭირო გაკვეთილი სხვა გაკვეთილი იყო.

უნდო გაზაფხულს დაინახეს, მიმოდიადო ჩვენთან ერთად, ყოფილიყო, თითქოს, ჩვენგანი,

ამწვანებულ იუდეაში, სიცოცხლის ნიღბით დაფარულში, ზეთისხილის ხეების რიგში, იმ უამრავ ფორმათა შორის, გაზაფხულს რომ გადაედღებნა,

ჩერდებოდა, რომ შეეჭამა და დაესვენა – ცხადზე ცხადია საჭიროება, ათასობით ყვავილთა შორის, ქარს მოეტანა ზოგიერთი, ზოგიც დაერგოთ –

ყველა კაცივით, დაფასებას ვინც ესწრაფვის დედამიწაზე, ჰოდა, ეტყოდა მოციქულებს

უვნებელი ხელის შემართვით და კაცის ხმით: ნუთუ, ქარი ლაპარაკობდა? ეფერებოდა მარიაშ თმებზე, მერე ქალი თვალს ალაპყრობდა

ალარ სტკენდა კაცის სიცივე, უსარგებლო გმობა ხორცისა, ქალს რომ ავსებდა –

ეს მზე არ იყო. ეს ქრისტე იყო ნათლით მოსილი:

და დაიფიცეს. სხვებმაც იხილეს, თუმც არ ჰქონდათ სინათლე თვალში, სიყვარული მართავდა ყველას –

გრძელი ზამთარი იცის ჩვენთან. რუხი გზა, რუხი ნეკერჩხალი, მღერს შეუვერცხლავს, მზე იმალევა ჰორიზონტს მიღმა, თეთრი ცისფერზე; მზის ჩასვლისას ელვარება აღისფერისა.

თვალებს რომ ვხუჭავ, ისიც გაქრება. თვალებს ვახელ და ისიც იქ არის. გარეთ წვიმაა გაზაფხულის, გულისცემა, ფირი მინაზე.

და უცაბედად ზაფხულია, ყველგან ხილი და სინათლე გასაოცარი.

თითრეყვავილოები

ის თუ იცი, რა ვიყავი, როგორ ვცხოვრობდი? სასწონარკვეთა რა არის, იცი; მაშინ ზამთარსაც აზრი აქვს შენთვის.

არ მეგონა, გადავრჩებოდი, მინა მფარავდა. არ მეგონა, გავიღვიძებდი, ამ სველ მინაში მე ჩემს სხეულს თუ შევიგრძნობდი, გავიხსენებდი დიდი ხნის შემდეგ, როგორ იშლები დილის სუსხში, გაზაფხული რომ ფეხს შემოდგამს –

ვშიშობ, დიახ, მაგრამ ვარ თქვენთან, დიახ, ტირიან, იცინიან, საფრთხეს იქმნიან გამთოშავ ქარში ამ ახალი სამყაროსი.

იღბი

რალაცა მუდამ იმალევა ჩვენს სამყაროში, ციდა და თეთრი, ციდა და როგორც უწოდებენ, წმინდა, არ გვჩვენია თქვენსავით გლოვა, გატანჯული და საყვარლო ჩვენო ბატონო; თქვენც ჩვენსავით გზა აგზნევიათ კუნელის ძირში, კუნელს აუხსამს მარგალიტით სავსე ლანგრები, რამ მოგიყვანა ჩვენს მხარეში ჩვენგან სასწავლად, თუმც ჩამუხლულხარ და ქვითინებ, ალგოყრია დიდი ხელები, ასე დიდებულს ვერაფერი გაგიგია სულის უკვდავი ბუნებისა: საცოდავო მწუხარე ღმერთო, ან არ გაქვს, ან კი ვერ დაკარგავ შენ ვერასადაც.

ინგლისურიდან თარგმნა იან ჯეჯელავამ

1-ელ სექტემბერს 120 წელი შესრულდა ქართველი მწერლის, მთარგმნელისა და ჟურნალისტის ნიკა აგიაშვილის დაბადებიდან. ლიტერატურული მოღვაწეობა მან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე დაიწყო. 1925 წლიდან აქტიურად იბეჭდებოდა მისი წერილები და თარგმანები, იყო შესანიშნავი მთარგმნელ-სტილისტი. ნიკა აგიაშვილი ავტორია მონოგრაფიებისა: „სერვანტესის ცხოვრება“ (სუთჯერ გამოცემა), „ალექსანდრე ნეველი“. „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, რომელიც პირველად 1961 წელს დაისტამბა. მის კალამს ეკუთვნის ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ლევ ტოლსტოის, მაქსიმ გორკის, ჯეკ ლონდონის და სხვათა ნაწარმოებები. ფასდაუდებელია ნიკა აგიაშვილის წერილები და მოვლენები ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა მისი წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, რომელიც უდროოდ დალუპული ნიჭიერი პოეტების: ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალიოშა საჯაიას, გიორგი ნაფეცვარიძის და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება. ეს ახალგაზრდები თამამად ამოუდგნენ გვერდში უფროსი თაობის მწერლებს და მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის საიმედო ძალას წარმოადგენდნენ. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი მსოფლიო ომმა შეინარა, ხოლო სხვებს უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე უღმრთებლმა სიკვდილმა. სწორედ ამ ნიჭიერი, უდროოდ დალუპული, ახალგაზრდა პოეტების ერთგული მეგობარი და პირუთენელი მემკვიდრე იყო ნიკა აგიაშვილი.

ნიკა აგიაშვილის სახელი და წიგნები ჩვენს ოჯახში განსაკუთრებულ პატივში იყო. ბავშვობიდან მასსოვს მისი „სერვანტესის ცხოვრება“ და, რა თქმა უნდა, „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, რომლის რამდენიმე გამოცემა იყო ჩვენს ბიბლიოთეკაში. მოგვიანებით გავიგე, ბიძაჩემი (მამის ძმა) პარმენ შელეგია ქუთაისის გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორი იყო, რომელიც 1937 წლის ტრაგედიას შეეწირა. ბატონი ნიკა ამ გაზეთის თანამშრომელი და პარმენის მეგობარი ყოფილა. ნიკა აგიაშვილის ადამიანობაზე, მის კეთილშობილებაზე მეტყველებს ის, რომ როგორც კი საშუალება მიეცა (მოგვიანებით, რეპრესირებულები რომ გაამართლეს) მან პატივი მიაგო თავის მეგობარს, პარმენ შელეგიას და ეს დიდი სიყვარულითა და გულწრფელობით გააკეთა. თავის წიგნში: „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ავტორი მოგვითხრობს: „ლადო ასათიანს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა

ქუთაისური გაზეთის „სტალინელისა“ და მისი კოლექტივის მიმართ. ერთი პერიოდი რედაქციის თანამშრომელიც იყო. სხვა რომ არა ვთქვით, მისი პირველი ლექსები სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა: „პირველად გაზეთ „სტალინელის“ ფურცლებზე ვიგრძე-



ნი დაბეჭდილი სტრიქონების ეშვი – წერდა ლადო ამ გაზეთის 1936 წლის 5 მაისის ნომერში... 1936 წლის ზაფხულში ლადო რამდენიმე ხნით თავის საყვარელ ბარდნალში წავიდა. ხშირ-ხშირად აგზავნიდა ლექსებსა და ბარათებს (ძალიან უყვარდა წერილების ლექსად მონერა). პარმენი არაერთხელ მოხვედრილა ამ სალალო ლექსებში. ერთი ასეთი წერილი გამოგზავნილია 1936 წლის 23 ივლისს („ნიკა აგიაშვილს, ქ. ქუთაისი, გაზეთ „სტალინელის“ რედაქცია“), სადაც მისთვის ჩვეული იუმორითაა შეზავებული სტრიქონები (გრძელი ლექსია და მის მცირე ამონარდს გთავაზობთ – მ. შ.):

„...სალამი და გამარჯობა ქუთაისის ქუჩის პალმებს. სალამი და გამარჯობა: გოგის, პეტრეს, პლატონს, პარმენს, და პოეტებს ქუთაისის – „ჩაპაის“ და „ჩაის“ რითმით, მელანდებ, მაქ ერთ-ერთი დამჯდარა და რითმებს ითვლის. პარმენს სთხოვე, მაპატიოს, რომ იმ მწკრივში ბოლოს მოხვდა.

ეს, ძვირფასო მეგობარო, რითმისათვის მარცხად მოხდა...“

(აქ მოხსენიებული არიან გაზეთ „სტალინელის“ მამინდელი მუშაკები: გიორგი ჯიბლაძე, პეტრე ბახტურიძე, პლატონ გულუა, პარმენ შელეგია... – ნ. აგიაშვილის შენიშვნა). აი, ამ კეთილშობილი ადამიანის ნახვა მინდოდა, რომ პარმენის შესახებ მეტი

თაობის პეაჟიანი

ნიკა აგიაშვილის ბახსენება

გამეგო და, 1977 წლის 31 მარტს, რუსთაველის პროსპექტზე, გამომცემლობა „მერანში“ მივედი, (მაშინ იქ მუშაობდა). ოთახში რამდენიმე კაცი დამხვდა, მორიდებით გავცანი ბატონ ნიკას – ესა და ეს კაცი ვარ-მეთქი. არასოდეს დამავიწყდება მისი გულწრფელი, გახარებული შეხვედრა, როდესაც ჩემი გვარი გაიგო, იქ მყოფებს მიუბრუნდა, ეს ახალგაზრდა, დიდებული კაცის, კარგი ლიტერატორის, ქუთაისის გაზეთის ყოფილი რედაქტორის პარმენ შელეგიას ძმისშვილიაო. ამ დროს, ჭაღარა კაცი მომიხლოვდა, ხელი ჩამომართვა (ვიცანი, მურმან ლებანიძე იყო) და მკითხა: „თუ ძმა ხარ, მითხარი, ეს წიგნი სად იშოვეო“. საქმე იმაში იყო, რომ ხელში მეჭირა მურმან ლებანიძის „რჩეული ლირიკა“. ის ახალი გამოცემული იყო. მოგესხენებათ, მაშინ კარგი წიგნის შოვნა ძნელი იყო. მე მას, ავლაბარში მივაგენი, „მერანში“ მისვლამდე, იქ მივედი, მეტროს სადგურ „ავლაბრის“ პირდაპირ წიგნის მაღაზია იყო და იქ შევიძინე. „ქალაქში ვერ ვიშოვეო“ – მითხრა და აუცილებლად მივალაო. „ჰოდა! ახლა ამ კაცს – უთხრა ბატონმა ნიკამ მურმან ლებანიძეს: წიგნზე შენი ავტორაფი დაუტოვეო“. რა თქმა უნდა, ავტორმა წიგნი წარწერით დაამორჩა. ნიკა აგიაშვილმა წარწერას დახედა თუ არა, შეიცხადა: „მურმან! ეს რა გიქნიაო“, ყველანი შევჩქვიფდით – ეს კაცი შელეგიაა და შენ შენგელია დაგინერიაო, ახლა მე შევწუხდი: არაუშავს იყოს მეთქი, მაგრამ არ დამანებეს, თვითონ ბატონმა მურმანმა გადაასწორა. ასე შემერჩა იმ დღის სამახსოვროდ ავტორის მიერ გადაფხეკილ – შესწორებული წარწერა: „მამუკა შელეგიას პატივისცემით! მურმან ლებანიძე. 31 III 77.“ როგორც ითქვა, გამომცემლობა „მერანში“ ბატონ ნიკას ნახვა და გაცნობა მინდოდა, ბიძაჩემის ამბავი მინტერესებდა. მან ბევრი რამ მიაშპო, პარმენზე, მისი რედაქციაში მუშაობის შესახებ – ლიტერატურის მოყვარული და კარგი მცოდნე იყო, ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ დისპუტების მონაწილე. როგორც ქუთაისის

გაზეთის რედაქტორის მოადგილე და შემდეგ რედაქტორი ყველანაირად ხელს უწყობდა ლადო ასათიანს პირველი ლექსების გამოქვეყნებაში და ლადოც ხშირად ახსენებდა თავის პირად წერილებსა თუ სალალოდ შექმნილ თავის ლექსებში. ნიკა აგიაშვილმა ისიც მითხრა, თუ როგორ დააპატიმრეს პარმენი. ჩეკისტები იმ წლებში, როგორც წესი, ადამიანებს გამოთენის ხანს, ოჯახებში აპატიმრებდნენ. პარმენს კი სამსახურში მოაკითხესო, მასთან ოთახში ვიყავით რედაქციის თანამშრომლები ტყავის „ტუფურკიანები“ რომ შემოვიდნენ. ისინი რომ დაინახა, ერთი ოჰ! აღმოხდა ფერდაკარგულს, ისე გაიყვანეს, რომ სხვა ხმა არ გაუღია. ამის შემდეგ მასზე არაფერი გავიგე – ასე ბრძანა ბატონმა ნიკამ. დამშვიდობებისას, ვუთხარი „ოფიცერთა სახლში“ მივდივარ მეთქი (ასე უწოდებდნენ მაშინ რუსთაველზე ერთ-ერთ შენობას, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გაზეთები ინახებოდა (ერთი მასალის ნახვა მჭირდებოდა). მე ვიცნობ იმ არქივის ხელმძღვანელსო, კარგი, თქვენი სახელით მივალ მეთქი. არ დამანება, თვითონ წამყვა, მთელი გზა საუბრით გავიარეთ. სანამ ყველაფერი არ გავარკვიეთ, ჩემთან ერთად იყო. აღმოჩნდა, რომ გაზეთების ნაწილი, საბურთალოზე, წიგნის პალატაში გადაეტანათ და მის დირექტორთან, პოეტ ალექსანდრე გომიაშვილთან, წერილი გამატანა: „ეს ახალგაზრდა, ჩემი მეგობრის, პარმენ შელეგიას ძმისშვილია და ძმურად გთხოვ დაეხმარეთ“. ბოლოს, თავისი ტელეფონის ნომერი მომცა და მთხოვა შემეხმიათ ხოლმეო. რასაკვირველია, გამიხარდა და შევხვდი კიდევ. მეორედ, შევთანხმდით, სახლში უნდა ვწვეოდი, ჩემი ახალგაზრდა წიგნი უნდა მიმეტანა, მაგრამ დათქმულ დროს, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ვერ მოვახერხე. მოგვიანებით, მოსაბოდიშებლად რომ მივედი, უკვე სუსტად იყო, ბატონი ნიკას მეუღლემ მითხრა: „გელოდებოდა, წერილს კი გაიპარა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ ჩანავა და ახალხანს ჩაეძინაო.“ ამის შემდეგ არც მინახავს და ჩემს მახსოვრობაში ის დარჩა როგორც კაცთმოყვარე ადამიანი, თავისი თაობის პირუთენელი მემკვიდრე, რომელიც მოყვასისადმი დიდ სიბოძასა და სიყვარულს ასხივებდა.

მამუკა შელეგია

აქვთ, კითხვებითა და პასუხებით ურთიერთ განიმსჭვალება და სიტყვათა შეთამაშებით გრძნობა-განცდათა ველი ერთდება, ერთი სიტყვით, ავტორი და თანამოსაუბრე ერთ ბედქვემ გინიანენ და ხარობენ კიდევ. ასეთ მონაცვლეობით ამპლუაში ისინი წარმოჩინდებიან სამართლიანობის დამცველებად და მატარებლებად.

ეპოქა, ეს ურთულესი ფენომენი მწერლისაგან მოითხოვს გამსჭვალავ ხედვას, სხარტად მოაზროვნე გონებას, კრიტიკულ განსჯას, ცვლილებათა აღქმის სწრაფ უნარს, დროსთან მხატვრული დამოკიდებულების განჭვრეტას, შემოქმედის ენის შესაბამის ფარდობითობას ეპოქასთან.

გიორგი გოგოლაშვილის ბოლოდროინდელი გატაცება მწერალთა ენის არა მხოლოდ ეპოქალური სიცოცხლისუნარიანობის იდუმალებათა ჩხრეკაა, არამედ თავად მწერალთა შემეცნებითი აქტივობები საზოგადოებრივი ცხოვრების იმ საჭირობოტო საკითხების მიმართ. ბატონ გიორგის ანტიტერესებს, რა აკავშირებს ერთმანეთთან მწერალ საზოგადოების წევრს და მწერალ შემოქმედს, ეს ნამდვილად არის ყურადღებები თემა არა მხოლოდ ლიტერატორთათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც. ხშირად ავტორი და წიგნი გაუბრბან ერთმანეთს, მაგრამ, საბედნიეროდ, გვეყვება და გვეყვან ისეთნი, რომელთა შემოქმედებაც ავტორთა თანხმობაში შემოქმედებას მკითხველსაც ითრევენ და, ამავ დროს, პირნათლად იხდიან ვალს ერისა და ეპოქის წინაშე. მათი გამოვლენა და დაფასება ეპოქალური ვალია და გიორგი გოგოლაშვილის ასეთი აქტივობაც ამ რიგის საქმეა.

გულნაზ გვალია

გიორგი გოგოლაშვილი ცნობილი სახე გახლავთ ლიტერატურულ წრეებში. მან თითქმის მთელი თავისი ცხოვრება იღვანა მეცნიერულ ველზე და მრავლად დააგროვა ისეთი ნაშრომები, რომლებიც აქტუალური თანამედროვე ლიტერატურული მეცნიერების განვითარებისთვის.



გიორგი გოგოლაშვილის ორმოცზე მეტ წიგნში ოთხასზე მეტი სამეცნიერო პუბლიცისტურ-მეცნიერული ნაშრომია წარმოდგენილი. ამ ბოლო წლებში, როცა მას შეუძლია თავს უფლება მისცეს დაისვენოს, გასაცურად აქტიურობს და ფეხდაფეხ მისდევს. „ქართველ მწერალთა ჯადოსნურ ენობრივ სივრცეში მუდმივმა ხეტიალმა

შემოქმენივა წიგნების სერია – „ენა და მწერალი“ ორი მთავარი კითხვა იდგა ჩემ წინაშე, – რა არის მწერალი ენისათვის და ენა მწერლისათვის? – რას აძლევს ენა მწერალს და მწერალი ენას?“ – დიას, გიორგი გოგოლაშვილის „ხეტიალმა“ ლიტერატურაში კიდევ ცხრა წიგნი აჩუქა მკითხველ საზო-

აღმოაჩენთ ენასა და მწერალს გიორგი გოგოლაშვილის ნაშრომების მიხედვით.

შემოქმედებითი უნარების მუდმივი გასხივოსნება რომ გენვიოს, უნდა გქონდეს შემოქმედებითი დამოკიდებულება ყოველ წუთ-წამთან, რათა მისით აღფრთოვანება შთაგონების წყაროდ გექცეს. ამაზე ბატონი

დრო და მოვალეობა

გიორგი გოგოლაშვილი - 75

გაღობას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი: „რა ფერისაა სიტყვა“ და „ენა – უღმრთელი მსაჯული.“ ბრძენკაცის ნათქვამია, წიგნი სათაურით შეიცნობაო. ეს დასათაურებანი თავისთავად გამოხატავენ ქართული სიტყვის მრავალმნიშვნელობის მხატვრულ-ესთეტიკურ ბუნებრიობასაც და ბუნებრიობიდან – მეცნიერულ განვჭვრეტასაც. უმთავრესი, გიორგი გოგოლაშვილის შემოქმედებაში, ავტორის მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნების ბუნებრივი სინთეზია ენასთან. სამეტყველო და სამწერლო-სამეცნიერო ენათა ეპოქალური დანაკარგები თუ შენაძინები თავად ენის არსშია და ამიტომაც არ უჭირს ჩვენს ენას დროის მოთხოვნებთან გამკლავება, ამიტომაც ის ადვილი სამართავია მწერლისა თუ მთარგმნელისათვის. ყოველი მწერალი დამოუკიდებელი ინდივიდია, ამასთანავე, მომხმარებელიცაა და გარდამქმნელიც, უფრო სწორად, მწერალი შემრიგებელია ენისა დროსა და სივრცესთან. ერთი მხრივ, ახალ-ახალი დანიშნულებანი ამოიყვარება ენის მნიშვნელობათა ნაირფერობის ფესვიდან და მწერლის დახმარებით მთელ სამყაროს ამეტყველებს. ასეთ პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში

გიორგის ახალ ახალი წიგნები მეტყველებს. „ენა და მწერლის“ სერიულ გამოცემაზე ეს წიგნები მეტად საცნაურს ყოფდა ეპოქის გავლენას მწერლის შემოქმედებაზე. ნამდვილად დასაფასებელია, რომ წიგნისგან გაქცევის ეპოქაში, ავტორმა მოინდომა ეკვლია და ეწერა იმათზე, ვინც დღეს ემსახურებიან ქართულ სიტყვას, ქართულ ლიტერატურას.

ეს იდეა დროში გამართლებულია, ასე ვიტყვოდი, წარმატებული სვლაა.

სერიით „ენა უღმრთელი მსაჯული“ საყურადღებო წიგნში გიორგი გოგოლაშვილმა რადენიმე თანამედროვე მწერლის წარდგენა შეძლო მკითხველისათვის – მთარგმნელი პაატა ჩხეიძე, პროზაიკოსი თამაზ ხმალაძე, კრიტიკოსი ლევან ბრეგვაძე. შემდგომად ამისა, ავტორმა ახალ სერიაში „ეპოქა და მწერალი“, წარმოგიდგინა საუბრები, პოეტ, პროზაიკოსსა და ესეისტ დავით შემოქმედელთან. შედეგმაც არ დააყოვნა. კითხვა-პასუხის დიკუსიში ვერ ამოიცნობთ კორექსონდენტსა და რესპოდენტს. კითხვის დამსმელიცაა და მოპასუხეც ერთი ქვეყნის შვილები არიან, ერთი ჭირითა და ლხინით და ის, რომ სალხინო ცოტა

ცნობილი მეცნიერი და პუბლიცისტი, ჩვენი გაზეთის სტაჟიანი ავტორი და ქომაგი თეიმურაზ ფანჯიკიძე 85 წლისაა. ვულოცავთ ბატონ თეიმურაზს იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.

თეიმურაზ ფანჯიკიძე

**მდინარესთან
ლაგვნილობა**

შემოდგომაა, ოქტომბრის თვის მეორე ნახევარი. რაჭაში ირგვლივ ნაირნაირი, საოცრად ლამაზი ფერებია. ხშირი ფოთოლცვენა ჯერ არ დაწყებულია, თუმცა უკვე საკმაოდ ცივია, განსაკუთრებით ღამობით.

ორ დღეში ქალაქში ვაპირებ დაბრუნებას და ჩემს პატარა მდინარესთან მოვედი გამოსამშვიდობებლად. გვიან, სიცხვეში მოვედი, იმ დროს, როდესაც აქ არავინ აღარ არის, თორემ ზაფხულობით, როცა ძალიან ცხელია, ჩამოსაჯდომ ადგილსაც ვერ იძოვი.

მდინარის ნაპირზე (ამ ადგილის სასლექი ჰქვია) რამდენიმე წლის წინ ჩადგმული თა-



ნამედროვე ბუნგალო დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში, სტუმრებსა თუ მასპინძლებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მაგრამ მე, მართალი გითხრათ, ადრინდელი, ველური, მოუვლელი და თავისებოდა მდინარე მერჩია, რომელიც მანამდე იყო, ხშირად კალაპოტს რომ იცვლიდა და ჩემთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

ახლაც ვერ ვუღალატე ჩემს ძველ მეგობარს. ისევ მოვეახლე, ისევ მოვინახულე, ისევ მოვეფერე, გუნება-განწყობა გამოვიკითხე. აშკარად დალოლი ჩანდა, ზაფხულის სიცხის, ხმამაღალი უცხოური მუსიკისა და ხმაურისაგან თავმოებურებული ისვენებდა. თავისთვის ჩუმად, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ მოედინებოდა.

პეშეთი წყალი ამოვიღე და სახეზე შევისხი, ძალიან მემამა, გამომაცოცხლა. ძველი სურნელი ვიგრძენი, რამაც ადრინდელ მოგონებებთან მიმართა. ჯერ რიყეს გაგზავდე, თეორი რიყეს (მსგავსი ფერი ძალზე იშვიათად მინახავს), მერე კი მთას ავხედე, რომლის ძირშიც მოედინება მდინარე და კლდეებზე ამოსულ, შემოდგომისაგან ნაირფერად შეფერილ მცენარეებსაც შევავლე თვალი.

კარგა ხანს ვიდექი ასე ჩაფიქრებული და გარინდებული. მერე მოხერხებული ქვა მოვხაზე და იმ ადგილას ჩამოვჯექი, სადაც ორი პატარა მდინარე ერთმანეთს ერთვის, ერთმანეთს ეხუტება და ერთ მდინარედ ქცეული განაგრძობს გზას უფრო დიდი მდინარისაკენ.

მიჭირს ჩემს მდინარესთან განშორება. ადრეც ყოველთვის მიჭირდა, მაგრამ ვიცი, რომ უკვე წასვლის დროა. მელოდებიან. ამიტომ თავს ძალას ვატან, ვდგები, ძალას ვიკრებ და მდინარეს გამოსამშვიდობებელ მადლობის სიტყვებს ჩურჩულით ვუვებები: „მადლობა შენ, პატარა მდინარე ყველაფრისათვის: უჩვეულო ბავშვობისათვის, მეგობრობისათვის, თევზის შემოთავაზებისათვის, ზაფხულობით ცხელ ქვიშაში წლის შემდეგ გაგრილებისათვის. კიდევ ბევრი, ბევრი რამისათვის. უშენოდ ალბათ აქაუ-

წარსულის უჩვეულობა

რობას და საერთოდ არაფერს, მადლი არ ექნებოდა, ან ასე ლამაზი და დაუვიწყარი არ იქნებოდა.

მადლობა, მადლობა ყველაფრისათვის.

ვიცი, რომ შენ ჩემს შემდეგაც მარად იქნები, ისევ შენებურად, დინჯად იდინებ. ბევრი ჩემნაირი ადამიანიც მოვა და შენს ცივ, პატარა ტალღებში გაიგრილებს ცხელ სხეულს. შენ ხომ უარს არავის და ვერავის ეტყვი. მათაც, ახალმოსულებსაც, ცხადია, ეყვარები, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ყველაზე მეტად მე მიყვარდი, მე გეტროფდი და მჯერა, რომ უშენოდ ჩემი ბავშვობა სრულიადაც არ იქნებოდა ისეთი, როგორც იყო...

ახლა სოლიდურ ასაკში ვარ, არ ვიცი კიდევ მოვხერხებ თუ არა აქ ჩამოსვლას, შენს მონახულებას და შენი მაცოცხლებელი წყლის შესხურებას, მაგრამ რაც იყო, კარგი, დიდებული და დაუვიწყარი იყო ჩემთვის... ნახვამდის? არა, უფრო მშვიდობით. ორ დღეში ქალაქში ვბრუნდები, იქაც არის მდინარე, შენზე ბევრად უფრო დიდი, გრძელი

და ნყალუხვი, მაგრამ მე ის არ მომწონს, არ მიყვარს და არც არასდროს მოვფერებვარ.

შენ ერთადერთი, ჩემი განუმეორებელი სიყვარული ხარ, ბავშვობასავით ტკბილი და დაუვიწყარი...

მშვიდობით კრისხულა!

ამის ცრემლი

ადრეც არაერთხელ მითქვამს და დამინერია, რომ მამაჩემს, ვანო ფანჯიკიძეს, მშვენიერ ისტორიკოსს და ბრწყინვალე მასწავლებელს, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს, რომელსაც მოწაფეები აღმერთებდნენ, ფრინველები გამოჩენილი უყვარდა. დავაზუსტებ – მგალობელი ფრინველები. უყვარდა ისინი ადრეც, ახალგაზრდობაში, ომში წასვლამდე, მაგრამ განსაკუთრებით ფრონტზე ყოფნის, იმ აუნერელი გრუზუნის, ვაი-უბედურების გადატანის შემდგომ. მათში ის საოცარ სიმშვიდეს, სიწყნარეს და სულიერ კმაყოფილებას პოულობდა. შეეძლო მათი გალობისათვის აღტაცებით საათობით ესმინა. არ ჰქონდა მნიშვნელობა ბუნებაში იქნებოდა ეს თუ დახურულ შენობაში. ხშირად კი, უფრო ზამთრობით, ის ფირფიტებსაც ჩართავდა ხოლმე, სადაც მგალობელთა ყველანაირი ხმა და გალობა იყო ჩანერილი. მამას მგალობელ ფრინველებზე წიგნიც აქვს დანერილი და გამოქვეყნებული...

როცა შუა ხნის შეიქმნა და შვილები უკვე დიდი ჰყავდა, გადაწყვიტა თავისი ეს სიყვარული, გატაცება თუ ჰობი (როგორც ახლა ხშირად უწოდებენ), უფრო ახლოს მიეტანა გულთან და მისი ცხოვრებაში რეალიზება მოეხდინა.

ამის შემდეგ, თანდათან, გამოჩნდა ჩვენს ბინაში, თბილისში, სხვადასხვა მგალობელი ჩიტები : იადონები, შაშვები, შავთავა („ჩერნოგალოვკა“) მგალობლები, ნიბლიები, თუთიყუშები, მწყერი. ერთხანს ბულბულიც მოიყვანა, მაგრამ გალიაში არ იგალობა, ძალიან მოიწყინა, მამას შეეცოდა და ამავე მდგომარეობაში მყოფ შაშვთან ერთად გაუშვა.

საკმაოდ პატარა ბინა გვექონდა. ამდენი გალია დიდ დისკომფორტს ქმნიდა, მაგრამ მამის ხათრით ამას არ ვიმჩნევდით. უნდა გენახათ, როგორი რუდუნებით უვლიდა მგალობელ ჩიტებს, როგორ ასუფთავებდა მათ გალიებს, ყოველდღიურად როგორ უცვლიდა წყალს, როგორ უმზადებდა საკვებს, როგორი მონდომებით უკეპავდა ნაირნაირ საჭმელს, კვერცხის გულს, უყრიდა საკენკს. თუ მისი ჩიტები (იადონები) კვერცხებს დადებდნენ და ბარტყებს გამოჩეკავდნენ, მამას სიხარულს და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, დიდი სიამაყით აჩვენებდა თავის ბარტყებს მეგობრებს.

დროდადრო, მამა ფრინველებს ბაზარშიც დადიოდა, დილომში რომ იყო, სადაც ის ხვდებოდა მგალობელთა სხვა მოყვარულებს. იქ ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ თავთავის გამოცდილებას, გალობისაგან განცდილ ემოციებს და შთაბეჭდილებებს, ყიდულობდნენ ახალ ჩიტებს, ერთმანეთს უცვლიდნენ მონონებულ მგალობლებს, იძენდნენ საკვებს თავიანთი ჩიტებისათვის.

ეს ამბები წლები გრძელდებოდა. ჩვენ, შვილები, ვცდილობდით მხარი აგვება, პატივი გვეცა მამისათვის, გაგვეთვალისწინებინა და გაგვეზიარებინა მისი ასეთი დიდი სიყვარული, დახმარება გაგვეწია მისი სურვილების ასრულებაში. სხვაგან ყოფნისას კი ვცდილობდით მამისათვის რჩეული მგალობლები მოგვეძია, შეგვეძინა და იქიდან გამოგვეგზავნა (ასე გამოვაგზავნე მატარებლით მოსკოვიდან თბილისში, ტაგანკის ფრინველთა ბაზარში ნაყიდი მალაი დონის რამდენიმე იადონი, რომელნიც საუცხოოდ გალობდნენ, რამდენიმე მუხლს ახვევდნენ და დიდებული მოსასმენი იყვნენ).

გადიოდა წლები, მამას ეს სიყვარული ფრინველებისადმი არ ცხრებოდა და არ ნელდებოდა, მაგრამ დროს თავისი გაჰქონდა და ის ჩვეული გულმოდგინებით უკვე ვეღარ უვლიდა თავის საყვარელ ჩიტებს, დროზე ვეღარ ამარაგებდა საკვებით, ვეღარ ასუფთავებდა მათ დაბინძურებულ გალიებს. სახლში ცუდი სუნი იდგა. ამის გამო ის იძულებული გახდა ჯერ ერთი მგალობელი დაეთმო, მერე მეორე, მესამე, მხოლოდ ერთი დაიტოვა. მაგრამ როცა მისი მოვლა-პატრონობაც გაუჭირდა იძულებული გახდა ისიც დაეთმო.

ბინაში დარჩა მრავალი, დიდი თუ პატარა უფუქციო გალია, რომელიც ყველა კუთხეში ეკიდა და როგორც ვთქვი, საკმაოდ დისკომფორტს ქმნიდა. ამ ამბით შეწუხებულმა და გაბეზრებულმა ნება ვითხოვე, ჩამომეხსნა ეს გალიები და ერთ ადგილას, სადმე, თუნდაც სარდაფში შემენახა, რაზედაც თანხმობა მივიღე.

გახარებული საქმეც დაუყოვნებლივ შევუდექი. ჩამოვხსენი ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე გალია, მაგრამ ამ საქმეში გართულმა მამას რომ გავხედე გაგხვედი. მისმა დანაღვლიანებულმა სახემ, უცნაურმა გამოხედვამ და თვალზე მომდგარმა ცრემლმა შემაკრთო, გამაქვავა და გამაჩერა. ღმერთო, რაღა არ იყო ამ მრავალსმეტყველ გამოხედვაში : წყენა, სევდა, ტკივილი, საყვედური, ნოსტალგია, დარდი ნასულ, უკვე გარდასულ დღეებზე, მოგონებები, უსაზღვრო წუხილი იმაზე, რომ ყველაფერი რაც მას მოსწონდა, რაც უყვარდა, რითაც სულს ითქვამდა და არსებობდა დამთავრდა, მორჩა და მეტი აღარ იქნებოდა.

ალბათ კიდევ ბევრი რამ იყო ისეთი, რაც მე მაშინ ვერ აღვიქვი, ვერ გავიგე და საათანადოდ ვერ შევფასე. მერე დედისკენაც გავიხედე და მის მოღრუბლულ სახეს ნავანყი. მის გამომეტყველებასაც აშკარად უკმაყოფილობის, წყენის და აშკარად გაკიცხვის ბეჭედი ესვა. თავში დამკრა. ერთბაშად გამოფხიზლდი, გონს მოვეგე და მივხვდი, თუ როგორ უაზროდ, დაუფიქრებლად ვიქცეოდი, როგორ მწარედ ვატკინე მშობლებს გული. მხოლოდ მაშინ აღვიქვი ჩემს უტაქტობა, უპატივცემულობა და სიბრძოვე. ეს რა ჩავიდინეთ-მეთქი, ვთქვი და თავში ხელი სინანულით წამოვიკრტიე.

გალიების მოხსნა უმალ შევაჩერე, ჩამოხსნილი უკან დავეკიდე, მშობლებს მოვეუბოდიშე. მეორე დღეს კი ბაზარში წავედი, საკმაოდ ძვირადღირებული, კარგად მოგა-

ლოზე იადონი ვიყიდე და სახლში მოვიყვანე. მამას არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი ბრწყინებული, კმაყოფილი სახე ყველაფრის მთქმელი იყო. იადონის მოვლა-პატრონობა მთლიანად ჩემს თავზე ავიღე.

ამ ამბის შემდეგ მშობლებმა კიდევ რამდენიმე წელი იცოცხლეს და სიცოცხლის ბოლომდე უსმენდნენ იადონის მომჯადოებელ გალობას...

P.S. ჩემი მშობლები მუხათვერდში არიან დასაფლავებული. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ხშირად ავდივარ იქ და დიდხანს ვზივარ. სანთლები ამაქვს და თუ ქარი არ არის, ვანთებ. ამ დროს აუცილებლად მარტო უნდა ვიყო, რომ ხელი არავინ შემეშალოს.

ხშირად ყოფილა, რომ გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში, ზუსტად მამის საფლავთან მოფრენილა შავი შაშვი, რომელიც თავდავინცებით იწყებდა გალობას.

ამ დროს, იქვე, შორიხლოს, ჩამოვჯდები ხოლმე, რომ ხელი არ შევეშალო, არ დავაფრთხო...

მადლობა შაშვს, მის მადლიან გალობას, მშობლების სიყვარულის განცდა- გამოხატვაში რომ დამეხმარა, ხელმეორედ, უკვე მერამდენეჯერ მაგრძობინა და განმაცდევინა წარსულის სითბო!..

ვაგზალი

ვაგზალი, ისეთი ადგილია, საიდანაც ადამიანები ამა თუ იმ მიმართულებით მიემგზავრებიან, ან სხვადასხვა მხრიდან ჩამოდიან.

ვაგზალი ნებისმიერ ქვეყანაში თუ ქალაქში ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელი დანესტრუქტურაა. ამიტომაც მისი შენობა სხვებთან შედარებით ტრადიციულად გამორჩეული, ფიზიკურად დიდი, არქიტექტურულად ლამაზი და გამართულია. ზოგან კი სულაც ისტორიულ ღირსშესანიშნაობასაც წარმოადგენს...

მოგზაურობა ყოველთვის ძალიან მიყვარდა, ამიტომ ვაგზლებს ჩემს ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ეკავათ და უკავიათ. ძალზე მომწონდა ბაქანზე მატარებლის შემოსვლის ცქერა, მონატრებული ადამიანების დახვედრები, გაღიმებული სახეები, გადახვევები, ჩახუტებები, კოცნები, ჩამოსულთათვის მირთმეული ყვავილები და ბუკეტები; ამასთან, ბარგი: ზღვა ჩემოდნები, ყუთები, ხელჩანთები, მათი გადამტანი მუშები „ნასილშიკები“ (პორტერები), ურიკებით და სარეკლამო ხმამაღალი შედახილ- გადაძახილებით, ტაქსის მძღოლები, რომლებიც თავის მანქანებს და მომსახურებას სთავაზობენ კლიენტებს...

ძალზე მიყვარდა ამ ამაღლებული პროცესის ყურება და თან ყოველთვის, როგორცაც მეცოდებოდა ერთბაშად დაცლილი, დაცარიელებული და დაობლებული მატარებელი, რომელიც სულ ცოტა ხნის პირთამდე იყო სავსე და ხმაურობდა.

არანაკლებ მსიბლავდა ბაქანზე მგზავრების წასაყვანად ჩამომდგარი ცარიელი მატარებლები, ვაგონების კარებებში ჩამდგარი გამცილებლებით.

ვაგზალი ჩემზე პატარაობისა და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იქ განსაკუთრებულად ვგრძობდი თავს. რომ გავიხარდე ამ განუმეორებულ გრძობას შეეზიარა და ერთგვარად დაჩაგრა კიდევაც აეროპორტების განცდამ, რომლებიდანაც ფრენა ხშირად მიხდებოდა, მაგრამ ვაგზლის იდუმალება, ისევე როგორც მატარებლების პირვანდელი ხიბლი და ინტერესი დღემდე თანმსდევს, ძველებურად მალეღვებს და მათგან იწყებს.

ვაგზალი, მისი განწყობა და აურა ძალიან მომწონს, მაგრამ ამავე დროს მათგან მიხდებოდა დიდ მოსაცდელ დარბაზს მაგონებს, საიდანაც, ერთხელაც იქნება, გაიგონებ სადგურის რაიოს დიქტორის გამოცხადებას: „პირველი ბაქანიდან 5 წუთში გავა მატარებელი“, რომელიც უკან, სამწუხაროდ, უკვე უშენოდ დაბრუნდება...

ვაგზლის მოსაცდელში კი კვლავაც მრავლად იქნებიან სხვა, ძველებურად მოფუფუსე, მოხმაურე ადამიანები, ათასი წვრილმანი მიზეზით შეწუხებულნი, შემფოთებულნი და დაკავებულნი, რომლებიც ამგვარ დასასრულზე სრულიადაც არ ფიქრობენ!..

ცნობილი ადამიანები სტილს სულ სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ხოლო, რაც შეეხება პირადად ჩვენს აზრს, იმ სხვადასხვანაირი განმარტებებიდან, უყურებინოდ ვემხრობი **ჯონათან სეიფტს**: „სტილი – ესაა საჭირო სიტყვა საჭირო ადგილას“.

თავისთავად ცხადია, რომ, თუკი საჭირო სიტყვას საჭირო ადგილას გამოვიყენებთ, ფრაზა მოკლე, კომპაქტური და ლაკონური გამოვა. მოკლე ფრაზის დიდოსტატები იყვნენ და არიან: ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, აკაკი ვანერელია, გერონტი ქიქოძე, გურამ ასათიანი, რეზო კვეციანი, მაკა ჯობაძე, მურმან ჯგუფურია...

გასაგებია, რომ ეფექტი მიიღწევა ძნელად მოსახელთებელი მოკლე ფრაზის წყალობით. ამიტომაც იყო, თბილისში ფეხადგმულ, გამორჩენილ რუს პროზაიკოსს, ალექსეი პუშკოვს (მაქსიმ გორკის) „თეთრი შურით“ შურდა მიხეილ ზომენცოვი: „თქვენ თქვენი მოკლე ფრაზით მოახერხებთ და შექმენით საკუთარი, ზომიერების ენა“.

რისთვის დამჭირდა ეს ამოდენა შესავალი? ეტყობა, ნამდვილად ძნელია „მოკლედ თქმა“! არა მაქვს იმის პრეტენზია, თითქოს ყველაფერს ვკითხულობდე, რაც „ორივე მხარეს“, „იქით და აქეთ“ (ამასაც მოვესწარი!) ქვეყნდება, მაგრამ, მეც თუ ვინმესი უნდა მშურდეს, უპირველესად, ბატონი იოსებ ჭუმბურიძის!

როდესაც, ამ სამიოდ ნლის წინათ, იგი კულტურის მინისტრის, ქალბატონი **თეა წულუკიანის** მრჩევლად დანიშნეს, ერთი ნიკო და ვი-უშველებელი ატყებეს „იქითა მხარეს“: ვინაა, რა დაუწერია, რა შეუქმნიაო?

არადა, თუ ქვეყნად სამართალია, საკითხავი სწორედ ისინი გახლავან!

რაოდენ სანუხარია, რომ პოლიტიკური ასპარეზი ევიწროება და ახლა კულტურის სფეროშიც ცდილობენ წყლის ამღვრევას! მაინც რა არ მოსწონთ, რა ვერ აუტანიათ ბ-ნი იოსების, მოდური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ბექგრაუნდში: სოციალური წარმომავლობა? – კოლმეურნის ოჯახი; განათლება? – სწავლული ფილოლოგი (დოქტორი); სამსახურობრივი „კიბე“ – გაზეთ „თბილისის“ ნახევარმეტრიანი კორესპონდენტობიდან მთავარ რედაქტორამდე; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირებისა და თეატრალური საზოგადოების წევრი; 2020 წლიდან – კულტურის მინისტრის მრჩეველი; ოჯახური მდგომარეობა? – ტრადიციული ქართული (მონოგამების ერთობა)!

ამ „მონოგამებზე“ გამაზუნდა და, როგორც ესეის სწევია, უნდა გადავფიქროვო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 23 ოქტომბრის ნომერში წავიკითხე ბატონი **ბიძინა დვალის** საინტერესო წერილი – „კოჭლი იხვი და პატარა კაცები“: „ტვ-პირველის“ წამყვანი ესაუბრება თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ბ-ნი დავით თევზაძეს: „ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილი „კოჭლი იხვად“ მოიხსენია და თქვენ რას იტყვიან? – ნუ, უზრდელი ყოფილაო!

კიდევ კარგი, წამყვანმა არ შეახსენა, ამ შემთხვევაში, კობახიძემ იდიომატური გამოთქმა გამოიყენა – რაზეც, შესაძლოა, სტუმარს ეთქვა: ნუ, იბიომატური, დედის გინებააო!

ერთი სიტყვით, მოკლე ფრაზის დიდოსტატები კი არა, ოსტატებიც იშვიათად არიან. რაც მთავარია, ამ სტილს მიბაძვა არ უხერხდება. თუ მაინც ვინმე სცდის, უეჭველი პაროდია გამოუვა, თანაც – უმნიშვნური, რადგანაც, როგორც ენაკვიმატი ბერნარდ შოუ ბრძანებს: „სტილი, როგორც ცხვირი, ორი ერთნაირი არ არსებობს“.

ვინც იოსებ ჭუმბურიძის ესეების კრებულს – „დაბმული უკვდავება“ – **მკითხველის** გულისყურით გაეცნობა, უდავოდ ირწმუნებს, რომ მისი ავტორი იმ მცირერიცხოვან მწერალთა რიგს ემატება, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ.

მერე უკან დაბრუნებას, მივობს, ახლავე გავაკეთო პირველი ჩანართი: დიას – ესეი, რადგან ერთადერთი მართებული ფორმაა „ესეი“ და არა – „ესე“, ან, მით უმეტეს, – „ესეი“! აქედან – „ესეისტი“ და არა „ესესტი“ და, მით უმეტეს, – „ესესესტი“! (ესე, ტომი VI, გვ. 212).

ნამდვილად ძნელია მოკლედ და ლაკონურად წერა; ცხოვრებული მუხრანი რომ მოვიშველიო, „ბევრი მგოსანი გამხდარიყო ამ საქმის წერა“! ბატონი იოსების 2020 წელს გამოცემული წიგნი „**დაბმული უკვდავება**“ 33 გამორჩეული ესეისგან შედგება. დამეუბნებნები, „33“ ერთობ საკრალური რიცხვია და ავტორს, ეტყობა, ესეც გაუთვალისწინებია. თორემ, რამდენიმე, ასევე გამორჩეული წერილი, ვთქვათ, პოეტ

ვანო ჩხიკავაძის შემოქმედებაზე „ძირითად შემაღვებლობაში“ ვერ მოხვედრილა.

კრებული იხსნება ილია მართალის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი, ფორმითაც და შინაარსითაც მეტად ორიგინალური ესეით – „ილია, ანუ დიდი ანალოგოსი“ („ანალოგოსს“ ამაოდ დაუნყებთ ლექსიკონებში ძებნას, – კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით: „მე როგორც ვწერ, ისაა ლიტერატურული“).

მოცულობით, ეს ერთობ პოეტური ტექსტი, ჯადოსნურად იტყვის მთლიან ილია ჭავჭავაძეს.

მონოგამები ერთხელ სწავიან!

ორიოდ შტრიხი იოსებ ჭუმბურიძის პორტრეტისათვის

„მოსემ, ორმოცწლიანი მოგზაურობის შემდეგ, უფლის რჩეული ერთი ქანაანის (დღევანდელი „ლაზას“ – გ. ზ.) მთასთან მიიყვანა, თვითონ შორიდან გახედა ალთქმულ ქვეყანას“ და 120 წლისა მიიცვალა.

70 წლის ილია მართალი კი ორმოცდასამწლიანი დაუღალავი მოღვაწეობის შემდეგ, წინამართან იმიტომ მოკლეს, ღვთისმშობლის ნილხვედრი ერთი, მისივე წინამძღვრობით გათავისუფლებული რომ ენახა!

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“, – **იტყვის** ვაჟა.

გალაკტიონი კი **დაწერს**: „არ ამაოდ მოუშვირა ტყვისა ჭავჭავაძემ განიერი მკერდი“!

დიას, მიუშვირა! იცოდა, რომ მოკლავდნენ.

წინათგრძნობაც კარნახობდა.

სხვებიც არ ურჩევდნენ იმ დღით საგურამოში წასვლას. არ დაიმალო!

დარწმუნებული ვარ, შესაძლებელი რომ გახდეს ამ ერთთაბიანი ჩინებული ესეის საერთაშორისო ენებზე სრულყოფილად თარგმნა, მილიონობით უცხოელ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა ილია ჭავჭავაძეზე, როგორც ფენომენალურ ისტორიულ მოღვაწეზე. ახლა კი ის, რაც ცოტათი დამავლდა გულს. ხატი, რეჟული! – ავტორის სამუნათებლად არ ვამბობ.

ნათქვამია, მიუწყველს ნუ მაჩვენებო! ბატონი იოსები ძალიან გვანებებდნენ თავისი სხარტი, ლაკონური, ლამის, ყოვლისმომცველი თხრობით.

მკითხველსაც „მადა მოსდის“ და მეტის გაგების დაუოკებელი სურვილი უზრდებდა.

დიდი ილია მართალის უპირველესი თანამოაზრისა და გვერდში მდგომი თანამებრძოლის, აკაკი წერეთლის გამოსამშვიდობებელ სიტყვას, თითქოს, რაღაც დააკლდა და აი, ეს „რაღაც“-აც: „**თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ, იმასთან ერთად, შენც უკვდავი ხარ და თუ სასიკვდილოა, როგორც სხვებსა ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით, წინ უსწარი სიკვდილს და მკვლარს ვეღარა ნახავ. მშვიდობით ძმაო, საუკუნოდ იყოს სხენება შენი!**“

ვიდრე ბოლო წერტილს დავსვამდე და ახალ ესეიზე დავიწყებდე საუბარს, თუ ნამეტან უტაქტობად არ ჩამეთვლება, ერთ ჭორ-მართალს გავიხსენებ ჩემი სტუდენტობის წლებიდან.

ერთ დღესაც იყო, ცხოვრებული ივანე ქავთარაძე, დოქტორი, პროფესორი, რომელიც ქართულ ენას გვიკითხავდა, გვიყვებდა ილიას და აკაკის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ის პერიოდი იყო, როდესაც „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, ანბანის რეფორმასთან დაკავშირებით, ბრძოლა გაჩაღებული და კიდევაც ამოიღეს რამდენიმე ასობგრა.

ილია – „ჰაეც“ ამოვიღოთ, არაფრის მაქნისიაო.

როდესაც აკაკის ეს მოთხოვნა გაცენეს, ღიმილით უთქვამს: ახლა კი დავრწმუნდი, რომ ილიას ჭკუა ქონიაო!

ილიას კი, როცა აკაკის ეს კომენტარი მოუსმენია, ღიმილით უთქვამს: ო, რა მაკვილაკი ენა აქვს მაგ შეჩვენებულსა, მაგასაო! გაუშვი, დარჩეს, მოთხოვნა უკან წამიღიაო!

დიდებმა ყოველთვის უწყინა ერთმანეთის ფასი!

ბატონი იოსები ნამდვილად არ გახლავთ „შთამომავლობითი გენების“ მქონე, – არც ბაბუა ჰყოლია ლიტერატორი და არც – მამა.

მოგესხენებათ, ქართველებს ერთი ბრძული ანდაზა გვაქვს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატე!“ თანაც, ეს ისეთი შემთხვევა არაა, როდესაც შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება. რადგან, საკმარისია, მამა-შვილს თანმიმდევრობა შეუცვალოთ, რომ აბსოლუტურად განსხვავებულ ქვეტექსტს მივიღებთ:

„დედა ნახე, შვილი ნახე, მამა ისე გამოიხატე!“ განსხვავებული კია, მაგრამ დამაფიქრებელიც ნამდვილად (ჭირს ბიოლოგიური მამის მიგნება!).

სიტყვამ მოიტანა და, ქალბატონ ნინო თავშეაქცა და ბატონ იოსებს ჭუმბურიძედ მონოგამიური ოჯახი აქვთ. ისეთი, როგორც ჰქონდათ: ქალბატონ მარია და ბატონ სიმონ ჩიქოვანებს, ქალბატონ მედეა ჯავახიძეს და ბატონ რეზო თაბუკაშვილს, ქალბატონ ნათელა იანქოშვილსა და ბატონ ლადო ავალიანს, ქალბატონ ნინელი ჭანკვეტაძესა და ბატონ ზაზა მიქაშვიდეს... და

როგორც აქვთ უბერებელ ირმა სოხაძესა და ბატონ რეზო ასათიანს! და, რაოდენ სანუხარი და სავალალოა, რომ ასეთი მონოგამიური წყვილები თითზე ჩამოსათვლელი არიან!

ნინოს მშობლებისა და ჩემი დის ოჯახები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ასე რომ, როგორც იტყვიან, ნინო ჩემ თვალწინ გაიზარდა. იგი ბალბობიდანვე იქცეოდა ყურადღებას თავისი მორიდებულობით, სიმშვიდითა და სიბეჯითით.

სოსოც კარგა ხნის ნაცნობი იყო, როგორც გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი, მაგრამ არაფერი ვიცოდი მათ ურთიერთობაზე და, როდესაც დაქორწინდნენ, მივხვდი, რომ თბილისის ერთი მყარი, ფუძემდებელი ოჯახი შეემატა.

ბუნებრივია, ესეიზე მუშაობის დროს, ინტენსიურად მინვდა მათზე ფიქრი. ერთი დღეც იყო და თავისთავად აუღვენა ფიქრს გარითმული სტრიქონები „მამებსა“ და „შვილებს“ სტილში. **ნინო**: „ცოტას მითქმელი (არადა, დედა გურული ჰყავს, ქ-ნი ნორა!)... ცოტას მითქმელი, საქმის მქნელი, ზნეკეთილი, ჭკვანათელი, ნინოს ხელში სოსოს ეთქმის: შაშვი მიზის კამათელი!“

ლიტერატურაში მყოფადი დროის ზმნის გამოყენება ნამყო დროის მნიშვნელობით, უცხო ხილი როდია! ამის ნათელი მაგალითია შესანიშნავი ხალხური ბალადა არსენა ოძელაშვილზე. „ერთი სანყალი მანეთი არსენს ჯიბეში უღვესა, ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტებს და სირაჯებსა: – ამის ოტკა ჩამომისხით, მისვით მშიერ სალდათებსა!“

მაგრამ ზმნის ასეთი „შებრუნებული“ გამოყენება სიტყმად როდ გაუხდია ბალადის ავტორი, ანუ „სტილისტურ კოზირა“ არ დაუსაკუთრებია! იქვე, იმავე ბალადაში, ზმნაც თავის ადგილასა და დროც: „რომ შეიქნა თექვსმეტი წლის, უღვაშები დაიმშვენა, შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენა“.

ეს ისე, სხვათაშორის! კვლავ და კვლავ ვიტყვი, რომ ჭუმბურიძისული „მოკლე ფრაზა“ იმდენად მისმირია, იმდენად ორიგინალური, ანუ საკუთრივ „მის ქურაში მოჭრილი მონეტაა“, რომ ამდაგვარი რებუსული სტილისტიკური „კოზირი“ (გუმბის ის მოვა, შემნიშნა და მეტყვის) ზედმეტი ბარგია!

ასე რომ, მაინცდამაინც ნუ დავეფეთებთ ცნობილ რუსულ ანდაზაზე: „მასლო კაშუ ნე პორტიტ!“ „პორტიტ“ და გითქვამს?! ახა, ერთი, სინჯეთ და კარაქი ბრინჯზე მეტი უქენით, ნახავთ – რა დელიკატესსაც მიიღებთ!

დაგვეთანხმებით, იშვიათზე იშვიათია ისეთი ავტორი, რომელიც თანაბარი ინტელექტუალური დონით საუბრობდეს მწერლობაზეც, მუსიკაზეც, მხატვრობაზეც, არქიტექტურაზეც, კინოსა თუ თეატრზეც.

ბატონი იოსები სწორედ იმ იშვიათთაგანია. თანაც, გულგარეთ კი არ გვიყვება, ინფორმაციას კი არ გვანდის, ფერმწერივით გვისურათხატებს; მონაფის პოზიციამ კი არ გვაყენებს, დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც კარგად იცოდით, მე მხოლოდ შეგახსენეთო!

ერთი სიტყვით, „დაბმული უკვდავების“ რომელიც გნებავთ ესეის, ისე კი არ კითხულობთ, როგორც მონაფის სამინაო დავალებას ან სტუდენტის საკურსო თემას, არამედ, როგორც პრემიერულ ოპუსს, რომლის თანაავტორადაც გრძნობ თავს და თვალს ადევნებ, კორექტურა ხომ არ გაპარულიაო!

მთავარია, კითხვა დაინყო და მერე ისე შეუმჩვენვლად შემოგვიკითხება ხელში, კედლის საათისკენ ერთხელაც არ წაგცდება თვალი!

ხომ ლამის, საბავშვო ბაღიდან ვიცოდით: შთია, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი!

უამთასვლამ მოიტანა ახალი სახელები, რომელთაც წილად ზვდათ ამ რიგში ჩადგომს.

ავტორი შეფარით შეგვასხენებს მურმან ლეზინის სტრიქონს – „თავისთვის იდგა ჩრდილში, არას იტყოდა ანა“, (ჩემგან) მუხრანის – „აი სახლი, აი ეზო, აი ჩვენი კარმიდამო, მუხრან, ძროხა გადაბი, გენაცვალოს მამიდაო!“, და ისევე მურმანი – „ამ ცხოვრებამ – ბრძნულმან, რთულმან, ამ ბრძოლებმა – კრულმან, მტრულმან, ...ხომ არ დაიღალე, მურმან?!“

მე – ვინ! ისინი თავად განგებამ შეჰყარა ერთმანეთს.

ამ მეოცნასუენულ სამეულს, ანასეული თავმდაბლობით, თუმცაღა საკუთარი ღირსების ვერშეღვეითაც, ოცდამეერთეში გვერდით ამოუდგა საყვარელი მომღერალი ნანი ბრეგვაძე, ანუ ნანი, რომელიც „...ერთადერთია, ვინც შეძლო, ესტრადა კლასიკის დონეზე აუყვანა“ (ანზორ ერქომაიშვილი).

ფრაგმენტი წიგნიდან: „(ნანის) როცა აქებენ, თავს უხერხულად გრძნობს. განსაკუთრებით, თუ მისი კოლეგებიც იქ არიან. ზოგჯერ არ ვიცი, სად დავიმალოო.

– იცით, ანზორ ერქომაიშვილს, ამისგან დასაცავად, რა კარგი სენტიმენტი აქვს მოფიქრებული? – რაო?

– თუ გენიოსს გინოდებენ, ბედნიერებაა, თუ დაიჯერებ – უბედურება“.

– შესანიშნავია, დავიმახსოვრებ“.

ვეგრძნობ, ბატონი იოსები გვარიანად შეცხადებულია – მე რა შუაში ვარო?! მაგრამ, ვკანდნიერდები და მჯერა, არ იტყვის: „გასაზადინ სუღია, ვსიო გავარიტ, ვსიო, გავარიტ, ნო ნასჩოტ სვინი, ნიჩიო ნე გავარიტ“.

ჰოდა, იმას გეუბნებოდით: სხვათაშორის, ვიცნობ ერთ დამწყებ კლასიკოსს, რომელიც, როგორც კი მეტნაკლებად განათლებულ აუდიტორიაში მოხვდება, შანსს არ უშვებს, რათა ყველას გასაგონად, დამოკვლით არ გამოცხადოს: „მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“-ო!

ერთხელაც იყო, ამომივიდა ყელში და, მაინც მამაშვილურად დავარიგე: შვილო, სოკრატე ბრძენი იყო და მის გამონათქვამს ოვაციით შეხვდნენ, მაგრამ, შენ რომ აღიარებ, არაფერი ვიციო, შენ ქე დაგიოჯევენ-მეთქი!

– ჰოდა, მეც ეგ მინდა, თუ დამიჯერებენო! მაინც ტყემაზე დარჩა!

წელან მოგახსენეთ, რომ პატივცემული ავტორი, მშრალად კი არ გვიყვება, ფერმწერივით გვიხატავს თითოეულ ესეის-მეთქი.

აი, მცირე შტრიხი ჩვენი სახელოვანი არქიტექტორისა და პუბლიცისტის, ვახტანგ დავითაიასი (ფრაგმენტი წიგნიდან): „დღეს სხვა დროა. დასჯის ფორმები შეცვლილია. ხელოვანს, თქმისთვის, სიკვდილით აღარ სჯიან. აღარც იჭერენ. დიდი-დიდი, „ჩარეცხო“ ან უგულბებულნი, არ მოუსმინონ. ნამდვილი ხელოვანისთვის ესეც მძიმე სასჯელია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დღეშილი არ შეგვეძლოს!

ვახტანგ დავითაიას კი მართლაც „არასოდეს წყალობდა დღეშილის ღმერთი“ – არცერთ ეპოქაში, არცერთი ხელისუფლების უამს.“

ამ მცირე შტრიხითაც, ვფიქრობ, მშვენივრად ჩანს ბატონი ვახტანგი, პროფილშიც და ანფასშიც.

ასე რომ, „დაბმული უკვდავება“ თავისებური გულერეა, სადაც გამართულ ვერსისაზე გულითადად გვატყუებთ ავტორი ყოველ თქვენგანს, ვისაც სურს იგრძნოს – რა განსხვავებაა გემოსა და გემოვნებას შორის.

მიზო ხარნაძე

P. S. ხშირად მახსენდება ხოლმე ჩემი მონაფეობის დროინდელი ერთი სახალისო ეპიზოდი: 1946 წელია. მეშვიდეკლასელი ფრიადოსანი მონაფე ვარ. (მონაფის გამირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლაო, ბერიაო).

ერთ-ერთ გაცვეთილზე ისტორიის მასწავლებელმა ჯიბიდან ამოიღო რაღაც მომწვანო-მოყვითალო მრგვალი ნაყოფი და გვიხსნის: ამას ჰქვია მანდარინი, რომელსაც განსაკუთრებული გემო აქვს; იგი იფიქრებდა (თან ფიქრის), სხვათაშორის, კანსაც თუ გასრესო, სასიამოვნო სურნელი ასდის. გაფიქრება ნაყოფი, გადმოგვხედა კლასს, რამდენიც ვიყავით, კანი იმდენ ნაწილად გაყო და დავგირიგა.

მოესინჯეთ, კანს მართლაც სასიამოვნო სუნია ჰქონდა. შევჩერებვართ მასწავლებელს, რომელსაც ერთხანს ნაყოფი ხელში ეჭირა და, ბოლოს, პირში გადაუძახა.

ანუ, ვინც მხოლოდ ჩემი ტექსტის წაკითხვით დაკმაყოფილებდა, იცოდეს, მხოლოდ კანის გემოს გაიგებს, ხოლო ნაყოფს ვერ დაგემოვნებს.

ბ. ზ.



ქარდა ქარდუსი

გარემოებითი მინიატურები

ნათანებზე

ნათანებზე სახე ჰქონდა, ნელში მოხრილს თოფი თითქოს საბჯენად უფრო სჭირდებოდა, წონასწორობის შესანარჩუნებლად, ვიდრე სანადიროდ.

– შვი გორდონის ლეკვი ხომ არ გინახავთ? – მოგვმართა საშინლად მეტყველი თვალებით, თითქოს ავისმომასწავებელი რამ სცოდნოდა ჩვენზეც. – არა, – რაღაც გულცივად უპასუხა ლამამ. ან მომეჩვენა-მეთქი ვიფიქრე; დილის ხუთი საათი იქნებოდა, ლამის ღამენათევები ვიყავით და ცოტა უფრო გვექონდა აყოლილი. მეტი არაფერი უთქვამს არც მას და სადღაც ჩვენგან ოცდაათიწლიანი ნაბიჯზე დადგა ტბისპირას, დაბალ ლაქაშებთან.

ერთი საათი თუ იქნებოდა გასული, როცა იყვინა ლამამ:

– იხევე, ბიჭებო! – და თვითონ ნამის უსწრაფესად დაუმიზნა. მეც ავიხედე და დავინახე, კარგა მოზრდილი გუნდი გვიახლოვდებოდა. დაუმიზნე ბეჯითად და როგორც კი სასროლ მანძილზე მომიახლოვდა, გამოკვარი სასხლეტს. „ფუ შენი!“ არ მქონდა გადატენილი. სასწრაფოდ გადავტენე, ამასობაში ორჯერ გაისროლა ლამამ მე კიდევ თავზე გადაფრენილებს მივაცოლდე ორი.

– ჩამოვარდა! – იყვინა ლამამ და ჩვენ თვალწინ, სამიოდე ნაბიჯზე, ეკალბარდებიდან გამოაძვრინა იხვი. სანამ ლამას ნადავლს ვათვალისწინებდით, თემომ დაგვიძახა:

– ეს ვისია? – და ძალღის მიერ ტბიდან გამოტანილ იხვზე მიგვივითა.

– გიოსია, – უთხრა ლამამ და თემომაც მე გადმომცა ჯერაც მოფართხალე.

სწორედ მაშინ შევასწარი თვალი, მინას ურტყამდა თოფის კონდას ლულაზე ხელბეჭაფრენილი, გორდონის რომ ეძებდა ნელან ის კაცი.

– რა გჭირს? – ვკითხე გაოცებულმა.

– ამ სახლოვიდან იხვს რომ ვერ მოარტყამ! გავტეხო უნდა!

უკვე გრიგოლეთს ვიყავით გამომცდარი, როცა დაურკვეს ლამას. კარგა ხანს უსმენდა ვილაცას, მერე კი უთხრა – „რას ამბობ, რა უნდა ინადიროს მაგან, ვერც თვალბეჭით იხედავს, ვერც დაღის ნორმალურად. ძალი დევკარგეო, მითხრა. ჰო, კია ცოლდა“.

მერე როცა გათიშა მობილური მოგვიბრუნდა და თქვა:

– ვალერიანს უთქვამს ბიჭებისთვის, იხვი ჩამოვადე და ლამამ აიღო, მთლად გაგიჟდა საცოდავი, რა უნდა უთხრა კიბოიან კაცს!

თვალწინ დამიდგა როგორ ურტყამდა კონდას მინაზე და უცებ ნელთან ჩამოკიდული იხვი ამიფართხალდა.

– მაჩვენე, – მითხრა ლამამ და იხვი გამომართვა, – მოწიე ეგ კონდასი – ცოტა დაბნეულმა მიუშვირე კონდასი, მთელი ძალი დაიქნია და ორჯერ დაარტყმევინა თავი ზედ. – ახლა არ იფართხალე.

შერატონსა და ბარბარეს შუა

რუსთაველიდან ჩაუხვები ვაჟაზე და თვალი შევასწარი, შუა ქუჩაში ქალი მოდიოდა, არაამქვეყნიური სილამაზის, უცებ რომ შეამჩნევ კაცი, ისეთი.

– ნახე რა ქალი იყო? – აღმომხდა ხმამაღლა

– გიზო გამოფხიზლდა და ფანჯრებს მისაკდა.

– სადა ბიჯო?

– ვაჟასკენ მოდის.

– ვერ ვხედავ, ბიჯო, სადაა? – ლამის გაძვრეს ფანჯრიდან.

– ე, ბიჯო, გამოვცდით უკვე!

– თოი იქნებოდა, შერატონიდან გამოვიდა, ეტყობა. – დაასკვნა თავდაჯერებით. გაიგდე ახლა ფეხქვეშ! მაგრამ, გარდა იმისა, რომ მეგობარია, ორი ჩემხელა და მთელი დღე მანქანების ძრავებთან ნაომარს კუნთები ზედ ასკდება.

– რა იცი, შე არამზადობის ეტალონი, იქნებ ეკლესიად მოდიოდა? – შევეცადე მთელი ბოლმა გადმოვთხინა.

– ასე დილაადრიან... ვარიანტი არაა, თან მაშინ თავშალი ექნებოდა.

– და რა იცი, რომ არ ჰქონდა, აკი ვერ ვნახეთ?! – საერთოდ ამეძვრა ნერვები.

– თავშალი რო ჰქონდა, არ იტყვი, ულამაზესი იყო.

ლამის გავესკდი ბოლმისგან, როდის ვთქვი ულამაზესი-მეთქი, მაგრამ არაფერი ვუპასუხე, იმაზე დაფიქრდი, ებურა თუ არა თავსაფარი და იმედგადასურულმა შევავალიერე ქუჩა უკანა ხედვის სარკიდან.

ნანტომი

– ეს მოგონს-მეთქი, – დახატული რუსი იყო სურათზე. „მაგარია. მართლა მოვარო?“

– აბა, არ მოვა-მეთქი? – დაფურეკე. კი ბატონო, მოვალო. „დაქალი არ გყავს რომ წამოიყვანო-მეთქი“, კიო. მოკლედ, „250 ლარია კაცის თავზე-მეთქი“, ვუბნები ჯიბუტას.

– ბაზარი არააო! ახლავე წავალ და ფულს გადმოვიტანო. მოვიდა მალე, მოიტანა ფული და ვებზრები; „ჯიბუტ, იცოდე, ეგ რუსია შენი, მეორე, ვისაც მოიყვანს, მახინჯიც რომ იყოს, ჩემია-მეთქი! – ბაზარი არააო“.

მეცინება.

– ხო რა, იცის მერე შარი და ამიტომ გავაფრთხილე. გიო, მოვიდნენ... რა გინდა, სულო და გულო! დაღესტნელი აღმოჩნდა მეორე, ლამაზი, დახატული, შავგვრემანი. დაყვილა თვალები ჯიბუტამ, მაგრამ, „შააა, ახლა არ აურო-მეთქი!“ და მიიკუნტა რუსისკენ.



მხატვარი იანო ნიკოლაძე

მერე ჩანქერზეც გვეყავდა, ოლონდ მე და ზურას, სულ ეგ ჯგუფი მოდიოდა. მაშინ რომ დაფურეკე პირველად, თუმე აქვე არ ცხოვრობენ, 225 ნომერში-მეთქი, იმან „ოი ბლინო“, ჩვენ 224-ში ვართო. ხუთი ლარი მიუციათ მაინც ტაქსისთვის. მერე უკვე მარტო იმ დაღესტნელს ვურეკავდი და ერთხელაც არ დამწვა, ბიჯო, თეამ? თურმე მოდის ოფისში, რომ არ ვპასუხობდი, მთვრალი ვგონივარ და უნდა სახლში წამიყვანოს და არ ნახა აივანზე?! ძლივს მოვასწარი: უკანა ოთახში გავვარდით, ნელზეთ შიშველი ვარ. გადავხტი. კინაღამ ფეხი მოვიტეხე. „ვაჟა, ნე მაგუო“, ვერ გამოვხტივითო, მკვდრის ფერი ადევს.

მე ვუბნები „ახლა წამებში შემოვა, მაქ შემოვა და ჩათვალე მკვდარი ხარ, ადგილზე მოგაკლავს-მეთქი“. არც უყოყმანია გადმოფრინდა.

– ხომ დაიჭირე? – ვკვიტხები ეჭვით.

– აბა, არა? მაგრამ სამი კვირაა, ნელი მტკივა, კინაღამ გადავტყდი: არ იყო დიდი, მაგრამ ქალის დაჭრა არ გინდა მაინც, სამი მეტრის სიმალიდან?

კანტუკელი შილიაი და მისი ვიზისგაქიებალი სონელი საცოლე

– არ გაუშვებს. – მეუბნება შენუხებული, სახით ორიოდ ნაბიჯზე მორცხვად მომლოდინე მშვენიერი ქალისკენ მითითებს და უფრო იქუფრება.

– რათა, კაცო, საცოლე ხოა შენი?

– გაცოლებული ვარ, ვიზა არ ჩაურტყეს, თან ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაემგზავრენ ამისთვის, საქართველოში ერთი წელია დალოდების დროო! – ნაჩქარევად მიხსნის უკვე ყველაფერში გარკვეული, პიარის სამსახურის უფროსი თამუნა.

– ორი წელი არ ნაიკითხა. უფრო გავიგებდი რო, ნაიკითხა. – ამატებს ის. ეძებს სიტყვებს, ნელზე მეტია, აქა, სადოქტორის წერს, კარგად იცის ქართული, მაგრამ, როგორც წესი, როცა ლელავს, უძნელდება.

– რათაო, მაინც?

– არ ვიცი, არ განმარტება.

– მერე, უილი, დარჩი ჩვენთან, ქართული იცი, ცოლი ქართველი გეყოლება, რა გინდა ამერიკაში, ვერ ხედავ ამერიკელებსაც კი არ გაძლევენ ვიზებს?

– ვიცინით, მაგრამ სასონარკვეთილი სახე აქვს.

– ეს ძალიან გაუგებარი ჩემთვის, რატომ, არ მოგვცეს. სამსახურზე უნდა ვიფიქრო, თუ დარჩენაზე საუბარი.

ვაახ, რა ხალხია, ეგრევე სერიოზულად მიიღო. მაინც ველადავებო:

– ბიჯო, უილი, ინგლისურს ქე სხლავ, კომპიუტერი იცი... სამსახურის მეტს რას ნახავ?! მიყურებს კაპიტოლიუმის შტურმის შემხედველი ამერიკელების შემინებული და ვერგარკვეული თვალებით. სამაგიეროდ, მისი მშვენიერი საცოლე და ჩემი ცნობისმოყვარე თანამშრომლები იჭაჭებიან სიცილით.

ერთი სიტყვა

შესვენებაზე შევამჩნიე, ახალგაზნისი, ცარიელი, ციციკა კაფე იყო, ლურჯი კარის თავზე „პარადისი“ ეწერა თეთრად. კედელს მიკრული ოთხი სკამიდან ერთ-ერთზე მოვკალათდი.

– რას მიირთმევთ? – არსაიდან გაჩნდა იშვიათი სილამაზის ოცდაათ წლამდე ქალი.

– თქვენია თუ მუშაობთ აქ? – ვკითხე დაბნეულმა.

– ჩემია, იმედია ავანყობ. – გამიღიმა უქალურესი ღიმილით, მხოლოდ ფრანგები რომ იღიმიან და ისიც მხოლოდ კინოფილმებში, ისეთით.

– ნალექიანი ყავა მინდა.

– ახლავე, დღეს პირველი ხართ. – ისევ გაიღიმა.

ბლოკნოტი გავხსენი და წერა დავიწყე, შევეცადე, ქალის სასიათი ჩამეჩინა, თან, იქნებ ჩანახატი გამეკეთებინა. – კონკურსისთვის მინდა რამე, ას სიტყვაში უნდა ჩავატო ნაწარმოები და ჯოჯოხეთურად რთული დარჩა.

– რას წერთ? – კვლავ ზეციურად გამიღიმა და ყავა გამომიწვდა.

– ჩანახატი მინდა კონკურსისთვის, მაგრამ ას სიტყვაში უნდა ჩავატო და მგონი შეუძლებელია. – ნაშში გადავუშალე გული.

– რატომ, ხანდახან ერთი სიტყვაც საკმარისია. – გამიღიმა.

– ან ღიმილი! – აღმომხდა გულწრფელად, მაგრამ უკვე აღარ გაუღიმა.

უკომალესო უცხოელები

ოთხი მეგობარი დავაბატე. მეტ-ნაკლებად ვამტვრევდით ინგლისურს. ცოლ-ქმარი მყავდა სტუმრად, კარდიფიდან; გარდა იმისა, რომ მასპინძელს ისედაც ხაზს ჩვენნილხვდომილში, ჩემი ორკვირიანი სტუმრობისას ინგლისში გლოსტერშირის საგრაფოში, გადავყვინე თავს, კავკასიელები გეგონებოდათ, ალბოინელები კი არა; ბედის უმოწყალო მოწყალებით გლოსტერის ლიტფესტივალის მონაწილე ვიყავი. კარდიფშიც მიმასპინძლეს. თითქმის წარმოუდგენელი სტუმრობა გამომივიდა, თანასწარი პრობლემის ჯადოქრული მოგვარებებით. საქართველოში ტურისტებად ჩამოვიდნენ, თავს არ ვიქებ, მაგრამ მართლაც ჩემი დამსახურებით. სამი დღე დარჩენე ჩვენს ბინაში, დანარჩენი დრო მთელი საქართველოს შემოვლას მოახმარეს.

მესამე ჭიქის მერე, სიყრმის მეგობრებივით რომ გავხდით სუფრის წევრები უკვე, ნათანელმა ნამოიწყა თავისი ამბავი (ჩვენ ყველას მოსწრებული გვექონდა ამასობაში ჩვენი ბიოგრაფიებისა და შემოქმედების პრეზენტაცია). ჩემი მეგობრები, განსაკუთრებით ლალი, ჩვენი განუყოფელი დაქალი, აღფრთოვანებული იყვნენ სტუმრებით, ინგლისური ლიტერატურის პროფესორი ნათანელით განსაკუთრებით, ის კიდევ ჰყვება: „როცა გავიცანი დროითი (მეუღლე, რომელიც გულთბილად უსმენდა), ჩემსავით ისიც სევდიანი იყო, ახალი დაშორებული იყო თავის საყვარელთან, როგორღაც ვერ გაუგეს ერთმანეთს; მამა მყავდა ახალგაზრდაცვლილი

და მეც ძალიან სევდიანი ვიყავი. ალბათ ასეთი განწყობის გამო უფრო, ნელ-ნელა დავახლოვდით და მერე დავკორწინდით კიდევაც“.

ბუნებრივია, სხვა ათას რამეს მოჰყვა შემდგომაც ნათანელმა და დროთიძაც, თუმცა ჩემი მეგობრები უკვე ნაძალადევად უსმენდნენ, ლალიც, და ვაწყობდი, ერთი სული ჰქონდათ, როდის დავამთავრებდით ნადიმს.

მანვინის დედა

ისე ცხელოდა, საფლავების მონახულება კი არა, საკუთარი საფლავი იყოს სადმე, წავუსვენებდი გრილოში-მეთქი, გამიელვა ფიქრმა და კინაღამ გამეცინა. შიშით მიმოვავლე თვალი ავტობუსს, ამკარად საეჭვოდ დამიწყებდნენ ყურებას, ჩემს დაზე რომ არაფერი ვთქვით. გადავლილი ხიფათდან გადასართავად თუ არ ვიცი, რატომ, ვუბნები მართას, ჩემს დას:

– ნათელა ხომ არ ვნახოთ?

– ჰო, კარგი იქნებოდა, ოპერაცია გაიკეთა ახლახან, გაუხარდება.

– არის ნეტა სახლში? – დავინყე უკან დახვევის გზების უსუსური ძიება.

– აბა, სად წავიდოდა ამ გაგანია სიცხეში, არ მუშაობს!

– კარგი, მივიდეთ.

– მეორე გაჩერებაა. – მითხრა და კარისკენ მიინია. უკვე შევიგრძენი ლურჯი ავტობუსის კონდიციონერი და ძალიან მეზარებოდა სამოთხის უსუსურად მინაბაძი ალგის დატოვება. როგორც კი ჩამოვედით ავტობუსიდან, ვგრძენი, რომ, ხელოვნური სიგრილის სამოთხეზე მიმსგავსებისგან განსხვავებით, თბილისური ზვატი ამკარად არ იყო ჯოჯოხეთის ცეცხლის უსუსური მიბაძვა.

– არ უთხრა, იცოდე, სასაფლაოზე რომ ვიყავით, თორემ ეწყინება! – მაფრთხილებს მართა.

– რათა, კაცო, წამოვიდოდა თუ?

– სასაფლაოდან გამომიარესო, იტყვის! – წამიერად მასხენდება მთელი კოლხური მითოსი და წარმართობა და ნაცვლად ამრეზისა, სითბო მავსებს.

– სადმე მაღაზია გვინდა.

– იქვეა, ჯიხური, იქ ვიყიდოთ, ანი.

ძლივს მოუყარა თავი გამყიდველმა ყავას და ნამცხვარს ერთ პარკში თავი, მერე კიდევ მთელი ათი წუთი ითვალა ხურდა.

– დედა, როგორ დაბერებულა ეს ქალი, ღმერთო! – მართალია, მისი ქალიშვილობა ნაღდად არ მახსოვდა, მაგრამ დაბერებული რომ იყო, წყალი არ გაუვიდოდა. შუაქალაქში მოწყობილ ღრმა სოფლის შუკაში მივავიჯებდით უხმოდ და მივადექით ნათელას პატარა სახლის ღობეს.

– ნათელა! – შესძახა მართამ, – ნათელა! – ავად ისმობ სიჩუმე, – სად წაპრატუნდა ნეტა!

– არაა, ქალბატონო, სახლში – მოგვადახა ვეებერთელა კაცმა მოპირდაპირე ეზოს ალყაფიდან.

– ხომ არ იცით, სადაა?

– ნავიდა ახლახან, მანონზეა მე მგონი – ეს მეორე მეზობელი იყო, პირველს არ ჩამორჩებოდა სიზოზობით.

– უცხოები კი არ ვართ, კაცო, მამიდაშვილები ვართ ჩვენ! – წარმოთქვა მართამ საკმაოდ უქმეხად.

– არ გინდა, მართა, წავედიო!

– რა შუაშია ეგ, ქალბატონო, არაა და არ მოვა სალამოდდე.

– შენ ვინ გეკითხება, კაცო, გავარკვევ მე თვითონ! – უთხრა მართამ. ორივენი შეტრიალდნენ საკუთარ ეზოებში. მართამ კი დააძრო მობილური და ურეკავს.


– გაგიუდი, დანებე თავი, ხომ არ მოაბრუნებ ახლა უკან?

– მოვებრუნებ, თორემ არ ჰქონდეს ახლა რამე საქმე! მანონზეა წასული და აქვეა სადმე და მოვა, აბა, სად წავა?! – ამასობაში პასუხობს ნათელა – სად ხარ გოგო?! – ლამის უყვირის მობილურში, – გელოდებით აგერ... კარგი!

მაინც ვერ მშვიდდება და იმავე გაბრაზებით განაგრძობს მას შემდეგ, რაც ტელეფონს თომავს:

– რა უბედურება სჭირთ, კაცო, ამათ?! როგორ დაიბნევეს ფეხვები, როგორაა, რომ ადამიანის მისვლა არ უხარიათ კი არა, საერთოდ არ უნდათ!

ამასობაში გამოჩნდა ნათელა. არ ვიცი, გაიგონა თუ არა ბოლო სიტყვები. ცალი თვალთი მანვინის ქილებს ვუშვებდი, ერთი ხელით მეკრდზე მიეხუტებინა ორი, მეორით კი ლიტრინი ბოთლით რძე მოჰქონდა. არ მომჩვენებია, მანვინის ქილებში ამკარად მანვინის დედები იყო ჩატოვებული, ქვაბში ჩაყოფილი თითის ცხრამდე დათვლამდე გასაძლებად ჩამოთბილებული ანადულარი რძის მოლოდინში.



ფრანსის სკოტ ფიცჯერალდი

ავტორის უაღრესი

როცა გაიღვიძა, თავს უკეთ გრძობდა ვიდრე მრავალი კვირის განმავლობაში, ეს ფაქტი კი იმას უარყოფდა – რომ ის ავად იყო. ცოტა ხნით იმ კარის ჩარჩოს მიეყრდნო, რომელიც მის საძინებელსა და სააბაზანოს ყოფდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ თავბრუ არ ეხვეოდა. ოდნავადაც არა, მაშინაც კი, როცა საწოლის ქვეშ ფლოსტებს ეძებდა.

აპრილის ნათელი დღია იყო, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა დრო იყო, რადგან მისი საათი დიდი ხნის დაუქოქავე გახლდათ, მაგრამ როცა ოთახიდან სამზარეულოში გავიდა, მიხვდა, რომ მის ქალიშვილს უკვე ესაუზმა და სახლიდან გასულიყო, ფოსტაც მოეტანათ, ასე რომ, ცხრა საათზე მეტი იყო. – ვფიქრობ, დღეს გარეთ უნდა გავიდე, – უთხრა მოსამსახურეს. – კარგს იზამთ – მშვენიერი დღეა. – ქალი ახალი ორლენიდან იყო, ნიშნებითა და ფერით არაბი. – გუშინდელივით ორი კვერცხი მიწადა, გახუბული პური, ფორთხლის ნენი და ჩაი.

ცოტა ხანს ქალიშვილის ოთახში შეყოვნდა და თავის ფოსტა ნაიკითხა. ფოსტა მომავლებზე ლი, არაფერი გასახარი – ძირითადად რეკლამები, საგადასახადო ქვითრები და ერთი ოკლაჰომური დღის სკოლის მოსწავლის ალბომი, რომლისთვისაც ის ავტორაფებს აგროვებდა. კიდევ ის, რომ სემ გოლდვინი გადაიღებდა ბალეტზე ფილმს სპეციფიკური მთავარ როლში, იქნებ არც გადაეღო, რადგან ჯერ ევროპაში სამოგზაუროდ წასული უნდა დაბრუნებულიყო, იქ კი ბატონ გოლდვინს შეიძლება თავში ბევრი ახალი იდეა მოსვლიდა. პარამაუნტს უნდოდა ლექსის გამოყენება, რომელიც ავტორის ერთ კრებულში ნახეს, თუმცა მათ არ იცოდნენ, ლექსი ავტორისა იყო, ორიგინალური, თუ სხვა ავტორის – ციტირებული. იქნებ იმ ლექსიდან სათაურის აღება სურდათ, ასე თუ ისე, მას ამ ქონებაზე უფლება აღარ ჰქონდა, რადგან „მუნჯ“ ფილმზე საავტორო უფლება მრავალი წლის წინ გაყიდა, „ხმოვანზე“ კი შარშან.

– კინოში არ გიმართლებს, – თავისთვის ჩაილაპარაკა, – აკეთე ის, რაც შენია! საუზმობისას ფანჯარაში გაიხედა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კოლეჯი იყო და ახლა სტუდენტები ერთი შენობიდან მეორეში გადადიოდნენ. – ოცი წლის წინ მეც ასე ლექციიდან ლექციაზე გადავიდიოდი. – უთხრა მან მოსამსახურეს.

– ქალმა ახალგაზრდულად გაიცინა. – თუ გასვლას აპირებთ, მე საგადასახადო ქვითარი მჭირდება. – არა, ჯერ არ გავდივარ. ორი-სამი საათის სამუშაო მაქვს. მოგვიანებით, ნაშუადღევს გავალ.

– მანქანით ნახვალთ? – მაგ ჯართში არ ჩავჯდები... ალბათ ორმოცდაათ დოლარად გავყიდი. ავტობუსის სახურავზე ვიმგზავრებ.

ნასაუზმევს თხუთმეტი წუთით ნამონვა. მერე კაბინეტში შევიდა და სამუშაოს ჩაუჯდა.

ფურნალისთვის შეპირებული მოთხოვნა პრობლემა გახდა. შუა ნაწილი იმდენად აირია, რომ დასერულებაზე შეიძლება უარიც ეთქვა. სიუჟეტი დაუსრულებულ კიბის საფეხურებზე ასვლას ჰგავდა, შემონახული სიურპრიზიც ჰქონდა, თუმცა ის გმირები, რომლებმაც გუშინწინ ასე მხნედ დაიწყეს, საგანგებო სერილის გმირებადაც არ ივარგებდნენ.

„არა, გარეთ უნდა გავიდე“. – გაიფიქრა. „შენანდოს ველზე უნდა გავისეირნო, ან ნორფოლკში ნავით წავიდე“.

მაგრამ ეს ორი ვარიანტი არაპრაქტიკული იყო – ორივეს დრო და ენერჯია სჭირდებოდა, მას კი არც ერთი ჰქონდა და არც მეორე... ერთადერთი, რაც გააჩნდა, დრო იყო, რომელიც სამუშაოსთვის უნდა დაეთმო. ხელნაწერს მიუბრუნდა, კარგ ფრაზებს წითელი ფანქრით ხაზს უსვამდა და როცა მოწონებული ფრაზები ხელნაწერში გადააწყო, ნელა გადახია მოთხრობის დარჩენილი ნაწილი და ნაგვის კალათში ჩააგდო. შემდეგ ოთახიდან გავიდა და გააბოლა. თან საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

– ვნახოთ, ვნახოთ... – მერე... შემდეგ უნდა იყოს... – აბა, ვნახოთ...

– ძალაგამოცლილი ვარ... ფანქარი ორი დღე მაინც არ უნდა ამეღო.

სანამ უბის წიგნაკში „მოთხრობის იდეები“ სათაურებს აკვირდებოდა, მსახური მოვიდა და აუწყა, ტელეფონზე თქვენი მდივანი რეკავს, – დროებითი მდივანი, რაც ის ავადმყოფობს.

– სულ არაფერი! – თქვა მან. – ყველაფერი, რაც დაწერე, გავანადგურე.

არაფრად ვარგოდა. ნაშუადღევს სახლიდან გასვლას ვაპირებ. – ძალიან კარგი. მშვენიერი დღეა.

– კარი იქნება, ხვალ დღისით თუ მოხვალ – წერილები და ქვითრები დამიგროვდა. წვერი გაიპარსა, მერე, ჩაცმამდე, ყოველი შემთხვევისგან თავდაცვის მიზნით, ხუთი წუთი დაისვენა. პაერზე გასვლა ამაღლებული იყო – იმედოვნებდა, რომ ლიფტის ბიჭები არ ეტყოდნენ, როგორ უხაროდათ მისი ნახვა. ამიტომ, გადაწყვიტა უკანა, საბარგო ლიფტით დაშვება, რომელშიც მას არ იცნობდნენ. თავისი საუკეთესო პიჯაკი ჩაიცვა, მაგრამამ პიჯაკზე შარვალი და პერანგი არ მიდიოდა. ექვსი წლის მანძილზე მხოლოდ ორი კოსტიუმი იყიდა, მაგრამ ორივე მართლაც საუკეთესო იყო... მარტო პალტოში 110 დოლარი გადაიხდა. რადგან მის გასეირნებას დანიშნულება უნდა ჰქონოდა – დანიშნულების გარეშე გასეირნებაში კარგი არაფერია – ჯიბეში შამპუნის ბოთლი ჩაიდო თავის დალაქისთვის, ასევე, პატარა ლუმინოლი.

– ნამდვილი ნევროზიანი, – თქვა მან, როცა თავს თვალი სარკეში შეავლო.

– იდეების ავტორი, აუხდენელი ოცნების ნარჩენი.

სამზარეულოში შევიდა და მსახურს დაემშვიდობა, თითქოს „პატარა ამერიკაში“ მიდიოდა. ერთხელ, ომის დროს, მან მოტყუებით მთელი მატარებლის ექსპროპრიაცია მოახდინა, რათა თავიდან აეცილებინა ჯარიდან უნებართვო წამოსვლისათვის განკუთვნილი სასჯელი. იმ მატარებელმა ის ნიუ იორკიდან ვაშინგტონში ჩაიყვანა. ახლა ქუჩაში დგას და შუქნიშანზე ფერის შეცვლას მოთმინებით ელოდება. ამ დროს,

მის უკან ხალხი ისე იჩქარის, რომ ტრანსპორტს ყურადღებასაც არ აქცევენ. ავტობუსის გაჩერებაზე, მწვანე ხეებქვეშ, სიგრილეში, მას უცებ გაახსენდა „ქვის კედელ“ ჯექსონის უკანასკნელი სიტყვები: „მდინარის მეორე ნაპირზე გადავალთ და ხის ჩრდილში დავისვენებთ“. თითქოს სამოქალაქო ომის ლიდერებმა უცრათ გაიზარეს, რა გადაღლილები იყვნენ ... ლი სხვა კაცად იქცა, გრანტი კი ბოლოს სასონარკვეთილი მემუარების დამწერი გახდა.

ავტობუსი ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც ელოდა – სახურავის თავზე მხოლოდ ერთი ადამიანი იჯდა. კორპუსებთან გავლისას, ავტობუსის ფანჯრებს ხეების მწვანე ფოთლებიანი ტოტები ეხეთქებოდა. ეს ტოტები გადასაბელიაიო, გაიფიქრა. ირგვლივ უამრავი სანახავი იყო – ის კი ცდილობდა სახლების ერთი მწკრივის ფერი გაერკვია, მაგრამ თვალწინ დედამისის ძველი მანტო ედგა, რომლითაც დედა ოპერაში დადიოდა. მანტოს თითქოს უამრავი ფერი ჰქონდა. სინამდვილეში კი ფერები არც

ჰქონდა, ფერებს მხოლოდ სინათლის ანარეკლი წარმოქმნიდა. საიდანაც ეკლესიის ზარების „Venite Adoremus“. ისმოდა და მას გაუკვირდა, რადგან შობის შემდეგ რვა თვე იყო გასული. ზარები არ უყვარდა, თუმცა ერთხელ, როცა გუბერნატორის გასვენებაში „მერიტენდ, ჩემო მერიტენდ“ გაისმა. გული აუჩქროლდა.

კოლეჯის ფეხბურთის მოედანზე მომუშავე კაცი გზის როლიკერს იყენებდა. მაშინვე სათაურად მოენონა: „მდელი მომვლელი“ ან სხვანაირად „ბალახი იზრდება“, მოთხრობა ადამიანზე, რომელიც წლების განმავლობაში მდელი ამუშავეებს და შვილს კოლეჯისთვის ზრდის და ამზადებს, რომ მან ამ მდელიზე ფეხბურთი ითამაშოს. სამწუხაროდ, ბავშვი ყმანვილო-ბოლო უკვდება, მამა სასაფლაოზე აპირებს მუშაობის დაწესებას, რომ შვილის საფლავი მდელიმ დაფაროს, ნაცვლად იმისა, რომ მის შვილს ასეთი მდელი ფეხით გაეთელა. ეს ერთგვარი მშვიდობისმყოფელი განზრახვაა, რასაც

შიორად ანთოლოგიებში ათავსებენ, მაგრამ ეს ის არ არის, რაც ავტორს სჭირდება – ეს ანტიუბის უმაღლესი ხარისხის გამოყენება იქნება, ფორმალისტული პოპულარული ფურნალის მოთხრობისთვის და ადვილად დასაწერიც. ბევრ ადამიანს ასეთი მოთხრობა ძალიან მოეწონება, რადგან ეს მელანქოლიაა, მასში გარკვევას შეეცდება და მისთვის ადვილი გასაგებიც იქნება.

ავტობუსმა ჩაუარა ათენური რკინიგზის ფერმკრთალ სადგურს, რომლის წინ მხოლოდ ლურჯ ტანსაცმელსა და წითელ ქუდაში გამონოვნილი მჭივრავები იდგნენ. ბიზნესსექტორთან მიახლოებისას ქუჩა თანდათან ვიწროვდებოდა და უცებ გამოჩნდნენ ღია ფერებ-

ში ჩაცმული გოგონები, ყველა ძალიან ლამაზი – მან გაიფიქრა, რომ ასეთი ლამაზი ქალიშვილები არასოდეს ენახა. მამაკაცებიც იყვნენ, ოღონდ ყველა მათგანი სულელურად გამოიყურებოდა, როგორც თავად ის, რაც სარკეში დაინახა. მოუწესრიგებელი ქალებიც იყვნენ, უბრალო და ულამაზო სახეებით. ასეთი სახე ზოგ ქალიშვილსაც შეაძწინა, მაგრამ საერთოდ ყველა, ექვსიდან ოცდაათ წლამდე ასაკისა, ფერად ტანსაცმელში იყო, მათ სახეზე კი არც რაიმე გეგმა ან შინაგანი ბრძოლა იკითხებოდა, მხოლოდ მოლოდინი, მაპროვოცირებელი, მშვიდი და უღრუბლო. წუთით ძლიერ შეუყვარდა სიცოცხლე, სულ აღარ უნდოდა რამეზე უარის თქმა. მერე გაიფიქრა, იქნებ შეეცდი, სახლიდან ასე ადრე რომ გამოვიდო.

ავტობუსიდან ჩამოვიდა, ხელით სულ მოაჯირს ეჭიდებოდა. ერთ შენობას ჩაუარა, სასტუმროს სადალაქოსკენ მიმავალმა. სპორტული მაღაზიის ვიტრინას შეხედა, სადაც ყველაფერი უცვლელი იყო, გარდა პირველი ბენისბოლელის ხელთათმანისა, რომელიც მუქი იყო და ბენისბოლელს ჯიბეში ედო. შემდეგი საგალანტერო მაღაზიასთან ცოტა ხნით შეჩერდა და გამოფენილ მუქ და უჯრედებთან პერანგებს უყურებდა. ათი წლის

წინ, საზაფხულო რივიერაზე, ავტორმა და კიდევ ვიღაცებმა შეიძინეს მუქი ლურჯი სამუშაო პერანგები, ალბათ სწორედ ამან მისცა ბიჭი ამ სტილის პერანგების პოპულარიზებას. უჯრედებიანი პერანგები, უნიფორმის მსგავსად, ნათელი იყო და ავტორმა იფიქრა, ნეტავ ახლა ოცი წლის ვიყო და კოხტად გამოჩნებოდა პლაჟის კლუბში მივდიოდიო, როგორც ტურნერის ნახატ მზის ჩასვლაზე ან გუიდიო რენის გარიჟრაჟზე.

სადალაქო დიდი, კარგად განათებული და სუნებით გაჟღერებული იყო. რამდენიმე თვის წინ, როცა ქალაქში გამოსვლა ამავე მიზნით მოუხდა, შეიჭრა, რომ მისი ნაცნობი დალაქი ართრიტის გამო არ მუშაობდა, თუმცა მის შემცვლელს ადვილად აუხსნა, როგორ ეხმარა მისი მოტანილი მაღალი. გაზეთზე უარი თქვა და სავარძელში ჩაჯდა საკმაოდ ბედნიერი და ემოციურად კმაყოფილი, როცა დალაქი მის თავზე ძლიერ თითებს

ამოძრავებდა, გონებაში ამოუტივტივდა ყველა ნაცნობი სადალაქო. ერთხელ დალაქზე მოთხრობაც დაწერა. 1929 წელს, მისი საყვარელი სადალაქოს მეპატრონემ, იმ ქალაქში, რომელშიც ავტორი იმ დროს ცხოვრობდა, ერთ-ერთი ადგილობრივი მენარმის რჩევის წყალობით 300 ათას დოლარიანი შემოსავალი მიიღო და სადალაქოში სამსახურისთვის თავის დაწებებას აპირებდა. თავად ავტორს იმ დროს სადმე რაიმე წილი არ გააჩნდა და მაშინ ის რამდენიმე წლით ევროპაში გამგზავრებას აპირებდა იმით, რაც ჰქონდა. იმ შემოდგომით, როცა გაიგო, რომ დალაქმა მთელი თავის ფული დაკარგა, მასზე მოთხრობის დაწერა გადაწყვიტა – ცხადია, მას დეტალებზე ყურადღება არ გაუმახვილებია და მარტო ის აღნიშნა, როგორ თავივლია ცხოვრებაში დალაქმა თავი, მერე კი კრახი განიცადა. ავტორმა გაიგო, რომ იმ ქალაქში მისი პერსონაჟი გაიმიფრა და ამან დალაქი გაანახვეწა.

შამპუნი დამთავრდა. როცა მოსაცემელი გამოვიდა, მოპირდაპირე მხარეს, კოქტეილის დარბაზში, ორკესტრმა დაკვრა დაიწყო და ის ცოტა ხნით, მოსასმენად, კარებში შეჩერდა. დიდი ხანი იყო, რაც არ

ეცეკვა, ალბათ ერთხელ ან ორჯერ, ხუთ წელიწადში. მისი ბოლო წიგნის მიმოხილვაშიც კი არის ნახსენები, რომ ის ლამის კლუბების დიდი მოყვარულია; იმავე რეჟიმში ნათქვამია, „რა დაუღალავია“. ამ სიტყვის გაღვებამ თითქოს გატეხა, თვალზე ცრემლი მოადგა და თავი შეაბრუნა.

– ისევ სიმწარეს ვგრძნობ, – თავისთვის ჩაილაპარაკა. – ცუდად ვარ, ცუდად, დროა შინ წავიდე. ავტობუსი იგვიანებდა. ტაქსი არ უყვარდა, თანაც იმედი ჰქონდა, რომ ავტობუსის ზედა ბაქანზე, ბულვარის მწვანე ფოთლების და ნახვავაზე რაიმე აზრი მოუვიდოდა. როცა ბოლოს და ბოლოს ავტობუსი მოვიდა, ცოტა გაუჭირდა საფეხურებზე ასვლა, მაგრამ ეს



იმად ღირდა, რაც დაინახა. სკოლის მოსწავლე, ბიჭი და გოგო, ლაფაიეტის ძეგლის მაღალ პიედესტალზე ისხდნენ, უხერხულობას სულ არ გრძობდნენ, ისე იყვნენ ერთმანეთთან ურთიერთობით დაკავებული. აი, სახლიც გამოჩნდა. სადარბაზოში შესვლამდე, ზედა სართულზე, თავის ფანჯრებს ახედა.

– ცნობილი მწერლის ბინა! – თავისთვის ჩაილაპარაკა. – საინტერესოა, ვინ იცის, ახლა რა შესანიშნავი წიგნებს ქმნის? ალბათ რა კარგია ასეთი ნიჭი – ზიხარ ფანქრით და ქალაქში, წერ და წერ... იმუშავე. როცა წასვლა მოგიწდება, სადაც გინდა, წადი...

ქალიშვილი შინ ჯერ არ დაბრუნებულიყო; სამზარეულოდან მსახური გამოვიდა და იკითხა:

– კარგად ისეირნეთ? – შესანიშნავად! – უბასუხა მან. – გორგოლაჭებიანი ციგურებით გავიარე, ბოულინგი ვითამაშე. „მთაკაც“ დინთან წავივარჯიშე, ბოლოს თურქულ აბანოშიც შევედი! დეპუტები არ მოუტანიათ? – არც ერთი.

– თუ შეიძლება, ჭიქა რძე მიმიტანეთ! სასადილო ოთახი გაიარა და კაბინეტში შევიდა; ჩამავალი მზის სხივები წამით აირეკლა თაროებზე ჩამწირივებულ ათასობით მოოქროვილი წიგნის ყდებზე და თვალის მოსჭრა. ძლიერ დაილალა – ახლა, ერთი ათი წუთით ნამოწვება, მერე კი გამოჩნდება, ორ საათში, რაც ვახშობამდე დარჩა, გამოიუფა თუ არა ერთ ჩანაფიქრზე მუშაობა.

თარგმანი
ბიან სარტონიამ

საკაკი დაუშვილი

თოვლი თბილისში

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ბავშვობის მოგონებებიდან თბილისი თოვლით, ბევრი თოვლით დამამახსოვრდა. მაშინ ციგებს აივნი-ბზე მოჰკრავდით თვალს. მთაწმინდაზე ვცხოვრობდი, სადაც დამრეცი, რიყის ქვით მოკირწყლული დაღმარებია. ქუჩები ციგებიანი ბავშვებით ივსებოდა და ერთ ღამეში ისე ისიპებოდა, რომ მანქანები ვეღარ მოძრაობდნენ. ასვლა ფეხით მოსიარულეებსაც უჭირდათ.

სახურავებზე გრძელი, კრიალა ყინულის ლოლუები ეკიდა. როცა ლოლუები დნობას იწყებდნენ და ძირს ცვიოდნენ მშობლები სახლიდან გასვლისას მუდამ გვაფრთხილებდნენ, ლოლუებს მოვრიდებოდით. ტროტუარები ისე იყო მოყინული, მალაზიებისა და სადარბაზოების წინ, ყინულის სქელ ფენას ამსხვრევდნენ. თუმცა უთოვლო ზამთარიც გამოერეოდა ზოგჯერ.

ზამთართან, ჩემი ბავშვობის, ერთი ემოციური მოგონებაა დაკავშირებული - 1966 წლის იანვარი. თოვლი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. იმ დღეს დედამ მე და ჩემი ორი წლით უფროსი და ახალგაზსნილი მეტროს სანახავად წაგვიყვანა. ვერ ვიტყვი რომ მიხაროდა, უფრო შეშინებული ვიყავი, მინის ქვეშ გასვენება არ მსიბლავდა. რუს-თავყლის მეტროსთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი, შესასვლელთან ტევა არ იყო, მილიციელები ჩამსვლელებს ძლივს აკავებდნენ. რიგი არ იძვროდა. მე და ჩემს დას შეგვეცივდა. დედაჩემმა მილიციელს უსაყვედურა:

- რატომ არ გვიშვებთ?
- ქალბატონო, დილით ჩასული ხალხი ჯერაც არ ამოსულა. - თავი იმართლა მილიციელმა.

სახლში ამოვბრუნდით, მინისქვეშა სამყაროს ნახვა გადაიდო, თუმცა გული არ დამწყვეტია, გახარებულიც კი ვიყავი.

მაშინაც ზამთარი იდგა, თუმცა თებერვლის სითბო უკვე იგრძნობოდა. ჩემმა უბნელმა ბიჭმა გოგამ, რომლის მამა პოლკოვნიკი იყო, დედა კი უკრაინელი ჰყავდა, უკრაინული აქცენტით მითხრა: - მამამ ლეკვის საყიდლად ორმოცდაათი მანეთი მომცა. ოლონდ, ლეკვი გერმანული ნაგაზის უნდა იყოს.

მეორე დღეს კლასელებს ვუთხარი: - ჩემს უბნელს ნაღდი გერმანული ნაგაზის ლეკვი უნდა, ორმოცდაათ მანეთს გადაიხდის. - ფული მართლა აქვს? - უცებ მკითხა დათომ. - კი, აქვს. - მეზობელს ჰყავს გერმანული ნაგაზის ლეკვები.

შვეთანხმდით და საღამოს გოგა კლასელთან, გრიბოედოვის ქუჩაზე მივიყვანე. დათომ ფული აიღო და ახალდაბადებული, მოყავისფრო ლეკვი გამოგვიჩვენა.

- ყურები რატომ არა აქვს დაცვეტილი? - დაეჭვებით იკითხა გოგამ. - გაიზრდება და გაუსწორდება, - დამაჯერებლად თქვა დათომ. კლასელმა ჩემს ნაღდიან სახეს რომ მოჰკრა თვალი ხალისიანად მკითხა: - შენც გინდა ლეკვი? - მინდა, - მოკლედ მოვუჭერი. დათომ ეშმაკურად ჩაიცინა და

რამდენიმე წუთში კიდევ ერთი ლეკვი მოიყვანა. არა, ფული არ უხსენებია.

ლეკვებს რძეს სანოვარიანი ბოთლიდან ვასმევდით და მოუთმენლად ველოდით ჩამოშვებული ყურები როდის დაეცვიტებოდათ. პოლკოვნიკის თქმით, ამას სამი თვე მაინც დასჭირდებოდა. ზსამი კი არა, ორჯერ სამი თვე გავიდა, მაგრამ ყურების გასწორებას საშველი არ დაადგა - ლეკვები მეტის ძალელებად გაიზარდნენ. ჩემს თავზე ვბრაზობდი, უკვე მერამდენედ შემაცდინა დათოს გულუბრყვილო თვალეზმა.

გრძელ და საკმაოდ დაქანებულ ქუჩაზე ვცხოვრობდი. გიო გამბდარი, დაბალი ტანის ბიჭი იყო. ალბათ, მისი მშობლები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, რადგან ციგის მაგივრობას მუდამ თხელი ფანერა უნედა. არ ვიცი როგორ ახერხებდა, მაგრამ ჩვენზე სწრაფად სრიალებდა. იმ წელს მამამ საჭიანი ციგა მიყიდა, მუხრუჭიც ჰქონდა. ჩიგო ციგას მონუსხული დააქვერდა.

- მეც პირველად ვზივარ, დავეშვები და გათხოვებ, - დავპირდი გიოს. - მართლა მათხოვებ? - დაეჭვებით მკითხა. - მართლა.

ბიჭს თვალში გაუბრწყინდა, ფანერა თოვლზე დააგდო, ზედ დაჯდა და ციგან ბიჭებს უკან მოგვყვა. ჩემმა ციგამ სიჩქარე სწრაფად აკრიფა და ყველაზე წინ აღმოვიჩნდი. გიოს დანარჩენებისთვის გადაეხსრო და უკან მომეყვებოდა. ერთ ადგილას, ქუჩაზე გამონეული სახლი გზას მკვეთრად ავიწროებდა და ყრუ კედელს ქმნიდა. სიფრთხილედ იყო საჭირო, რომ ციგით კედელს არ შევჯახებოდი. თადარიგი დავიჭირე და საჭე მარჯვნივ ავიღე, თუმცა ციგა არ დამემორჩილა და მარცხნივ, კედლისკენ წამიღო. გიო უკან, ძალიან ახლოს, მარჯვნიდან მომეყვებოდა. შეიძლება კედელს შევჯახებოდი. ეტყობა ეს გიომაც შეამჩნია. უცებ მარცხენა მხარეს ამოიძვრა, ფეხი ჩემს ციგას უბიძგა და ყრუ კედელს სანტიმეტრებში ჩაუჭროლე. უკან რომ მივიხედე გიოს ვეღარ მოვკარი თვალი. გულმა რეჩხი მიყო. ციგა ძლივს გავაჩერე და ქუჩას სირბილით ავუყვიე. ყრუ კედელთან, თოვლზე, ფანერა ეგდო.

კაცებმა, ათარბეგოვის ქუჩაზე, ბავშვთა საავადმყოფომდე გიო ხელით მიიყვანეს. უბნელმა მაც საავადმყოფოსთან მოვიყარეთ თავი. ორ მეზობელთან ერთად მამაჩემიც მოვიდა, სიგარეტი ამოიღო და ასანთის ღერი კოლოფს გაჰკრა. ჩირგველი გამეფეხულ სიჩუმეში ძირს დავარდნილი ასანთის ღერისა და შიშინის ხმა გაისმა. ხის ტოტებში გახლართულ ღამის ფარანს ახეხე. თოვლის მსხვილი ფანტელები შარიშურით ცვიოდა.

გიოს მოტეხილი ხელი და ფეხი თაბაშირში ჩაუსვავს. თუმცა, ერთი თვის შემდეგ ისევ ერთად ვთამაშობდით. გიომ ჩემს გამო თავი საფრთხეში ჩაიგდო და საჭიანი ციგა უყოყმანოდ ვაჩუქე.

ყოველ წელს, 2 იანვრიდან სპორტის სასახლეში, ოფიცერთა სახლში, გორკის სახელობის კულტურის სახლში და სხვა ადგილებში სახალწლო წარმოდგენები იმართებოდა. მოსაწვევის წარდგენისას, საჩუქარს - ლამაზად გაფორმებულ მუყაოს პატარა ყუთებში ჩალაგებულ ტკბილეულს გვაძლევდნენ. ყველაზე საინტერესო წარმოდგენა და საუკეთესო საჩუქრები სპორტის სასახლეში იყო. დედაჩემი კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირებში მუშაობდა. სხვადასხვა ორგანიზაციების პროფკავშირების

თავმჯდომარეები მოსაწვევების წაღებისად დედაჩემს რამდენიმე წუთს დედაჩემსა და დედაჩემს საჩუქრების წამოსაღებად დაკეცილი ჩანთები მიჰქონდათ. ერთი წარმოდგენიდან ოცდაათი საჩუქარი მაინც მოგვეკონდა. ერთ წელს, ტკბილეულთან ერთად, პატარა ყუთებში პლასტმასის თეთრი ფისოები ელავა. ისეთი უხარისხო სათამაშოები იყო ვერავის რომ ვერ აჩუქებდი და ფისოები სახლის ყოველ კუთხეში ეყარა. ფისოებს ხან რომაული ლეგიონებით ჩავამწკრივებდი და დიდი ბრძოლები იმართებოდა. კამფეტები კი უზნის ბავშვებს გაზაფხულამდე გვყოფნიდა.

მთაწმინდის პარკში, ფეხით, ზამთარშიც ხშირად ავდიოდით. საბაგირო გზის ზედა სადგურის ქვემოთ, ასიოდე მეტრში, იქ, სადაც, უბნელებს ხის სავარჯიშო კონსტრუქციები ჰქონდათ მოწყობილი უცნაური, დიდი ნაფეხურები შეენიშნეთ, რომელიც ძალისას ნამდვილად არ ჰგავდა. შუაწინს კაცმა გაგვაფრთხილა: მგლის ნაფეხურებია, მომივდათ და ქვემოთ ჩამოვიდნენ, საღამომოთ აქ არ ამოხვიდეთო. მგლები არ ვიცი, აი კურდღლები კი ბევრჯერ დავგინახავს, განსაკუთრებით იქ, სადაც ბილიკები კუს ტბისკენ გადადიოდა.

გასახსენებელი ბევრია, თუნდაც უვანისა ცნობილ ფოტოსახელოსნოსთან მდებარე პატარა საპარიკმახერო. მამა, როგორც წესი, წვერს სახლში იპარავდა, მხოლოდ კვირაობით მიდიოდა ხსენებულ საპარიკმახეროში და მეც თან მივყავდი. ზამთრის ცივ დღეებში მომცრო ოთახი საცხე იყო და ისმოდა დაუსრულებელი ხუმრობა და სიცილი. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ კაცი იყვენენ, უნმანურ სიტყვებს ვერ გაიგონებდი.

სამოზაოდ, ქაშვეთის ეკლესიაში სანთელს რომ დავანთებდით, რუსთაველიდან თოვლით გადათეთრებულ მთაწმინდაზე მამადავითის ეკლესიას გავხედავდით ხოლმე. შორი ეკლესია ერთმანეთს შესცქეროდა. ახლა ეს შეუძლებელია, კლასიკური გიმნაზიის უკან წამომართული საცხოვრებელი კორპუსი მამადავითის ეკლესიას ფარავს.

როდესაც ზამთარში, მთაწმინდის პარკში, ფუნქციონირის ვაგონით ავდიოდით, ხალხს სასრილოდ ციგები აჰქონდათ. ეგ კი არა, თხილამურებისთვისაც მომიკრავს თვალი.

ციგები აივნებზე კარგა ხანია აღარ შემომჩნევია, ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. წარსულს ჩაჰბარდა ჩემი ბავშვობის თბილისიც. თუმცა მაშინდელი ქალაქის სურნელს იშვიათად, მაგრამ მაინც შევიგრძნობ ხოლმე. ცხადია, თბილისი არსად წასულა: სანაპიროზე ჩამწკრივებული, ლამაზობით ყვავებით დახუნძლული ჭადრის ხეები ისევ დგანან; მეთევზეები, მუდამ მღვრიე მდინარეში ახლაც მოთმინებით ელიან ტივტივას შეტოკებას; მოაჯირზე დღესაც სხედან თოლიები და ბუჩქებს კვლავაც უამრავი ბელურა აფარებს თავს; მთაწმინდის ფერდობზე ისევ ძველებურად ჰყვავიან ნუშის ხეები; რუსთაველზე, გაზაფხულის ქარიან დღეებში, ჭადრის მტვრისგან თავის დასაცავად ადამიანები სახეზე ისევ ხელებს იფარებენ; აქა-იქ კვლავაც შეგაჩერებთ აკაციის ყვავილის სურნელი; სამასი არაგველის მემორიალთან კი დღესაც ანთია მარადიული ცეცხლი.

მე მაინც ჩემი თოვლიანი თბილისი მენატრება, სადაც ერთმანეთის გასაჭირი გულთან ახლოს მიჰქონდათ.

გიორგი მხეცაძე მომავალი ისტორიკოსია, მაგრამ ლექსის წერა მისი მთავარი გატაცებაა. დაიბადა 2002 წელს. სწავლობს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქო უნივერსიტეტში.

მისი ლექსები ეხება სიყვარულს, რწმენას, ცხოვრებას, ურთიერთობებს, პიროვნულ-ფსიქოლოგიურ საკითხებს. უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას პოეზია.

ეს მისი პირველი გამოსვლა სალიტერატურო პრესაში.

ბიოგრაფიული მხეცაძე

ეგზორციზმი

წმინდა სული მაქვს დამძიმებული, გაორებული დავდივარ ქვეყნად. მარადიული სულის სიმშვიდეს ხანგრძლივი ბრძოლით ვიპოვნი ღმერთთან.

ეშმაკთან ბრძოლით დავკარგე თავი, მილიონობით ნიღაბს ვიზომავ, ბოროტ მარწუხებს რომ გავქცეოდი, თავისუფლების პოვნა მიწოდდა.

საკუთარ ეგოს ვესაუბრები, მაინტერესებს, ახლა რას იტყვის მწამს, საშინელი განსაცდელისგან, ჩემი მფარველი უფალი მიხსნის!

ღრმად ვიძირები სულის ნიაღში, აგონიაში ვიხმობ ანგელოზს, თუ დამარცხდება ადამიანი, ეშმაკი მუდამ მასზე მბრძანებლობს.

მაგრამ ვიცი, რომ მე გავიმარჯვებ, დავამსხვრევ მძიმე სატანის ბორკილს, სულის ხსნასა და სიმშვიდეს მარად, მივალწვე მხოლოდ გულწრფელი ლოცვით.

ეშმაკი მხოლოდ დროებითია, ღმერთი იმარჯვებს ყოველთვის მუდამ, მძიმე განსაცდელს მაშინ დავაღწევთ, თუკი ყველანი ვადიდებთ უფალს!

ამ მოვროის რამდენ

ამ მოვროის რამდენს ყური ვუგდოთ ქარს, შფოთიანი ქარი გაგინწავს თმას!

მარტო მინდა ვიყოთ ამ მოვროის რამდენს, ყური ვუგდოთ ქარს და ვუცქიროთ მოვროს.

მარტოხელა ხე შენ რომ გიკრავს თვალს და ყვავილი თოვლში, შენ ხომ არა გგავს?!

დაღამდება ისევ და დავრჩებით მარტო, შენთან მინდა ვიყო, შენ, ზღაპრული ვარდო!

ამ ყვავილებს, ლამაზს, მე ჩაგინწავ თმამი და ვიქნებით ერთად, ამ სუსხიან ქარში.

ამ ქარიან ღამეს ჩვენ ავხედოთ ცას, ჯერ არ შევხედვრივარ, შენზე ლამაზ ქალს!

შენზე კარგი ქალი, შენი სილამაზე, არსად არ მინახავს, არსად ქვეყანაზე.

ცხოვრებაში მინდა, შენ, ლამაზო ხატო, მინდა ერთად ვიყოთ, შენ, კალმით ნახატო!

ამ მოვროის რამდენს ყური ვუგდოთ ქარს, შფოთიანი ქარი გაგინწავს თმას!


მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
 მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრიაშვილი**
 ფინანსური მენეჯერი **ქატიკაძე დამატრიაშვილი**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **პალა გველესიანი, მზია პარპაძე**
 დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ჰანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
 საბანკო ანგარიშის ნომერი:
 საქართველოს ბანკი,
 GE43BG000000161665862

პაპიბი ბაბუღოს 2 კვირეული პიპიბი

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
 მისამართი:
 თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 2720-8540



9 772720 854003 >